



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine
“AUTHORITY AND SOCIETY”

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)“

№ 3 (11) 2009

ღია ღიჯლომობის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association


Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ხ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე	მთავარი რედაქტორი
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოთარ ბალათურია	პასუხისმგებელი მდივანი

რუდიგერ ანდერსენი, ნანა ავალიანი, მიტროპოლიტი აბრამი (გარმელია), ეგგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ვახტანგ გურული, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერგო ლომინაძე, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ია ხუბაშვილი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოსატყავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677

e-mail: office@odageorgia.ge

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

შენხედრა თემურ იაკობაშვილთან5

თეორია

Shalva (Lasha) Gogidze

ESDP in the context of Trans-Atlantic Relations.

Partnership or Rivalry?-----13

ვასილ კაჭარავა

აშშ-ის პროფკავშირები, ტაფტ-ჰარტლის კანონი

და დ. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია-----23

თენგიზ გრიგოლია,

მაია ამირგულაშვილი

ზბიგნევ ბუჟინსკის გეოპოლიტიკური კონცეფციის

ზოგიერთი თავისებურებანი-----38

ისტორია

თინათინ იაშვილი

გაფართოებული ევროპა – საქართველოს გზა

ევროინტეგრაციისაკენ-----44

ნათია კაჭარავა

ნატო – საქართველოს საგარეო და ეროვნული

უსაფრთხოების პრიორიტეტი-----56

ქეთევან პავლიაშვილი

ევროპული ევანგელიზმი და ბიუროკრატიული

ბიზანტიზმი (უწმ. სინოდის ობერპროკურორი –

კონსტანტინე პობედონოსცევი)-----64

ოთარ ქიჩორაძე

მმართველობითი აზროვნება და პრაქტიკა აღმოსავლურ

ცივილიზაციებში-----78

პრაქტიკა

გიორგი ბადათურია,

მერაბ ტაბატაძე

ექსპერტის კომპეტენტურობის შეფასებების მეთოდის
დამუშავება სახელმწიფო მართვის ამოცანებისთვის-----96

ეკონომიკა

Ani Ziegler

Fragen der Monopolisierung und des Wettbewerbs auf
dem deutschen Energiemarkt-----109

საზოგადოება

ბადრი ცხადაძე,

ეკა ცხადაძე

იაპონია და იაპონელები ქართულ
ლინგუოკულტუროლოგიურ განასერში (არეალში)-----118

შხვედრა თემურ იაკობაშვილთან

2009 წლის 8 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე შედგა საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ვიცე-პრემიერ თემურ იაკობაშვილის შეხვედრა სახელმწიფო მართვის მოხელის სპეციალობის სტუდენტებთან, მაგისტრანტებთან და მაგისტრებთან, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატით ჩატარდა. საუბარი წარიმართა, სტუდენტების მიერ დასმული შეკითხვების შესაბამისად, შემდეგი საკითხების ირგვლივ: რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად და რამდენად მიღწევადია ეს დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით; როგორ აპირებს მთავრობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და აქვს თუ არა მას რაიმე გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით; ვინ არის პასუხისმგებელი აგვისტოს ომზე; დავუშვათ საქართველოს პრეზიდენტმა შეასრულა ოპოზიციის მოთხოვნა და გადადგა, რა მოხდება შემდეგ; რა მიზანი აქვს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში; რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციასთან რეალური შედეგების მისაღწევად? და რას მოიტანს მოლაპარაკება; დღევანდელ პირობებში აქვს თუ არა სახელმწიფოს სახსრები და შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოს ლტოლვილები სამუშაო პირობებით? და თუ არ აქვს რა კეთდება იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას; როგორ ფიქრობთ დაუშვებს თუ არა რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის ძალებს; ჩანს, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ისეთ აქტიურ მხარდაჭერას არ ამჟღავნებს საქართველოსადმი, როგორც ეს იყო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველომ ახალი მოკავშირეები უნდა ეძებოს და ვინ წარმოგიდგენიათ მოკავშირეებად; რის საფუძველზე უნდა შეიქმნას ახალი ალიანსები; რა მიგანიათ დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად; რა განსხვავებებია კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების საფუძველს შორის.

ბატონმა თემურ იაკობაშვილმა დასმულ შეკითხვებს დეტალურად გასცა პასუხი, ვაქვეყნებთ მისი გამოსვლის შემოკლებულ ჩანაწერს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების კონკრეტული გეგმა ჯერ არ არსებობს, რადგან მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობათა დამოკიდებულებას ვარკვევთ, ყველასთან ინდივიდუალური მუშობაა საჭირო.

აშშ-ის პოლიტიკა არ ვიცით. ერთია მხარდაჭერა, მისი არსებობის ფაქტი და მეორე მისი ხარისხი, ანუ რამდენად გვიჭერს მხარს.

ასევე მნიშვნელოვანია გერმანიის პოზიცია, ის თუ როგორ დაკომპლექტდება გერმანიის მთავრობა და რა პოზიციას დაიკავებს, ამიტომაც სექტემბრის არჩევნებს ველოდებით.

მარტო არ ხდება გადაწყვეტილების მიღება. მხარდაჭერა გვჭირდება და პოლიტიკას ამის მიხედვით ჩამოვაყალიბებთ. ამდენად გეგმა იქნება დაახლოებით სექტემბრის ბოლოს, ბუდი რომ ჩადგება. მანამდე რაიმე მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთება არასერიოზული იქნება.

ოსებთან და აფხაზებთან ურთიერთობისთვის კარს ღიას დავტოვებთ. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს გარკვეული პერსპექტივები, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის რუსებით უკმაყოფილება, აფხაზეთში პრესაზე სერიოზული ცენზურაა, კეტავენ გზებს, იარაღს აბარებინებენ – ჩვენ დაგიცავთ.

რეალური სამშვიდობო პროცესის დაწყებაა საჭირო, ცხადია დიპლომატიით, სხვანაირად ვერაფერს მივადწევთ. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს რუსეთთან ვერ აღვადგენთ სანამ მათ ჩვენს ქვეყანაში სამი (თბილისში თავისთავად, ცხინვალსა და სოხუმში) საელჩო აქვთ. რუსეთის მიზანი იყო და დღესაც რჩება საქართველოს მთლიანად დამორჩილება, ეს უნდა შეიცვალოს, სწორედ ამ მიმართულებით წარმართება ჩვენი საგარეო პოლიტიკა, რუსეთს უნდა შევაცვლევინოთ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება, მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ, ისეთივე პატივისცემას

ვიმსახურებთ, როგორც სხვა სახელმწიფოები და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ჩვენს ქვეყნებს შორის რეალურად კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება.

ახალი მოკავშირეების ძებნის აუცილებლობა არ არსებობს – ამერიკელები არსად წასულან, ისინი უბრალოდ შეცვლილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში (ომი, მუშარაფის გადადგომა, ობამას არჩევა, ყველაფერმა ამან არსებულ გეოპოლიტიკურ წესრიგში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა) ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე ზრუნავენ. დღესდღეობით ავღანეთის პრობლემაა პრიორიტეტული, მაგრამ ჩვენ ამ კონტექსტშიც მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანა ვართ ამერიკისა და საერთოდ დასავლეთისთვის, გზა ცენტრალური აზიისკენ სამხრეთ კავკასიაზე გადის, ხოლო ჩვენ ჩვენი მდებარეობით მას ვაკონტროლებთ.

ლაპარაკი ქართველების სიყვარულზე – არ სიყვარულზე არ არის, უბრალოდ ამერიკის სტრატეგიული ინტერესების რეალიზება ცენტრალურ აზიაში ჩვენი მონაწილეობით უფრო ადვილია.

საქართველო არანაირ პროვოკაციას არ წამოგვბია. ივლისის ბოლოდან ყველაფერი კარგად გამოჩნდა. რუსებს ჯარები უკვე ცხინვალთან ყავდათ მოზღვავებული, საქართველოზე თავდასხმა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჩვენ პრევენციული ოპერაცია ჩავატარეთ, რუსები საკმარისი ხნით შევაკავეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ომი თავიდანვე გორთან დაიწყებოდა და რუსეთის შეკავებას ვეღარ შევძლებდით. მსოფლიოს ვაიძულეთ გაეღვიძათ, თუნდაც ჩვენი ბიჭების სიცოცხლის ხარჯზე, და რეალური რუსეთი, მისგან მომდინარე საფრთხეები, დაენახათ და გაეაზრებინათ. ჩვენ დრო მოვიგეთ, ამასობაში ამერიკის გემები შემოვიდნენ ბოსფორში, რუსები სწორედ ამან შეაჩერა.

ევროკავშირის დამკვირვებლებს კონფლიქტის ზონაში რუსეთი, ან თუნდაც მისი ბრძანებით მისი მარიონეტული რეჟიმები ცხადია არ დაუშვებს, ყოველ შემთხვევაში ეცდება რომ არ დაუშვას. უცხო თვალი არ ჭირდებათ. ცდილობენ გაეროს მისია იყოს სუსტი, უმოქმედო და რუსების მიერ მანიპულირებადი, ამას ახერხებენ კიდევ, რადგან დასავლეთს არ უნდა რუსეთთან კონფრონტაცია

რაც შეეხება სააკაშვილის გადადგომის საკითხს ცალსახად გარწმუნებთ – ვადამდე არსად ვადამდგომი, არსად წამსვლელი არ არის. ოპოზიციამაც იცის ეს. დღევანდელი სიტუაცია რა სასიამოვნოა? მაგრამ ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი საჭირო კომპონენტია. ზოგადად ეს ნორმალური პროცესია, თუმცა საქართველოს რეალობაში – არანორმალური.

ავვისტოს ომის გამეორების საშიშროება არის, თუმცა ამის ალბათობა შემცირებულია რიგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი რუსეთმა დაინახა საქართველოსთან ომი არც ისე ადვილია როგორც აქამდე ეგონათ. ომის დროს მათი დანაკარგები ხუთჯერ აღემატებოდა ჩვენსას, მთელი სატანკო კოლონები გაუნადგურეთ, თანაც რუსული არმიის შეიარაღებისა და მართვის ხარვეზებიც გამოაშკარავდა, რუსებს წინ წამოსული ჯარისთვის ტყვია-წამლის მიწოდების პრობლემა ქონდათ; მეორე მიზეზი ისაა, რომ მათ იციან – ამჯერად ჩვენც და მსოფლიოც უფრო მომზადებული შეხვდება და აშკარა აგრესიას უფრო ძნელად გაბედავს, საქართველო კი არანაირ პროვოკაციას არ წამოეგება; მაგრამ ომის საშიშროების არსებობის იგნორირება და თვითდამშვიდება, ისევე როგორც საფრთხეების მეტისმეტი დრამატიზირება, მაინც არ შეიძლება. ჩვენ უბრალოდ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს და გავითვალისწინოთ შემდეგი: მოხდება თუ არა ავვისტოს მსგავსი მოვლენები კვლავ მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული დასავლეთის რეაქციაზე, მისი ავვისტოს ომის მიმართ დამოკიდებულებაზე, პოზიციის პრინციპულობასა და მოქმედების თანმიმდევრულობაზე.

საქართველო პატარა ქვეყანაა, თუ არ ვიხმაურებთ მიგვახრჩობენ. მაგრამ უნდა ვიხმაუროთ ისე, რომ ვისი მხარდაჭერის იმედიც გვაქვს მეტისმეტად არ შევაწუხოთ. ვცდილობთ, ჩვენი თემა არ გაქრეს საერთაშორისო დღის წესრიგიდან და ყოველთვის აქტუალური იყოს საერთაშორისო ასპარეზზე, რათა არ დავავიწყდეთ მსოფლიოს.

8 ავვისტოს რაც მოხდა მოულოდნელი იყო ყველასთვის. რუსეთმა მრავალი სხვადასხვა მეთოდი გამოიყენა: სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, სარაკეტო, კიბერ შემოტევები, საინფორმაციო ომი. მაგრამ ჩვენ რომ

პრევენტიული ოპერაციები არ დაგეგმვო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ომი უფრო სწრაფი და ჩვენთვის გამანადგურებელი იქნებოდა. მთელი ჩვენი ოპერაციები რუსების შეკავებაზე, დროის გაწელვაზე იყო მიმართული, რათა მსოფლიო თანამეგობრობის ჩართვაც და მტრისთვის ჩვენთან ომის სურვილიც გაგვენელებინა. ყველაფერი დაარღვიეს, რაც კი შეიძლებოდა. ბოლომდე ვცადეთ ყველა დიპლომატიური შანსის გამოყენება, სადაც იმედს ვიტოვებდით, რომ დიპლომატია გაამართლებდა.

რუსეთის მხრიდან დაღუპულთა როდენობამ ორი ათას კაცს გადააჭარბა. განსაკუთრებით ჩვენმა არტილერიამ ისახელა თავი. რამდენიმე სატანკო კოლონა გავანადგურეთ. მთელი მიმართულება შემოდინების შეჩერებაზე იყო. სწორედ ამ ეფექტის მისაღწევად იყო აუცილებელი კონფლიქტის ზონაში წინ წაწევა, გარდა ამისა მოსახლეობის დაცვის თვალსაზრისითაც აუცილებელი იყო აღნიშნული შემაკავებელი პრევენციული ოპერაციების ჩატარება. რუსებმა იცოდნენ, რომ ომისთვის მზად არ ვიყავით, იმ დროისათვის აფხაზეთსა და ცხინვალში უფრო მეტი შეიარაღება იყო, ვიდრე მთლიანად საქართველოში, მაგრამ მათ გაცილებით მეტი დანაკარგი ჰქონდათ, ვიდრე ჩვენ და ვიდრე თავად მოელოდნენ.

ქართველების მიერ ბევრად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან გაწეულმა წინააღმდეგობამ გააკვირვა მსოფლიო.

ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად სერიოზული დანაკარგებისა საქართველომ ღირსეულად წარმოაჩინა თავი, რაც სამომავლო დიდი წარმატებების საწინდარია.

MEETING WITH TEMURI YAKOBASHVILI

Summary

On June, 8th 2009 in the meeting of group of students of Public Administration department of Humanitarian-Social faculty of Georgian Technical University with the state minister concerning reintegration, Vice-premier Temuri Yakobashvili took place.

The purpose of a meeting was detailed acquaintance of the future civil servants with modern problems of the public administration of Georgia.

The meeting has passed in the form of dialogue around the problems of state governance, foreign and domestic policy, relation with Russia, with allies and partners of Georgia, restoration of territorial integrity of Georgia, August war, its reasons and a consequence interested.

Mr. Temuri Yakobashvili has in detail answered questions, it has specified that to avoid war with Russia was impossible and if not preventive measures, Georgia could be completely occupied, that is the main purpose of Russia.

Therefore, while Russia not understand that Georgia is the sovereign state and it is necessary to concern accordingly, adjustment of normal attitudes will be not possible, though the Georgia makes greater diplomatic efforts with the purpose as overcoming of existing obstacles. As Russia has understood – it is not so easily to carry war with Georgia, losses of the Russian party were huge, the whole tank connections, more than two thousand soldier were destroyed. The world has been surprised by courage of Georgia which could be at war with the formidable enemy.

Georgia also approaches to a question of restoration of territorial integrity by peace efforts, and in this direction there are certain opportunities as on occupied territories the population has understood what the Russian “friendly help” is. Concerning to allies of Georgia it is necessary to understand, that the USA and the Europe do not leave Georgia, but the question is not about love or dislike of Georgia - the politics of the USA and the Europe is corresponding to the world problems, because everything is solved in accordance with the modern strategic challenges, and Georgia still remains the important part in realization of world politics.

Concerning to domestic political problems it is important, that there is a stable situation in Georgia, no pre-term presidential elections do take place, Georgia continues to develop the system of governance step by step..

The meeting has passed in a free atmosphere, frankness of the state minister, its professional approach to problems, the thin humour has literally fascinated students, they were convinced, that despite of serious problems during construction of the Georgian State, the country is on a true way of the development.

Keywords: the Government; foreign policy; domestic policy; August war; Russia; the USA; the Europe; territorial integrity of Georgia; modern strategic problems.

ВСТРЕЧА С ТЕМУРИ ЯКОБАШВИЛИ

Резюме

8 июня текущего года в Грузинском техническом университета состоялась встреча группы студентов, магистрантов и магистров специальности «государственного управления» гуманитарно-социального факультете с государственным министром по вопросам реинтеграции, вице-премьером Темури Якобашвили.

Целью встречи явилось подробное ознакомление будущих государственных служащих с современными проблемами государственного управления Грузии. Встреча прошла в форме диалога. Студентов интересовали различные проблемы государственного управления, вопросы внешней и внутренней политики, взаимоотношения с Россией, с союзниками и партнерами Грузии, восстановления территориальной целостности Грузии, августовской войны, ее причин и последствий.

Темури Якобашвили подробно ответил на вопросы студентов, он указал, что избежать войны с Россией было невозможно и если бы не превентивные меры, Грузия могла быть полностью порабощена, а именно такую цель ставит себе Россия. Поэтому, пока в России не будет осознано, что Грузия суверенное государство и с ней надо относиться соответственно, налаживание нормальных отношений будет не возможно, хотя грузинская сторона прилагает большие дипломатические усилия с целью как преодоление существующих препятствий. Тем более, что Россия поняла – с Грузией не так легко воевать, потери российской стороны были огромны, была уничтожены целые танковые соединения, более двух тысяч солдат. Весь мир был удивлен мужеством Грузии, которая смогла воевать с сильным противником.

К вопросу восстановления территориальной целостности Грузия также подходит с мирных позиций и в этом направлении имеются определенные возможности, тем более, что на оккупированных территориях население поняло всю тяжесть российской

дружественной помощи. Касательно союзников Грузии надо понимать, что США и Европа никуда не ушли, но вопрос не стоит о любви или нелюбви Грузии, все решают современные стратегические проблемы и соответствующая политика США и Европы. В этом плане Грузия по-прежнему остается важным звеном в реализации мировой политики.

Относительно других внутри политических проблем важно, что удалось ситуацию стабилизировать и никакие досрочные президентские выборы не состоятся, Грузия продолжает развиваться планомерно.

Встреча прошла в свободной атмосфере, откровенность государственного министра, его профессиональный подход к проблемам, тонкий юмор буквально очаровал студентов, они убедились, что несмотря на серьезные проблемы в процессе строительства грузинского государства, страна стоит на верном пути своего развития.

Ключевые слова: Государственное управление; внешняя политика; внутренняя политика; августовская война; Россия; США; Европа; территориальная целостность Грузии; современные стратегические проблемы.

თეორია

Shalva (Lasha) Gogidze

ESDP IN THE CONTEXT OF TRANS-ATLANTIC RELATIONS. PARTNERSHIP OR RIVALRY?

Introduction

The launching of the European Security and Defense Policy (ESDP) by the Helsinki European Council in December 1999 has brought concerns about the credibility of Trans-Atlantic relations within the framework of the North Atlantic Treaty Organization (NATO). The major concern is that NATO is in danger of becoming a military useless institution that lacks political will to address common threats. On the other hand, the European Union (EU) is emerging as a potential global power in the international system, counterweight to the United States (US). The crucial question in this regard is whether the ESDP will enhance or undermine the Trans-Atlantic relationship. Is it a challenge to the US hegemony or a long-term partnership in the military realm?

Reasons for the ESDP emergence

Since the end of the Cold War there has been an on-going debate over the division of responsibility and burden between NATO and the EU. The end of the bipolar system changed the balance of powers in favor of the US, who was left as the single superpower after the collapse of the Soviet Union and the dissolution of the Warsaw Pact. Consequently, NATO's importance as a framework for the transatlantic partnership against the Soviet threat declined. The US saw its military presence in Europe as being relevant no more. Therefore, Washington urged EU to take greater responsibility for the security in Europe through developing its own military capabilities. This was explicitly stated by the US representative to NATO, William H. Taft, who wrote at that time that "It is for Europeans to articulate and develop the institutions through which a European security identity will be manifested".¹

However, the emergence of the Yugoslav War after the dissolution of the Soviet Union showed that EU was unable to handle the security challenges and violent conflicts at its doorstep, without US

¹ See William H. Taft, 'European Security: Lessons Learned from the Gulf War', *NATO Review* 39 (June 1993) pp. 16-21

and NATO involvement. The EU's preventive diplomacy in conflict management through the usage of its civilian instruments did not work in this case.² The failure in Balkans provided an initial catalyst for the development of credible autonomous military capabilities within EU for the deployment of forces outside its borders.

The European Union needs to be in a position to play its full role on the international stage...To this end the Union must have the capacity for autonomous action, backed up by credible military forces, the means to decide to use them and a readiness to do so, in order to respond to international crises.³

The introduction of a High Representative for the Common Foreign and Security Policy (CFSP) and of the Petersberg Tasks that embodied humanitarian assistance, rescue tasks, peacekeeping/peacemaking and crises management was a significant step forward in this direction.⁴ In fact, the establishment of the office of High Representative, with Javier Solana appointed to the post, has been the driving force for the rapid development of ESDP. Solana favors the militarized EU, and advocates high-profile political action establishing the Union as an influential global power. As he outlined, "It has been clear for some time that if Europe is to take its rightful place on the world stage it needs to have an ESDP".⁵

The important thing to note here is that the whole process of European militarization within the ESDP was implemented under the umbrella of NATO, thus stating the US political dominance over the old continent. Under the Berlin Plus agreements, EU was allowed to draw on some of NATO's military assets in its own crises management operations under the ESDP.⁶ The successful Berlin Plus cooperation

² See Karen E. Smith, *The Making of EU Foreign Policy: The Case of Eastern Europe*, Second Edition, 2004, pp.135-138

³ Franco-British Summit Joint Declaration on European Defense of 4 December, 1998 in St. Malo

⁴ See Art. J.7 and J.8 of The Treaty of Amsterdam, (October 2, 1997) which created the post of a High Representative for the CFSP and incorporated the Petersberg Tasks in the Treaty of European Union

⁵ Xymena Kurowska, *The Role of ESDP Operations*, in Michael Merlingen and Rasa Ostrauskaite, eds, *The European Security and Defense Policy: An Implementation Perspective*, London: Routledge, 2007

⁶ Berlin Plus agreements concluded between EU and NATO on December 16, 2002 was based on the conclusions of NATO's 1999

between the EU, NATO and the US in the Western Balkans illustrated the potential for greater transatlantic coordination. Instances of this successful joint missions include the EU conducted military operation Concordia and the EU civilian mission Proxima, which ended ethnic fighting in Macedonia. Another case of successful NATO-EU cooperation was the EU-led military operation (EUFOR Althea) which significantly helped to establish security in Bosnia. However, since the beginning of a new millennium, incremental flaws have been emerging in the Trans-Atlantic relationship. The EU's growing desire and ability to become an actor in global security policy and to override the US hegemony have been demonstrated by the proliferation of autonomous ESDP missions. Moreover, French-led EU military operation in Democratic Republic of Congo (DRC/ARTEMIS) launched on June 12, 2003, symbolized that the ESDP can function without NATO support under the Berlin Plus agreements. In fact, this military mission took place without any previous consultation with NATO.⁷ How can one explain this shift in the relationship between Europe and the US?

Strategic Divergences: Unilateralism vs. Multilateralism

Even though the Europeans and Americans have convergent assessments of global threats, they often diverge on the approach towards the challenges of the twenty-first century. EU more relies on multilateralism and international law in conflict resolution, whereas the US is more inclined to the military force and pre-emption. The ESDP is strongly intergovernmental and based on the unanimity principle, which challenges the American unilateralism in the NATO. The US has always been reluctant to obey the multilateral constraints on its behavior. However, there are certain disagreements within the EU itself on the concept and role of ESDP in the Trans-Atlantic alliance. France and Germany have always been in favor of European autonomy and military independence from the US and NATO. On the other hand, Great Britain maintains its Atlanticist stance of retaining NATO as the key institution for security and defense in Europe, preventing ESDP

Washington Summit including access for the EU to NATO's planning capabilities such as communication units and headquarters also consultation arrangements and exchange of confidential information

⁷ The information on the ESDP operations is available at: <http://consilium.europa.eu/showPage.asp?id=268&lang=en&mode=g>

from breaking the link with it.⁸ This position on NATO's uniqueness as an effective crises manager was eloquently expressed by the former US Secretary of State Madeleine Albright who outlined the 'Three Ds': "no diminution of NATO, no discrimination and no duplication".⁹ The remarkable turning point in the compromise between the traditional French claim for European independence and the British claim for NATO primacy was the joint declaration of St-Malo (1998) in which the views of both countries were taken into consideration. This compromise was significantly reflected in the aforementioned successful missions jointly conducted by the EU and NATO. However, subsequent cataclysms caused by 9/11 and the Iraq war posed many questions on the credibility of Trans-Atlantic partnership.

Trans-Atlantic relations in the wake of the Iraq War

American invasion in Iraq without a resolution from the United Nations Security Council was definitely a catalyst for the Trans-Atlantic dispute. Many Europeans perceived this act as a violence carried out by the aggressive superpower. The notion that the US is a "benevolent" hegemon has been shattered. Consequences of the Iraq War have further worsened America's image in Europe and have given the decisive boost to the political and military unification of the EU. Even in the Great Britain, who supported the Iraq invasion anti-American sentiments have been developed afterwards. More and more British believe now that the conflict in Iraq undermined the war on Terrorism and pushed NATO into decline.¹⁰ In reality, the US has always viewed the North Atlantic Alliance as an option for dealing with security matters preferring to act on its own. The Iraq war was another perfect illustration of American unilateralism. How can Europe respond to the US hegemony?

After the Iraq War, EU had greater incentives to facilitate "hard" balancing against the US through strengthening the ESDP military capabilities challenging those of the NATO's. With the adoption of the Helsinki Headline Goal 2010, EU member states have set themselves the headline goal to deploy and sustain a Rapid Reaction Force (RRF) of up to 60 000 ground troops with air and naval assets.

⁸ See Gisela Muller-Brandeck-Bocquet, *The Future of the European Foreign, Security and Defense Policy after Enlargement*, 2006, pp. 27-53

⁹ Speech made at the at the 50th anniversary NATO summit in Brussels on December 9, 1998

¹⁰ See Christopher Layne, *America as European Hegemon*, (*The National Interest*, 2003), pp. 17-29

These forces should be militarily self-sustaining with the necessary planning and operational capabilities in order to fulfill the Petersberg Tasks enshrined in the 1997 Amsterdam Treaty. The Helsinki Headline Goal 2010 also envisages the set-up of a civil-military cell within the EU Military Staff and the establishment of a European Defense Agency.¹¹ One of the principal novelties here is the creation of battle groups of each around 1500 troops which is a crucial step for the Development of the RRF. The EU's battle groups project was launched at the Franco-British summit at Le Touquet in order to "improve further European Capabilities in planning and deploying forces at short notice".¹²

By and large, Rapid Reaction Force (RRF) of the EU is a counterpart to the NATO Response Force (NRF).¹³ Although both programmes include the same set of forces, they cannot be double-hatted, because designated troops may have to deploy in concurrent missions on a very short notice.

The introduction of the RRF in the ESDP marked an important political development within the EU's foreign and security policy. It is an attempt to generate real European capabilities, which can be perceived as a big challenge to the US and NATO. Major concerns on the Atlantic side are caused by the fact that after the adoption of the Headline Goal 2010, EU is not delivering the military capability that it has promised under the Berlin Plus agreements. Besides, there is a threat that ESDP will duplicate NATO which is not in line with the above-mentioned "three-Ds" policy. As a result of these intricacies, EU-NATO cooperation at the official political level has been stalled, threatening to prevent further progress. This is due to the fact that the EU refuses to fully and officially engage with the Atlantic alliance.¹⁴ The Trans-

¹¹ The Helsinki Headline Goal 2010 was endorsed by the European Council on 17 and 18 June 2004.

¹² 'Declaration on Strengthening European Co-operation in Security and Defense', Le Touquet, 4th February 2003

¹³ The proposal to create a NATO rapid reaction force was put forward by the former US Secretary for Defense, Donald Rumsfeld in September 2002. The launching of the NATO Response Force (NRF) initiative was announced several months later, at the Prague Summit in November 2002.

¹⁴ See Jeffrey Simon, *The ESDP Between Washington and Brussels*, in Michael Merlingen and Rasa Ostrauskaite, eds, *The European Security and Defense Policy: An Implementation Perspective*, London: Routledge, 2007

Atlantic relationship under the Berlin Plus agreements has reached a deadlock

How can these relations and burden-sharing be revived again? One could argue that this is a matter of high-level political agreement between the US and Europe. However, the inclination of the US towards the unilateralism and the world hegemony makes it difficult to overcome this political hurdle.

Conclusion

By and large, the Trans-Atlantic relationship is a very complex issue characterized by political fluctuations and strategic divergences. The introduction of the ESDP within it illustrated that it still has a long and difficult way to go. The main challenge in EU-NATO relations remains political. Given that the EU has been steadily developing its autonomous military capabilities through the ESDP, the preferences of most EU member states to act within this framework rather than with recourse to NATO assets will be growing.

Such positions of the EU member states are likely to contribute to the increasing competition at the institutional level. However, for the moment, the ESDP is still not on the same level with NATO in terms of military capabilities. This is due to the fact that NATO has the advantage of US assets. On the other hand, the ESDP lacks the necessary equipment and structures to carry out substantial missions independently and to sustain them for an extended period. So far the military power built up by the ESDP is far from reaching the ambitious objectives set out by the EU in its Helsinki Headline Goal 2010.

In spite of these military deficiencies EU member states prefer to act independently from the US and NATO, thus transforming the European Union from the 'soft' power into the 'hard' one. This in turn, proves to be a challenge in the Trans-Atlantic relationship undermining the concept of 'strategic partnership'.

ლიტერატურა

References

1. Smith, Karen E, "The Making of EU Foreign Policy: The Case of Eastern Europe", *Second Edition*, 2004
2. Muller-Brandeck-Bocquet, Gisela (eds.), *The big Member States' influence on the shaping of the European Union's Foreign, Security and Defense Policy*, 2006 Wurzburger Universitatsschriften zu Geschichte und Politik

3. Layne, Christopher, “America as European Hegemon”, *The National Interest* 72, 2003
4. Simon, Jeffrey, “The ESDP Between Washington and Brussels”, in Michael Merlingen and Rasa Ostrauskaite (eds.), *European Security and Defense Policy: An Implementation Perspective*, 2007 London: Routledge
5. Touzovskaia, Natalia, “EU-NATO Relations: How close to “Strategic Partnership?””, *European Security*, 15/3, 2006
6. Cascone, Gabriele, “ESDP Operations and NATO: Co-operation, Rivalry or Muddling-through?”, in Michael Merlingen and Rasa Ostrauskaite (eds.), *European Security and Defense Policy: An Implementation Perspective*, 2007 London: Routledge
7. Kurowska, Xymena, “The Role of ESDP Operations”, in Michael Merlingen and Rasa Ostrauskaite (eds.), *European Security and Defense Policy: An Implementation Perspective*, 2007 London: Routledge
8. EUROPA – European Security and Defense Policy web page : <<http://consilium.europa.eu/showPage.asp?id=268&lang=en&mode=გ>>
9. NATO homepage:< <http://www.nato.int/issues/nrf/index.html>

შალვა (ლაშა) გოგიძე

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
ტრანსატლანტიკური ურთიერთობების კონტექსტში.
პარტნიორობა თუ კონკურენცია?

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ეუთპ) წარმოქმნისა და განვითარების ისტორია. აღნიშნულია, რომ ეუთპ მიმდინარეობდა ნატო-ს ფარგლებში, ვინაიდან თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ ნატო განაპირობებს ევროპის ქვეყნების სამხედრო უსაფრთხოებასა და თავდაცვას, სწორედ ეს გახლდათ ნატოს მთავარი დანიშნულება. მეორე მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობებში ევროკავშირი თანდათან ჩამოყალიბდა როგორც პოტენციალურად გლობალური ძალა, რომელიც აშშ-ის ერთგვარი საპირწონე გახდა. ამ შემთხვევაში ისმის კრიტიკული კითხვა – ეუთპ-მ უნდა გააძლიეროს თუ შეასუსტოს ტრანსატლანტიკური

ურთიერთობა? რა არის ეუთპ - აშშ-ის ჰეგემონიის გამოწვევა თუ ხანგრძლივი პარტნიორობა სამხედრო სფეროში?

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ფართო თვალსაზრისით ტრანს-ატლანტიკური ურთიერთობა მეტად რთულია, რომელიც პოლიტიკური ფლუქტუაციებითა და სტრატეგიული გადახრებით ხასიათდება. ეუთპ-ის ამ ურთიერთობებში ჩართვა აჩვენებს, რომ ტრანს-ატლანტიკურ ურთიერთობებს წინ ხანგრძლივი და ძნელი გზა ელის. ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობის ძირითადი გამოწვევა პოლიტიკური ხასიათისაა, რაც ევროკავშირს თანდათან უბიძგებს განავითაროს საკუთარი ავტონომიური სამხედრო სიმძლავრე, მითუმეტეს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამჯობინებენ იმოქმედონ ეუთპ-ს ფარგლებში, ვიდრე წარმოადგენდნენ ნატოს დამხმარე საშუალებას. ასეთი პოზიცია იწვევს კონკურენციის ზრდას ინსტიტუციონალურ დონეზე. თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით ეუთპ ჯერ-ჯერობით არ ფლობს ნატოს შესადარ სიმძლავრესა და შესაძლებლობებს, რაც იმით არის გამოწვეული რომ ნატო ძირითადად აშშ-ის სამრეწველო პოტენციალსა და საშუალებებს ეყრდნობა. მეორე მხრივ, ეუთპ დამოუკიდებლად ცდილობს არსებული სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენის დაძლევას და ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება კიდევ. მიუხედავად ამჟამინდელი სამხედრო ჩამორჩენისა ევროკავშირის წევრი ქვეყნები მაინც ამჯობინებენ იმოქმედონ აშშ-სა და ნატოსგან დამოუკიდებლად რათა გარდაქმნან ევროკავშირი „რბილი“ ძალიდან „მტკიცე“ ძალად. ეს შემობრუნება ხდება ტრანს-ატლანტიკური ურთიერთობების გამოწვევა რაც თანდათან შესუსტებს „სტრატეგიული პარტნიორობის“ კონცეფციას.

საკვანძო სიტყვები: ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ეუთპ); ნატო; აშშ; ევროკავშირი; ევროკავშირის წევრი ქვეყნები; ტრანსატლანტიკური ურთიერთობა; „რბილი“ ძალა; „მტკიცე“ ძალა; „სტრატეგიული პარტნიორობის“ კონცეფცია.

რეცენზენტი: პროფესორი გიორგი ბაღათურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Гогидзе Шалва (Лаша) Темурович

Европейская политика безопасности и обороны в контексте трансатлантического сотрудничества Партнерство или соперничество?

Резюме

В статье рассмотрены вопросы зарождения и развития Европейской политики безопасности и обороны (ЕПБО). Отмечено, что ЕПБО проходила в рамках НАТО, поскольку с самого начала предполагалось, что НАТО обеспечивает военную безопасность и оборону Европейских стран, именно в этом заключалась главное назначение НАТО. С другой стороны, в международных отношениях Евросоюз постепенно сформировался как потенциально глобальная сила, которая становится противовесом США. В этом контексте ставится критический вопрос – УПБО должна усилить или ослабить трансатлантические отношения? Что такое ЕПБО – вызов гегемонии США или долгосрочное партнерство в военной сфере?

В статье показано, что в широком смысле трансатлантические отношения весьма сложны, которое характеризуется политическими флуктуациями и стратегическими отклонениями. Включение ЕПБО в эти отношения показывает, что трансатлантические отношения ждут впереди долгий и трудный путь.

В статье показано, что в широком смысле трансатлантические отношения весьма сложны, которое характеризуется политическими флуктуациями и стратегическими отклонениями. Включение ЕПБО в эти отношения показывает, что трансатлантические отношения ждут впереди долгий и трудный путь. Главный вызов в отношениях ЕС и НАТО, в основном политического характера, что подталкивает ЕС развивать собственную автономную военную мощь, тем более что, государства-члены ЕС предпочитают действовать в рамках ЕПБО, чем представлять собой вспомогательный источник для НАТО. Такая позиция вызывает увеличению соперничества на институциональном уровне. Хотя, в военном отношении ЕПБО пока отстает от НАТО, поскольку НАТО опирается на военно-промышленную мощь США. С другой стороны, ЕПБО старается независимо преодолеть отставание и в этом направлении проводятся серьезные работы. Несмотря на теперешнее военное отставание государства-члены ЕС все же предпочитают

действовать независимо от НАТО и США, дабы преобразовать ЕС из «мягкой» силы в «твердую». Этот поворот является вызовом трансатлантические отношений. что постепенно ослабит концепцию «стратегического партнерства»

Ключевые слова: Европейская политика безопасности и обороны (ЕПБО); НАТО; США; ЕС государства-члены ЕС; трансатлантические отношения; «мягкая» сила; «твердая» сила; концепция «стратегического партнерства».

Рецензент – профессор Георгий Шотаевич Багатурия, Грузинский технический университет

ვასილ კაჭარავა

აშშ-ის პროფკავშირები, ტაფტ-ჰარტლის კანონი და დ. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია

ამერიკის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პროფკავშირები, რომელთა ძირითადი ძალა 1950-იან წლებში კონცენტრირებული იყო ისეთ უზარმაზარ პროფკავშირულ გაერთიანებებში, როგორცაა ამერიკის შრომის ფედერაცია და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი. 1950-იანი წლების შუა პერიოდისთვის პროფკავშირთა წევრების რაოდენობა დაახლოებით 17 მილიონი იყო. მათ შორის ამერიკის შრომის ფედერაციაში – 9 მილიონი წევრი, ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესში – 6 მილიონი, ხოლო გაერთიანებულ მაღაროელთა პროფკავშირში, რკინიგზის საძმოსა და კიდევ სხვა შედარებით მცირე დამოუკიდებელ პროფკავშირებში ჯამში 2, 5 მილიონი წევრი იყო.¹

როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ჩარლზ უილსი აღნიშნავდა, 1950-იანი წლები პროფკავშირული მოძრაობისათვის უდიდესი წარმატებების და ასევე, უდიდესი პრობლემების პერიოდი იყო. 1953 წელს ამერიკელ მშრომელთა ერთი მესამედი გაერთიანებული იყო პროფკავშირებში და ეს უმაღლესი მაჩვენებელია ამერიკის ისტორიაში, თუმცა ამ მასშტაბებს სერიოზული პრობლემებიც სდევდა თან.²

ომის შემდგომი პერიოდის პროფკავშირების მთავარ პრობლემას 1947 წელს, პრეზიდენტ ტრუმენის ვეტოს მიუხედავად მიღებული, ტაფტ-ჰარტლის აშკარად ანტიპროფკავშირული კანონი წარმოადგენდა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეკვეცა პროფკავშირთა მიერ „ახალი კურსის“ დროს მოპოვებული უფლებები. კერძოდ კი, ამ კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა გაფიცვების მოწყობის შესაძლებლობები. გაფიცვა, რომელიც იწვევდა ეროვნული მასშტაბის საგანგებო ვითარებას, სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება გადადებულიყო 80 დღით. პროფკავშირებს ეკრძალებოდათ თანხის შეტანა იმ პირთა ფონდებში, რომელნიც ფედერალურ თანამდებობებზე იყრიდნენ კენჭს. ამ კანონით შტატების ლევისლატურებს

შეეძლოთ აეკრძალოთ პროფკავშირების ნებისმიერი გარანტიები, მათ შორის ფედერალური კანონით დაშვებულიც, სახელმწიფო მოხელეებს კი საერთოდ არ ჰქონდათ გაფიცვის უფლება.

ეს კანონი მიუთითებდა საზოგადოებაში კონსერვატიული ანტიპროფკავშირული განწყობილებების ზრდაზე. პროფკავშირებს წარმოსახავდნენ ეგოისტურ დაინტერესებულ ჯგუფებად, რომლებიც საზოგადოებას საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდა და რომელთაც უპასუხისმგებლო ლიდერები ჰყავდათ. გარკვეულწილად, ამას გააჩნდა კიდევ საფუძველი, ვინაიდან ითვლებოდა, რომ პროფკავშირები ხშირად ახდენდნენ ზეწოლას ცალკეულ მშრომლებზე, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ მათ პოლიტიკას. ამ ზეწოლის შედეგად ზოგჯერ პროფკავშირებში გაერთიანებასაც კი აიძულებდნენ მათ. ხოლო ისეთი ინდივიდუალისტური ტრადიციების ქვეყანაში როგორც შეერთებული შტატები იყო ეს საკმაოდ სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა.

თუმცა, ეს ძალზე ცალმხრივად წარმოაჩენდა მათ და არ ასახავდა იმ უდიდეს როლს, რომელსაც პროფკავშირები ასრულებდა მშრომელთა უფლებების დასაცავად და საერთოდ ამერიკული დემოკრატიისათვის. ისიც საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც სუსტი პროფკავშირებია, ძნელია საუბარი სრულყოფილ დემოკრატიაზე.

ბუნებრივია, რომ ეს კანონი პოლიტიკური პარტიების მსჯელობის საგნადაც იქცა. 1952 წლის არჩევნებში დემოკრატიული პარტია თავის პლატფორმაში პირდაპირ მოითხოვდა ამ კანონის გაუქმებას, ვინაიდან იგი არაადეკვატურად, არაეფექტურად და უსამართლოდ მიაჩნდა.³

რესპუბლიკელები კი მის შენარჩუნებას მოითხოვდნენ, იმ საბაბით, რომ იგი იცავდა მოქალაქეს როგორც დამქირავებლის, ასევე პროფკავშირების ხელმძღვანელობის უსამართლო ქმედებისაგან. თუმცა არც იმას უარყოფდა, რომ არსებული რეალობებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა კანონის ზოგიერთი პუნქტის შეცვლა.⁴

შესაბამისად, ტაფტ-ჰარტლის კანონს მართლაც მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მათ შორის, წამყვან

პოლიტიკურ პარტიებში. მაგრამ, როგორც აშშ-ის წარმომადგენელი გაეროში ჰენრი კებოტ ლოჯი უმცროსი აღნიშნავდა, 1953 წლის 30 დეკემბერს ორივე პარტიაში ათ-ათი პროცენტიც კი არ მისცემდა ხმას ამ კანონის გაუქმებას.⁵

1953 წელს თავის პირველ ყოველწლიურ მიმართვაში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა საკმაოდ ბევრი ისაუბრა მუშათა პრობლემებზე და გააკრიტიკა კიდევ ტაფტ-ჰარტლის კანონი, როგორც მეტისმეტად კონსერვატიული, მიუთითა ამ კანონის ცალკეული პუნქტების გადახედვის აუცილებლობაზე (რასაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო გამოსვლებში აღნიშავდა) და ისიც დაამატა, რომ ამ თემაზე კონგრესში უკვე მუშაობდნენ. გამოსვლის დასასრულს ხაზგასმით აღნიშნა – „უნდა გვახსოვდეს, რომ პროფკავშირები და კოლექტიური ხელშეკრულებები ჩვენი ცხოვრების მონუმენტებია და მათ უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებავით ქვეყნის სამრეწველო ცხოვრებაში. მათ აწვლავთ მიღწევები აქვთ, ხოლო ჩვენი რწმენა მათ მიმართ დადასტურებული, მტკიცე და საბოლოოა.“⁶

1953 წლის 23 სექტემბერს ამერიკის შრომის ფედერაციის 72-ე ყოველწლიურ კონვენტზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა სახეიმოდ წაიკითხა ეიზენჰაუერის მისაღმება დელეგატებისადმი. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაამოწმა თავისი მუდმივი პატივისცემა და მეგობრობა პროფკავშირებისადმი, გააკრიტიკა ტაფტ-ჰარტლის კანონის ზოგიერთი მუხლი, თუმცა არ დაეთანხმა ამ კანონის ანტიპროფკავშირულად მონათვლას. მან ისიც აღნიშნა, რომ კლასობრივი მიდგომაც არ იყო გამართლებული, ვინაიდან პროფკავშირები მთელ ამერიკას ეკუთვნოდა.

პრეზიდენტმა აღნიშნა პროფკავშირების ზრდის ხელშეწყობის აუცილებლობა და ისიც დაამატა, რომ გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე ცალკეული მშრომელების, მათი დამქირავებლების და ფართო საზოგადოების ინტერესებიც. თავის მიმართვაში ეიზენჰაუერი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ჩარევა პროფკავშირების მართვაში არასასურველი იყო. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის ინიციატივით სპეციალური არაოფიციალური კომიტეტიც კი შეიქმნა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფკავშირულ საქმეებში გათვითცნობიერებული კონგრესმენებისგან და დაამატა, რომ

მარტინ დურკინის (რომელიც თავად იყო ერთ-ერთი პროფკავშირის ლიდერი) დანიშნავს შრომის მინისტრად პროფკავშირებისადმი კეთილგანწყობას მოწმობსო.⁷

თუმცა სინამდვილეში პრეზიდენტი შეეწინააღმდეგა შრომის მინისტრის აქტიურობას ტაფტ-ჰარტლის კანონის შეცვლასთან დაკავშირებით. თანაც ისიც დასძინა, რომ შრომის მინისტრი უნდა წარმოადგენდეს მთავრობას და არა ამერიკის შრომის ფედერაციას. თუმცა, როდესაც ეიზენჰაუერმა ამ კანონში გარკვეულ ცვლილებებს მიიღო დაუჭირა მხარი, მისმა ვიცე-პრეზიდენტმა, უკიდურესმა კონსერვატორმა რიჩარდ ნიქსონმა ურჩია, არ გაეღიზიანებინა დიდი ბიზნესი და სამხრეთის შტატები. ამდენად პრეზიდენტმაც შეაჩერა მისი მოთხოვნა ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. საბოლოოდ დირკინმა ჩათვალა, რომ მას ხელს უშლიდნენ საკუთარი მოვალეობის შესრულებაში და სულ მალე, 1953 წლის აგვისტოში, გადადგა კიდევ⁸.

მისი ადგილი ბლუმინგდეის მაღაზიების ქსელის ვიცე-პრეზიდენტმა, რომელიც ამ სისტემის შრომის საკითხებს კურთხებდა, ჯეიმს მიჩელმა დაიკავა. ისიც შეეცადა გარკვეული ცვლილებები შეეტანა ტაფტ-ჰარტლის კანონში, მაგრამ უშედეგოდ.

ამ კანონის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო ძლიერდებოდა და მას ახალი იმპულსი მისცა ამერიკის უდიდესი პროფკავშირების გაერთიანების პროცესმა. 1952 წლის ნოემბერში ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ უილიამ გრინი, რომელიც 30 წელი იყო ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელი და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის ლიდერი ფილიპ მიურეი.

შესაბამისად ამერიკის შრომის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ფედერაციის ფინანსების გამგებელი, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ჯორჯ მინი აირჩიეს. თუმცა, რეალურად მინის ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული და ფაქტობრივად მეორე კაცი იყო შრომის ფედერაციაში. მან დიდი როლი ითამაშა პროფკავშირის წევრთა ზრდაში ომის დროს. მინი ამავე დროს, პასუხივებული იყო ამ გაერთიანების საერთაშორისო ურთიერთობებზე. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის დასასრულს თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის შექმნაში და მთელი თავისი კარიერის

მანძილზე იბრძოდა თავისუფალი პროფკავშირების გაძლიერებისათვის მთელს მსოფლიოში. ტაფტ-ჰარტლის კანონის მიღების შემდეგ მან შექმნა მშრომელთა ლიგა პოლიტიკური განათლებისთვის, რომელიც პირველად გამოხატავდა ფედერაციის მცდელობას პროფკავშირების რეგისტრაციის, განათლებისა და მობილიზაციის საქმეში. ამავე დროს, მინი თავისი ანტიკომუნისტური განწყობილებებით გამოირჩეოდა.

ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის ხელმძღვანელად კი, გაერთიანებული საავტომობილო მუშების ბრწყინვალე და დინამიური ლიდერი ვალტერ რეუტერი აირჩიეს. იგი გამობრძმედილი პროფკავშირული ლიდერი იყო, რომელიც, თავის დროზე, ფორდის კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის აგენტებთან შეჭიდებასაც არ მორიდებია. ის კარგი ორგანიზატორი, მენეჯმენტთან შემტევი და ჯიუტი მომლაპარაკებელი და ბრიწყვალე ორატორიც იყო. 1930-იან წლებში ის და მისი ძმა საბჭოთა კავშირში მუშაობდნენ და გარკვეულად მოექცნენ სოციალისტური იდეების გავლენის ქვეშ, მაგრამ 1946 წლისთვის როცა იგი საავტომობილო პროფკავშირის ლიდერი გახდა ისეთივე ანტიკომუნისტი იყო, როგორც პროფკავშირთა ლიდერების უდიდესი უმრავლესობა ⁹.

სწორედ ამ ორი ლიდერის მეშვეობით 1953 წლიდან დაიწყო ამ პროფკავშირების დაახლოება, რაც 1955 წლის თებერვალში მათი შერწყმა დასრულდა. შაბოლოო ჯამში ამ გაერთიანებამ 15 მილიონი კაცი მოიცვა.

1956 წლის 4 ივნისს აშფ-იოკ-ის შენობაში გამართულ საზეიმო ცერემონიალს დაესწრო თვით ეიზენჰაუერიც, რომელმაც უდიდესი პატივისცემა გამოხატა გაერთიანებული პროფკავშირის პრეზიდენტის ჯორჯ მინის მიმართ და აღნიშნა, რომ თეთრი სახლი მუდამ მზად იყო პროფკავშირთან აქტიური თანამშრომლობისთვის.

კარგად გამოიკვეთა მთავრობისა და პროფკავშირების ურთიერთობა 1956 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც, სადაც ტაფტ-ჰარტლის კანონისადმი დამოკიდებულება კვლავ მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. დემოკრატები ამ კანონის მიმართ ზუსტად იმავე სიტყვებს იყენებდნენ როგორც 1952 წლის არჩევნებში. კერძოდ კი, იგი არაადაეკვატურად, არაეფექტურად და უსამართლოდ მიაჩნდათ. აგრეთვე თავიანთ ამომრჩეველებს

პირდებოდნენ შრომითი ანაზღაურების მინიმუმის გაზრდას 1,25 დოლარამდე.¹⁰

რესპუბლიკელები, თავის მხრივ, იღებდნენ ვალდებულებას სერიოზულად შეეცვალოთ ტაფტ-ჰარტლის კანონი, რათა უკეთ დაეცვათ „პროფკავშირების, მმართველობის, ინდივიდუალური მშრომელებისა და საზოგადოების ინტერესები.“ აღნიშნავდნენ, რომ 1954, 1955 და 1956 წლებში პრეზიდენტი მოუწოდებდა კონგრესს ცვლილებების შეტანას ამ კანონში, მაგრამ დემოკრატიულმა უმრავლესობამ ეს ინიციატივები დაბლოკა.¹¹

აშფ-იოკ-ის ხელმძღვანელობა, ისე როგორც ამას ტრადიციულად აკეთებდნენ დიდი პროფკავშირები, დემოკრატთა მხარეს იყო. თუმცა, ინდივიდუალურად, პროფკავშირთა წევრებმა და მათი ოჯახის წევრთა თითქმის ნახევარმა ეიზენჰაუერს მისცა ხმა. საინტერესოა, რომ კვალიფიციურ მუშათა შორის ეიზენჰაუერს 56 პროცენტმა მისცა ხმა, არაკვალიფიციურთა შორის – 46-მა, ხოლო უშუალოდ პროფკავშირთა წევრებისა და მათ ოჯახის წევრებიდან 48 პროცენტმა.¹²

1958 წლის 23 იანვარს პრეზიდენტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონგრესს შრომისა და მენეჯმენტის ურთიერთობების შესახებ. კერძოდ კი, საქმე ეხებოდა ტაფტ-ჰარტლის კანონში შესატან შესწორებებს, რათა მას „უკეთ დაეცვა ინდივიდუალური მშრომელის, საზოგადოების, მენეჯმენტისა და პროფკავშირების უფლებები შრომისა და მენეჯმენტის ურთიერთობებში“. როგორც პრეზიდენტი აღნიშნავდა, უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი კორუფციის, რეკეტის, ნდობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები შრომის მართვის სფეროში და საჭირო იყო ამ ვითარების გამოსწორება.¹³

აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესთან გაერთიანების შედეგად მეტისმეტად კონსერვატიულ ამერიკის შრომის ფედერაციას ზოგიერთ პრინციპზე მოუწია უარის თქმა. მაგალითად, მან აღიარა საწარმოო და საცეხო კავშირების თანასწორობა და აუცილებლობა, აღიარა, რომ პროფკავშირების პრივილეგიებით სარგებლობის უფლება ჰქონდა ყველას მიუხედავად რასობრივი და რელიგიური კუთვნილებისა, თუმცა აშკარად არ გაულაშქრია რასიზმის წინააღმდეგ.

შედგად ახალი გაერთიანების 27 ვიცე-პრეზიდენტიდან ორი ვიცე-პრეზიდენტი გახდა ზანგი, ზანგებს კი მანამდე არასოდეს ჰქონიათ ასეთი მაღალი პოსტები ამ პროფკავშირებში.

ახალმა გაერთიანებამ უფრო აქტიურად დაიწყო ბრძოლა ზოგიერთ პროფკავშირში გავრცელებულ ისეთ დარღვევებთან, როგორც იყო პროფკავშირული ფონდების არამიზნობრივი გამოყენება პროფკავშირის ლიდერების მიერ. ამასთან დაკავშირებით რეკეტზეც კი საუბრობდნენ. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა, რომ 1957 წელს შექმნილ სენატორ მაკელანის კომისიაში მოსმენებმა მნიშვნელოვანი რაოდენობის დარღვევები გამოავლინა და სერიოზულად შეარყია პროფკავშირთა რეპუტაცია. ამან კი, თავის მხრივ, დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა პროფკავშირებზე. შედეგად ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმების ან მისი შერბილების ნაცვლად 1959 წელს კონგრესმა მიიღო ე.წ. ლანდრუმ-გრიფინის კანონი (Labor – Management-Reporting and Disclosure Act.), რომელმაც კიდევ უფრო გაამკაცრა სანქციები პროფკავშირების მიმართ. კორუფციის შემცირების მიზნით იგი არეგულირებდა პროფკავშირების ხელმძღვანელთა არჩევის პროცესს. როგორც წამყვანი საბჭოთა ისტორიკოსები წერდნენ, ლენდრუმ-გრიფინის კანონი იყო ანტიმუშური და გააძლიერა სახელმწიფოს ჩარევა პროფკავშირების შიდა საქმეებში.¹⁴ თუმცა მსგავს ავტორებს ძალიან მოსწონდათ და სურდათ, რომ იგივე სახელმწიფო ჩარეულიყო ბიზნესის შიდა საქმეებში.

მაკელანის კომიტეტის საქმიანობისა და თავად პროფკავშირთა გაერთიანების თვითგანწმენდის სურვილის შედეგად გაერთიანებიდან ზოგიერთი პროფკავშირი გარიცხეს, მათ შორის მეფუნთუშეების და კონდიტერების, სამრეცხაოების, ქიმიური წმენდისა და ღებვის მუშაკთა პროფკავშირები. გარიცხეს აგრეთვე ყველაზე დიდი სატვირთო მანქანების პროფკავშირი. სულ კი გარიცხულ წევრთა რიცხვმა 1,7 მილიონს მიაღწია, რაც პროფკავშირების წევრთა 10 პროცენტს უდრიდა. გაერთიანებულმა პროფკავშირმა აქტიურად შეუტია მის რიგებში მყოფ კომუნისტებს და ამასვე მოუწოდებდა სხვა ქვეყნების პროფკავშირებსაც.¹⁵

თუმცა რასაკვირველია, პროფკავშირები ყველაფერში არ ეთანხმებოდნენ იმავე ლენდრემ-გრიფინის კანონს. აშფ-იოკ-ის პრეზიდენტი ჯორჯ მინი 1959 წელს ამ საკითხისადმი მიძღვნილ რადიოგამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ამ კანონის წყალობით ბევრი კანონმორჩილი პროფკავშირი დაინაგრებოდა.¹⁶

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი აქტიურად უჭერდნენ მხარს როგორც ტრუმენის ასევე ეიზენჰაუერის საგარეო პოლიტიკას და განსაკუთრებით ამ პოლიტიკის ცივი ომის ასპექტებს, იქნებოდა ეს ტრუმენის დოქტრინა თუ მარშალის გეგმა, ნატოს შექმნა თუ კორეის ომი. ისინი, სხვათა შორის, სადაზვერვო სამსახურებიდან მიღებულ ფულსაც იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირებში მემარცხენე ელემენტების გავლენის შესამცირებლად. ამ პროფკავშირული გაერთიანებების ლიდერები კატეგორიულად ემიჯნებოდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას და ანტიკომუნიზმის ავანგარდში იყვნენ.¹⁷

1959 წლის 16 ივლისს ეიზენჰაუერმა წერილი გაუგზავნა ამერიკის შრომის ფედერაციისა და ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესის პრეზიდენტს მინის და ამ უდიდეს პროფკავშირულ გაერთიანებას მადლობა გადაუხადა მთავრობის მხარდაჭერისთვის დასავლეთ ბერლინთან განვითარებული მოვლენების გამო. „ეს კიდევ ერთხელ უმტკიცებს ყველას, განსაკუთრებით კი საბჭოელებს, რომ ამერიკაში შრომა თავისუფალია და იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილია ჩვენს ქვეყანაში“. აღნიშნავდა რა ამერიკელთა ერთიანობას მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ გახლენს ამ ხალხს, მით უმეტეს, როცა საქმე ერთგული ინტერესებს ეხება. ასასრულს, კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ფროპკავშირების მიმართ სოლიდარობისთვის.¹⁸

იმავე ტაფტ-ჰარტილი კანონის რაკურსში, ამერიკის მთავრობისა და პროფკავშირების ურთიერთობის საილუსტრაციოდ, ალბათ, კარგ მაგალითს წარმოადგენს დაპირისპირება ფოლადის წარმოებაში. ჯერ კიდევ 1952 წლის 3 მაისს პროფკავშირების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ტრუმენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფოლადის წარმოებაში არსებული კონფლიქტის მოგვარებას

და სწორედ მისკენ მოუწოდებდა კიდევ დაპირისპირებულ მხარეებს. იგი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ეს წარმოება, უპირველეს ყოვლისა თავდაცვის სასიცოცხლო ინტერესებს და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ წინსვლას ემსახურებოდა. აღნიშნა, რომ ფოლადის წარმოების უწყვეტობისთვის მთავრობა იძულებული იყო დროებით ხელში აეღო ამ წარმოების მმართველობის გარკვეული ელემენტები და გადაედგა ნაბიჯები იქ შრომის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესებისთვის, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ეს არ იყო მთავრობის საქმე და ეს პრობლემები საბოლოოდ თავად პროფკავშირებს და მეწარმეებს უნდა მოაგვარებინათ.

ტრუმენმა კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ იმ დროს ეკონომიკური ვითარება კარგ პირობებს ქმნიდა შემოსავლების და ხელფასების სამართლიანი განაწილებისთვის. აგრამ, თუ მსოფლიოში მშვიდობა დამყარდებოდა და ეს მნიშვნელოვანწილად ამერიკის ფოლადის წარმოებაზეც იყო დამოკიდებული, ვითარება ამ სფეროში კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა.¹⁹

1953 წელს 116 დღის მანძილზე გაჩერდა ამერიკის ფოლადის წარმოების 90 პროცენტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეიხენჰაუერიც კი ჩაერთო. 30 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც იგი შეხვდა რამდენიმე ფოლადის ქარხნის ხელმძღვანელსა და პროფკავშირების ლიდერებს, მან განაცხადა, რომ ეს გაფიცვა უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკასა და ასეულ ათასობით ადამიანის დასაქმებაზე. ამიტომაც იმედს გამოთქვამდა, რომ შეთანხმება მალე იქნებოდა მიღწეული.²⁰

საბოლოოდ, 7 ნოემბერს უმაღლესმა სასამართლომ გაფიცვულებს უბრძანა დაბრუნება სამუშაოზე 80 დღის განმავლობაში სანამ კომპანიების ხელმძღვანელები და ფროფკავშირების ლიდერები ფედერალური მთავრობის შუამდგომლობით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ეს მოხდა სწორედ ტაფტ-ჰარტლის კანონის საფუძველზე, რომლის თანახმადაც სასამართლოს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ისეთი გაფიცვა, რომელიც ხიფათს უქმნიდა „ეროვნულ უსაფრთხოებას“. საბოლოოდ, კომპანიებმა და პროფკავშირებმა, მთავრობის ჩარევით, მიადღიეს შეთანხმებას. თუმცა, ამასობაში ფოლადის კომპანიების ნაწილმა დაიწყო ფოლადის ნაწარმის იმპორტირება.²¹

მაღლე კონფლიქტი ახალი ძალით გადავიდა და 1956 წლის 1 ივლისს 650 ათასი მეფოლადე გაიფიცა. ეიზენჰაუერი აქტიურად ცდილობდა დაერწმუნებინა „უინაითედ სტილისა“ და „ბეტლექემ სტილ კორპორეიშენის“ ხელმძღვანელობა გარკვეულწილად გაეზარდათ მეფოლადეთა ხელფასები. საბოლოოდ ყველაფერი სამწლიანი შეთანხმებით დასრულდა და აგვისტოსთვის მუშაობა განახლდა კიდევ. ²² აქ ნიშანდობლივია, რომ კრიტიკულ ვითარებაში, პრეზიდენტ თედორ რუზველტის მსგავსად, ეიზენჰაუერიც აქტიურად ჩაერთო შრომით დისპუტში და გარკვეულ დათმობებზე დათანხმა დაპირისპირებული მხარეები, მით უმეტეს, რომ მას ამის უფლებას ტაფტ-ჰარტლის კანონიც აძლევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეიზენჰაუერის მმართველობის წლებში, მიუხედავად ხშირი დისკუსიებისა, ვერ მოხერხდა არამც თუ ამ კანონის გაუქმება, არამედ მასში რაიმე სერიოზული ცვლილების შეტანაც. უფრო მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, ლენგრემ-გრიფიტის კანონმა კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიული ზომები პროფკავშირებისადმი, რაც, გარკვეულწილად, პროფკავშირების მარცხად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თავად ტაფტ-ჰარტლის კანონი დღესაც ძალაშია.

მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა, პროფკავშირებისადმი თავისი კეთილგანწყობის დემონსტრირების მიზნით 1960 წლის 6 მაისს აშშ-ის პრეზიდენტი დაესწრო აშფ და იოკ-ის მიერ ორგანიზებულ გამოფენას. ჯორჯ მინისთან ერთად დაათვალიერა და მოიწონა იგი. ²³

1960 წელს, პრეზიდენტის ბრძანებით, შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ურთიერთობები რკინიგზის მფლობელებსა და ამ სფეროს პროფკავშირებს შორის. 1 ნოემბერს თავის სპეციალურ მიმართვაში პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ამ ორი ძალის თანამშრომლობა კარგ ნაყოფს გამოიღებდა და ამერიკისათვის დამახასიათებელი თავისუფალი მეწარმეობის სისტემის საფუძველზე წარიმართებოდა. ²⁴ ასე რომ, რევერანსები ამერიკის მთავრობასა და პროფკავშირულ ლიდერებს შორის ეიზენჰაუერის მმართველობის ბოლო დღეებამდე გრძელდებოდა, რასაც მნიშვნელოვანწილად

თვით ამერიკის ეკონომიკაში მიდინარე პროცესებმაც შეუწყო ხელი.

1950-იანი წლების ეკონომიკურმა აღმავლობამ მნიშვნელოვნად გაზარდა დაქირავებულ ამერიკელთა შემოსავალი. საშუალო წლიური შემოსავალი 1953 წლის 3,710 დოლარიდან 1959 წელს 4,965 დოლარამდე გაიზარდა.²⁵ შედარებით შემცირდა და სტაბილური გახდა უმუშევრობის დონეც, თუ არ ჩავთვლით 1958 წლის კრიზისს, როდესაც უმუშევრობამ 6, 8 პროცენტს მიაღწია, სხვა წლებში საშუალოდ 5 პროცენტამდე აღწევდა, ხოლო მაგალითად 1953 წელს იგი 2,9 პროცენტამდე იყო შემცირებული.²⁶

ამგვარად გაფიცვების მიზეზებიც ნაკლები იყო და თუ 1952 წელს მათ ამ ათწლეულის მაქსიმალურ რაოდენობას, 5117-ს მიაღწია, დანარჩენ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა და 1954 წელს უკვე 3 468, 1960 წელს კი 3 333 გაფიცვა იყო.²⁷

ვინაიდან ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდა, 1950-იანი წლების მანძილზე გამოიკვეთა პროფკავშირებში გაერთიანებული წევრების რაოდენობის შემცირებაც. მაგალითად, 1954 წელს პროფკავშირების წევრთა რაოდენობა 18 მილიონს აღწევდა, რაც ამერიკელ მშრომელთა 35 პროცენტს შეადგენდა, ხოლო რვა წლის შემდეგ უკვე 16, 8 მილიონამდე შემცირდა, რაც ამერიკელ მშრომელთა 30 პროცენტს უდრიდა.²⁸

საბოლოოდ, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1950-იან წლებში პროფკავშირული მოძრაობა მართლაც საკმაოდ ძლიერი და ორგანიზებული იყო. ამავე დროს პროფკავშირებში იმატა თვითგანწმენდის ტენდენციებმა. მიუხედავად დაპირისპირებისა ტაფტ-ჰარტლის კანონის გამო პროფკავშირული გაერთიანებები მაინც საკმაოდ წარმატებულად თანამშრომლობდნენ ამერიკის მთავრობასთან. აქტიური და ნაყოფიერო იყო ამ თანამშრომლობის ანტიკომუნისტური მიმართულებაც.

მაგრამ ყოველივე ეს მიღწეულ იქნა თავად პროფკავშირების საქმიანობის დახვეწით, მათი ბრძოლის გააქტიურებით, ვინაიდან დამქირავებელი იშვიათად თმობდა თავის ინტერესებს უბრძოლველად. ამ პაექრობაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ამერიკის ორი მთავარი პროფკავშირული გაერთიანების შერწყმამაც.

ლიტერატურა

References

1. Dubofsky M., Dulles F.R, *Labor in America , History*, Harlan Davidson Inc., Wheeling, Illinois, 60090-6000, 2004, p.348.
2. Charles A. Wills, *Decades of American History, America in the 1950-s*, A Stonesong Press Book, 2006.
- 3 *National Party Platforms 1840-1966*, Compiled by Kirk H. Porter and Donald B. Johnson. University of Illinois Press, Urbana, Chicago, London, 1972, p.480.
4. Ibid., p.502
5. Henry Cabot Lodge , jr. to D Eisenhower, December 30, 1953, Dwight Eisenhower Papers, Manuscript Division, Library of Congress, Washington D.C 1997, Reel 19.
6. <http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=9829>
7. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D Eisenhower, 1953, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office 1960, pp.608-611.
8. Stephen E. Ambrose, *Eisenhower, vol. II, The President, A Touchstone Book*, Published by Simon and Shuster, Inc. N.Y., 1984. p.117.
9. Dubofsky M., Dulles F.R, Op. Cit., p.349.
10. *National Party Platforms 1840-1966*, p. 531.
11. Ibid., p.551.
12. U.S News and World Report, 29. 03. 1957, pp. 65-66.
13. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1958, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office 1959, p.118.
- 14.История США т. 4 1945-1980, Наука, Москва, Стр. 212.
15. Там же, Стр.212.
16. *The American Spirit, U.S. History as Seen by Contemporaries*, Selected and Edited by Thomas A. Bailey, vol. II, D. C. Heath and Company, Lexington, Massachusetts, 1978, pp, 917-918.
17. Dubofsky M., Dulles F.R, Op. Cit., p.346.
18. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1950, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office 1960, 532.

19. Public Papers of the Presidents of the United States. Harry S. Truman, 1952-53, US Government Printing Office, Washington, 1966, pp.315-317.
20. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1953, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office 1960, p.705.
21. Charles A. Wills, *Decades of American History, America in the 1950-s*, A Stonesong Press Book, 2006, p.109.
22. Лан В. И. США в военные и послевоенные годы, Наука, Москва, 1978, Стр. 431.
23. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1960-61, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office 1961, pp.399-400.
24. Ibid., pp. 822-823.
25. Historical Statistics of the United States of America, Colonial Times to 1970, Washington, 1976, p.164.
26. Ibid., p.135.
27. Ibid., p. 179.
28. Dubofsky M., Dulles F.R, Op. Cit., p.355.

Vasil Kacharava

American Labor Unions, Taft-Hartley Law and D. Eisenhower's Administration.

Summary

The obvious anti labor Taft-Harley Law adopted in 1947 was a serious social problem for the America of 1950s. The law significantly reduced labor union’s rights received in the period of the “New Deal”. This law expressed conservative anti union frame of mind. The labor unions were pictured as selfish groups, which brought serious harm to the society and which had irresponsible leaders. It was thought that the labor unions often pressed individual workers and even enforced them to join the unions. But for America, the country with very strong individualistic traditions this was a serious fault.

Nevertheless the struggle against this law was getting stronger and the merger of America’s two largest labor unions gave to the process even larger impulse. In 1955 the amalgamation of the American Federation of Labor and the Congress of Industrial Organizations included 15 million members.

Based on the President D. Eisenhower's documents and other sources of that period, in paper is made an attempt to examine the reasons and results of these appearances, highlight the role of labor unions in the United States and some aspects of their relationship with the government. It can be said that in the years of Eisenhower's presidency, despite of frequent discussions, it was impossible not only to revoke this law, but even change it, which somehow must be considered as a failure of the labor unions. The Taft-Hartley's Law is in force even today.

Despite that failure and certain decline of the unions membership provoked by the economic boom, it can be concluded that in 1950's the merged unions were strong enough and well organized. At the same time in the unions grew the tendencies of self-scouring. Despite the resistance of the government and the Taft-Hartley law, in certain fields, including anti-communist struggle, the unions cooperated quite effectively with administration.

But this everything was achieved buy improvement of the labor unions, by the intensified struggle, as employees rarely compromises their interests without resistance. We hope that experience of American labor unions will be helpful for Georgian trade unions as well.

Keywords: America in 1950s; American Labor Unions ; Taft-Hartley Law; President D. Eisenhower; American Federation of Labor; Congress of Industrial Organizations; Strike; Democratic party; Republican party; George Mini; Labor –Management-Reporting and Disclosure Act.

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

Качаравა Василий Вилениевич
Американские профсоюзы, закон Тафта-Хартли и администрация Дуайета Эйзенхауера

Резюме

Важную социально-экономическую проблему Америки 1950-ых годов представлял принятый в 1947 году явно антипрофсоюзный закон Тафта-Хартли, который значительно ущемлял права, полученные профсоюзами в период "Нового Курса".

Этот закон отражал рост консервативных антипрофсоюзных настроений в обществе. Профсоюзы рисовались как эгоистичные

заинтересованные группы, вредящие обществу, которыми руководили безответственные лидеры. Тем более, что порой профсоюзы и впрямь оказывали давление на конкретных (отдельных) трудящихся, вплоть до вынуждения вступить в ряды профсоюзов. А в стране таких индивидуалистических традиций как США, это было весьма серьёзным обвинением.

Несмотря на эти обстоятельства, борьба против закона Тафта-Хартли всё более возрастала и получила новый импульс в лице слияния двух мощнейших американских профсоюзных объединений. В 1955 году слияние Американской федерации труда и Конгресса производственных профсоюзов объяло более 15 миллионов человек.

Основываясь на опубликованных документах президента Эйзенхауера и других первоисточниках того периода в данной статье делается попытка проследить причины и следствия указанных процессов, выделить роль профсоюзов в жизни Америки и разные аспекты их сотрудничества с администрацией.

Надо отметить, что в годы правления Эйзенхауера, несмотря на частые споры, не удалось не то что отменить этот закон, но и внести в него сколь либо важные изменения, что явилось серьёзной неудачей профсоюзного движения. А закон Тафта-Хартли жив и по сей день.

Несмотря на эту неудачу, надо признать, что в 1950-ые годы профсоюзное движение было довольно мощным и организованным, хотя экономический бум сократил число членов профсоюзов. В то же время в профсоюзах возросла тенденция т.н. самоочищения. Несмотря на противостояние по вопросу о законе Тафта-Хартли, АФТ-КПП весьма успешно сотрудничали с американским правительством, в том числе и на стезе борьбы против коммунизма.

Но всё это было достигнуто благодаря улучшения деятельности профсоюзов и активизации их борьбы, так как наниматель редко делает уступки без упорной борьбы.

Надеемся, что опыт американских профсоюзов пригодится и находящимся в зачаточном состоянии грузинским профсоюзам.

Ключевые слова: Америка 1950-ых годов, закон Тафта-Хартли, Д. Эйзенхауер, Американская федерация труда, Конгресс производственных профсоюзов, "Новый Курс".

Рецензент – профессор Догонадзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

თენგიზ გრიგოლია, მიაა ამირგულაშვილი

ზბიგნევ ბჰეჰინსკის გეოპოლიტიკური კონცეფციის ზოგიერთი თაზისებზე განხილვა

ზბიგნევ ბჰეჰინსკი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და პოლიტოლოგია, რომელსაც 1977 წელს პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მმართველობის დროს ეროვნული უშიშროების მრჩეველის პოსტი მთელი ოთხი წლის განმავლობაში ეკავა, იგი „რუხი კარდინალის“ რეპუტაციით სარგებლობდა, მან დაწერა წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელმაც პოლიტიკურ წრეებში დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია, ავტორმა აღნიშნული წიგნი მიუძღვნა სტუდენტებს, რათა იგი მათ დახმარებოდა „მომავალი მსოფლიოს კონტურების მონიშვნაში“. აღნიშნულ წიგნს შემდგომში მოყვა მთელი რიგი ნაშრომები და გამოსვლები, სადაც ჩამოყალიბებულია ზბიგნევ ბჰეჰინსკის გეოპოლიტიკური კონცეფციის თავისებურებანი, ასევე საერთოდ რუსეთის მოკრძალებული ადგილი მსოფლიოს დიდ პოლიტიკაში.

რუსეთთან ურთიერთობაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ზბჰეჰინსკის მიერ გამოცემულ წიგნში, როგორცაა „კონტროლის გარეშე გლობალური უწყსრიგობა XX საუკუნის ზღურბლზე“, სადაც გარდა რუსეთთან ურთიერთობისა ავტორი აკეთებს პროგნოზებს მთელ რიგ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში. სპანთიგოტონის ცივილიზაციური მიდგომისაგან განსხვავებით ზბჰეჰინსკის მოსაზრებები ეფუძნება ტრადიციულ გეოპოლიტიკურ პრინციპებს. ავტორის აზრით სსრ კავშირის დაშლამ ევრაზიაში გეოპოლიტიკური ვაკუუმი გამოიწვია [1:16]. იგი გახდა იმ კონფლიქტების მთავარი მიზეზი, რომელიც პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური სივრცის პერიმეტრზე ხდებოდა და ხდება. ისლამის აქტივიზაციამ და აშშ-ის უუნარობამ, რომ კონტროლი დაემყარებინა შუა აღმოსავლეთში, შექმნა არასტაბილურობის ზონა, რომელმაც შემდგომ სპარსეთის ყურეც მოიცვა. მთავარ საშიშროებად ამერიკელი პოლიტოლოგი ხედავს რუსეთის მიერ იმპერიული პოლიტიკის განახლებას, მისი აზრით მიუხედავად რუსეთის ოდნავი დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობისა მას გარდაუვალად მიაჩნია რუსეთის

„იმპერიული ზრახვების აღორძინება“. ბუეზინსკი ეჭვის ქვეშ აყენებს რუსეთის მიერ ხელმოწერილი ატომური იარაღის გაუზრცვლებლობის რეჟიმის დაცვას, მისი აზრით საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთისა ამერიკისათვის სახიფათოა. მას მიაჩნია რომ მომავალში რუსეთის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ უკრაინა უნდა გახდეს. ეს იდეა დაფუძნებულია იმ მრწამსზე, რომ მთავარი პირობა „რუსეთის იმპერიის“ აღორძინებისა არის რუსეთის ლტოლვა იქითკენ, რომ მან შთანთქოს უკრაინა. მაშინ, როდესაც უკრაინა განიცდიდა ძლიერ ეკონომიკურ კრიზისს ზ.ბუეზინსკი ყველას მოუწოდებდა აღმოეჩინათ უკრაინისთვის ეკონომიკური დახმარება. რუსი პოლიტოლოგების აზრით აღნიშნული მოწოდება იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ უკრაინის ეკონომიკა აღორძინებულიყო, არამედ იქითკენ იყო მიმართული, რომ კრიზისის პერიოდში უკრაინა რუსეთს არ დაახლოებოდა. მართლაც და ზბიგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უკრაინა და ამერიკა არ დაახლოებოდა ერთმანეთს, იგი ამისთვის პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა, მისი ვაჟი მუშაობდა კიევში ამერიკის საელჩოში, ამერიკული პოლიტოლოგიის მრავალი მოსწავლე დაინტერესებული აღმოჩნდა უკრაინის საქმეებით. ისინი მხარს უჭერდნენ უკრაინის ნაციონალურ ძალებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, რომ უკრაინა რუსეთისაგან დისტანცირებული ყოფილიყო.

ზ.ბუეზინსკის აზრით „რუსეთის იმპერიის“ აღორძინების აცილებაში უკრაინის შემდეგ მისაღები ქვეყნები უნდა გახდნენ აზერბაიჯანი და უზბეკეთი. აზერბაიჯანი თამაშობს განსაკუთრებულ როლს ნავთობის მოპოვების კონტროლის და კასპიური ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტზე. ზ.ბუეზინსკი იყო სწორედ სამხრეთის ნავთობის მარშრუტის მომხრე, რომელიც იწყებოდა ბაქოში და მთავრდებოდა თურქეთის პორტ ჯეიჰანში, იგი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ერთ-ერთი ლობისტი, რადგან აღნიშნული ნავთობსადენის მარშრუტის რეალიზაცია უნდა გამხდარიყო საქართველოსა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების გარანტი. 2005წ. 25 მაისს საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტებმა მილსადენში ნავთობი საზეიმოდ გაუშვეს. ბაქო-თბილისი-

ჯეიჰანი რუსეთისაგან დამოუკიდებელი ნავთობსადენი გახდა.

ზ.ბუჟინსკი იყო ინიციატორი, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეღო აქტიური მონაწილეობა მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებაში, რუსი პოლიტოლოგების აზრით ზ.ბუჟინსკის ამგვარი აქტიურობა, კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მოწოდებული იყო იქითკენ, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოების პრობლემა მოგვარებინა და რეგიონიდან რუსეთი გამოედევნა. XX-ს 90-იან წლებში ბუჟინსკი არაერთხელ მიუთითებდა და წერდა იმის შესახებ, რომ ჩრდილო კავკასია რუსეთის გარეშე უნდა დარჩენილიყო. მართლაც არც ერთ გამოჩენილ პოლიტიკოსს არ დაუყენებია რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი [3:112].

მესამე პოსტსაბჭოური ქვეყანა, რომელსაც ზ.ბუჟინსკი გამოყოფს უზბეკეთია. მისი ვარაუდით უზბეკეთმა შეიძლება წამყვანი პოზიცია დაიკავოს ცენტრალურ აზიაში თუ იგი წინ აღუდგება რუსეთის „იმპერიულ“ ზრახვებს. მას მიაჩნია, რომ უზბეკეთს ამისათვის ყველა წინაპირობები გააჩნია, რადგან უზბეკეთი რეგიონში მოსახლეობით მრავალრიცხოვანი სახელმწიფოა და საკმაოდ რესურსებს ფლობს. უზბეკეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ცენტრალური აზიის მთავარი ისტორიულ-კულტურული ცენტრი, გარდა ამისა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან უზბეკეთი სახელმწიფოებრივი ყოფის ტრადიციების მატარებელია, ეკონომიკურ ურთიერთობაში უზბეკეთი ბუჟინსკის აზრით თვითმყოფადი და რუსეთსაგან დამოუკიდებელი უნდა გახდეს.

რუსი გეოპოლიტიკოსები ბუჟინსკის აკრიტიკებენ იმაში, რომ მას უზბეკეთის მიზნის მისაღწევად არ აინტერესებს უზბეკეთის პოლიტიკური რეჟიმის ხასიათი და ქვეყნის მიერ არჩეული ეკონომიკური კურსის მოდელი, მისთვის მთავარია უზბეკეთის ვესტერნიზაცია და უზბეკეთის ანტირუსული მიმართულებისაკენ წაყვანა [2:225].

ზ.ბუჟინსკი ორი სახელმწიფოს აშშ-სა და ჩინეთის კონდონიმიუმს – როგორც მსოფლიოს მოწყობის მოდელს XXI საუკუნეში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. 2009 წლის იანვრის დასაწყისში იგი იმყოფებოდა პეკინში, სადაც მან გააკეთა მოხსენება აშშ-ჩინეთის სტრატეგიული კავშირის – „დიდი ორიანის“ შექმნის შესახებ. „დიდი

ორიანი“, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს შცვლა ასეთი იყო ბჟეჟინსკის მოხსენება. აღნიშნულ მოხსენებამდე ბჟეჟინსკი თავის შრომებში ჩინეთის შესახებ მიუთითებდა, რომ „არ უნდა შევეწინააღმდეგოთ ჩინეთის გავლენის ბუნებრივ ზრდას ევრაზიაში, მათ შორის ცენტრალურ აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირის რესპუბლიკებზე. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის ევრაზიულობა ისტორიულად მეორადია, წარმოადგენს წყენის ფუნქციას დასავლეთზე. დასავლეთისაკენ არის მიმართული „ეგზისტენციალური“ რუსული კითხვა „შენ მე პატივს მცემ?“ ყოველივე ეს ჩინელებს კარგად ესმით და რუსულ გეოპოლიტიკურ თამაშებს სკეპტიკურად ეკიდებიან. ჩინეთი არ საჭიროებს არავითარ სტრატეგიულ პარტნიორობას რუსეთთან ანტიამერიკულ საწყისებზე, დღევანდელი ჩინეთისათვის რუსეთთან ურთიერთობებზე უფრო მნიშვნელოვანია ურთიერთობები ამერიკასთან. ამერიკელები და ჩინეთი ორივენი მზად არიან კონცეფცია „დიდი ორიანის“ რეალიზებისათვის. რუსებისათვის ანტიამერიკანიზმი მასების სხვაგან ყურადღების გადატანა და მობილიზაციის ინსტრუმენტი.

ზ.ბჟეჟინსკის გეოპოლიტიკური გამოკვლევები განსხვავდება ამერიკის მთავრობის ოფიციალური პოზიციისაგან. გეოპოლიტოლოგს დიდი ხანია რაიმე ოფიციალური პოსტი არ უკავია აშშ-ის მთავრობაში, მაგრამ მას ყავს თანამოაზრეები ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში, მას და მის მოსწავლეებს აქვთ ფართო კავშირი დემოკრატიულ პარტიასთან.ზ.ბჟეჟინსკი ითვლება ამერიკის გეოპოლიტიკის სარკედ.

ლიტერატურა

References

1. Bzezinski. Z. Velikaia saxmatnaia doska. M.,1998 (Russian).
2. Zlobin N. Vtoroi novi miroporiadok. M.,2009 (Russian).
3. Lebedeva M.,Mirovaia politika. M., 2003 (Russian).
4. Lancova C., Ackacova V. Mirovaia politikia I mezhdunarodnie otnosenia.,Piter, 2008(Russian).
5. Utkin A. Mirovoi poriadok XXI veka. M., 2001. (Russian).
6. Bauman Z. In search of politics. Stanfona, 1999.

Tengiz Grigolia, Maia Amirgulashvili Geopolitical Conception Preferences of Zbignev Brzezinski

Summary

Zbigniew brzezinski was born in Warsaw Poland, in 1928 .After attending prep school in Montreal, Brzezinski entered MCGILL University in 1945 ,obtained both BA and MA degrees .in 1953 received doctorate in 1953.

As a Harvard professor he argued against Dwight Eisenhower and John F. Kennedy's policy of rollback, saying that antagonism would push Eastern Europe further toward the Soviets.

Brzezinski in 1960 was an adviser of Young F. Kennedy campaign, urging a non antagonist policy toward Eastern European governments. Brzezinski predicted the breakup of the Soviet Union along lines of nationality. This arguing he continued and supported détente for the next few years .

In 1964 he supported Lyndon Johnson's presidential campaign and the Great Society and civil rights policies.

Brzezinski continued to support encasement with Eastern European governments while warning against a "Europe from the Atlantic to the Urals". He also supported Vietnam War and for 1966-1968 served as a member of the policy planning Council of the US department of state.

Jimmy Carter announced his candidacy for the 1976 presidential campaign to a skeptical media and proclaimed himself an "Eager student" of Brzezinski .Brzezinski became Carter's principal foreign policy advisor by late 1975.After his victory in 1976 ,Carter made Brzezinski National Security Adviser.

By 1978 Brzezinski and Vance were more and more at odds over the direction of Carter's foreign policy.

Brzezinski laid out his most significant contribution to Post-cold war Geostategy in his 1997 book *The Grand Chessboard*. He defined four regions of Eurasia and in which ways, the United States ought to design its. policy toward each region in order to maintain its global primacy.

The four regions are : Europe, the democratic bridgehead ,Russia, the block hole, The Caucasuses and Central Asia, the Eurasian Balkans East Asia, the Far Eastern Anchor.

Keywords: Globalize regions, black hole, advisor, policy, direction, foreign security, Eurasia.

Reviewer – professor Vaja Shubitidze, Georgian Technical University

**Григолия Тенгиз Бондоевич,
Амиргулашвили Майя Ушангиевна
Геополитические концепций З. Бжезинского**

РЕЗЮМЕ

Интересны геополитические концепций З. Бжезинского. В своей книге он делает прогноз развития международных отношений после окончания холодной войны. Распад советского союза привёл к геополитическому вакууму в средцевине. Европы. Не веря в необратимость демократических преобразований России он считает неизбежным возврат к попытке «возрождения империй». У З. Бжезинского есть единомышленники в американской политической элите.

По мнению Бжезинского, ключевые позиции в предотвращении угрозы реставрации Российской империи на геополитическом пространстве занимают Украина, Азербайджан, Узбекистан и Грузия. Геополитическая концепция Бжезинского различает позицию американского правительства.

Ключевые слова: глобализм, регион, советник, концепция, политика, безопасность, Европа, урегулирование, отношения.

Рецензент: профессор Шибитидзе Важа Автандилович,
Грузинский технический университет

ისტორია

თინათინ იაშვილი ბაფართოებულ ევროპა – საქართველოს ბზა ევროინტეგრაციისაკენ

საქართველო თავისი არსებობის უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა. ევროკავშირის გაფართოებისაკენ სწრაფვამ ისტორიული შანსი მისცა ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ დაუკავშირდეს ევროპას, გაისივრდეს ის ღირებულებები, რომლებაც დღევანდელი ევროპა დემოკრატიის, ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვის, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უმთავრეს სიმაგრედ აქცია.

ევროპულმა გაერთიანებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის მხრდაჭერის თვალსაზრისით. ევროკავშირი ცდილობს გაავრცელოს მთელს ევროპაზე სტაბილურობისა და კეთილდღეობის ატმოსფერო. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ევროკავშირის მიერ 2003 წელს წარდგენილი დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისათვის“. მოგვიანებით, 2004 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია“, რომლის საფუძველზეც მოხდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ჩართვა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“.

სათანადო კონსულტაციებს მოჰყვა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნა, რომლის განხორციელება საშუალებას მისცემს საქართველოს უპასუხოს სათანადო სტანდარტებს და დაუახლოვდეს ევროკავშირს, უფრო მჭიდრო და ყოვლისმომცველი გახადოს მასთან თანამშრომლობა. საქართველოსათვის სამოქმედო გეგმა ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს. ევროკავშირთან თანამშრომლობის ხარისხი დამოკიდებული იქნება საქართველოს მხრიდან საერთო ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებაზე, ქვეყნის უნარზე

განახორციელოს ევროკავშირთან ერთად დასახული პრიორიტეტები საერთაშორისო და ევროპული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. სამოქმედო გეგმა პირველი ნაბიჯია ამ პროცესში.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ ხელს უწყობს ახალი ტიპის საპარტნიორო ურთიერთობების შექმნას, კერძოდ:

- იქმნება პერსპექტივა თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გადავიდეს უფრო ღრმა ინტეგრაციაზე.
- გაიზარდოს პოლიტიკური თანამშრომლობის მასშტაბი და ინტენსივობა პოლიტიკური დიალოგის მექანიზმების განვითარების საშუალებით;
- ევროკავშირი კვლავაც მტკიცედ დაუჭერს მხარს საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას მის ხელთ არსებული საშუალებების (ინსტრუმენტების) გამოყენებით, გაეროსა და ეუთოსთან აქტიური კონსულტირების საფუძველზე. ევროკავშირი მზადყოფნას გამოთქვამს განიხილოს ამ საკითხში უფრო აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობები.
- გაძლიერდება თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში, გასაკუთრებით საზღვრის მართვის და მიგრაციის საკითხებში.
- შეიქმნება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობა.
- გაღრმავდება სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები;
- გაიზარდება თანამშრომლობის პერსპექტივა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და გარემოს დაცვის სფეროებში;
- სამხრეთ კავკასიასთან პარტნიორობის პარალელურად შეიქმნება პერსპექტივა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობისა შავი ზღვის რეგიონში, აგრეთვე მჭიდრო რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებისა ბალტიის ზღვის, შავი ზღვის და კასპიის ზღვის რეგიონებს შორის;
- საქართველოსათვის გაზრდილი ფინანსური დახმარება მოხმარდება სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას;
- შეიქმნება შესაძლებლობა საქართველოს თანდათანობით ჩართვისა ევროპის თანამეგობრობის ზოგიერთ ისეთ პროგრამაში, რომელიც ხელს უწყობს კავშირების

დამყარებას კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვის და სამეცნიერო სფეროებში;

- ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად გაწეული იქნება ფინანსური და ტექნიკური დახმარება და დახმარება „დამობილების“ საშუალებით; შესაძლებელი იქნება მიზნობრივი კონსულტირება და დახმარების გაწევა კანონმდებლობის დაახლოების სფეროში

ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის გამოყენებით;

- საფუძველი ჩაეყრება დიალოგს იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა გადაადგილებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის;

- სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულების და ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების შეფასების მიზნით, დროთა განმავლობაში განხილული იქნება შესაძლებლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ახალი, უფრო მჭიდრო სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებისა.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები 8 პრიორიტეტული სფეროს მიხედვით:

1. კანონის უზენაესობის განმტკიცება სასამართლო სისტემისა (პენიტენციური სისტემის ჩათვლით) და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საშუალებით. აღამიანის უფლებების და ფუნდამენტური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად („შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ,” ეუთო, გაერო).

2. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება გამჭვირვალე პრივატიზების პროცესის საშუალებით და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება.

3. ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომი დაახლოება.

4. თანამშრომლობის განმტკიცება მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში, საზღვრის მართვის ჩათვლით.

5. რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება.

6. შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.

7. თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.

8. საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის, აგრეთვე, ევროკავშირის სატრანსპორტო და ენერგეტიკის ქსელებთან ურთიერთკავშირის გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში ეფექტიანი თანამშრომლობა ევროკავშირსა და შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონების სახელმწიფოებს შორის „ბაქოს ინიციატივის“ ფარგლებში;

იმ დონისძიებათა შორის, რომელიც კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და სასამართლო სისტემის გარდაქმნას ეხება უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მთელი სასამართლო სისტემის რეფორმირებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება, თუმცა უნდა გულახდილად ითქვას ის რომ ჯერჯერობით რეალური ნაბიჯები გადადგმული არ არის. კვლავ დიდია მოსახლეობასა და მედიიდ მხრიდან სასამართლო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა. ჯერ კიდევ მოსამართლე, როგორც მთავარი არბიტრი სასამართლო დაგებში დამოუკიდებლობიდან შორსაა, მასზე ზემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ისჯება, რეალურად კვლავ ხორციელდება. ეს ალბათ იმითაცაა განპირობებული, რომ არ შემდგარა ძალაუფლების მკაფიო გამიჯვნა, რაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის და სამართალდამცავი ორგანოების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად წინ ეღობება. კმაყოფილი ვერ ვიქნებით სასამართლოებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუსაკთა ცოდნის დონით, ბევრია გასაკეთებელი მათი პროფესიული დაოსტატებისა და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლადაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მუდმივ პროცესად იქცა კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ცვლილებები და დამატებები, ეს ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფასა და დახვეწას თანამედროვე ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად, მეტიც, ამდენი ცვლილებებისა და შესწორებების შემდგომ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი წინააღმდეგობაშია ცი კი მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, და შესაბამისად კვლავ ცვლილებებსა და დამატებებს საჭიროებს. ამდენად კანონშემოქმედებითი პროცესში სერიოზულ გადახედვასა და დახვეწას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გააკეთდა პენიტენციალური სისტემის მოწესრიგებისათვის, არსებული მდგომარეობა კვლავ მოუთმენელია და დროულ რეაგირებას საჭიროებს, სამინისტრო, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად ამ საკითხებზე ახლადშექმნილია და ალბათ იმედი უნდა ვიქონიოთ, სწორად განსაზღვრავს თავისი მოქმედების სტრატეგიას, რათა დროულად მოხერხდეს ადამიანის წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციების შესრულება.

დღევანდელი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სახელმწიფო მართვის მთელს სისტემას. დროის მოთხოვნაა ძირეულად გადაიხედოს ის გზა, რომელიც სახელმწიფომ, მისმა ინსტიტუტებმა და მართვის სისტემებმა განვლეს უხსოვარი დროიდან დღემდე. თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე დგება სულ უფრო მზარდი მოთხოვნები იმისა, რომ განხორციელებულ იქნეს საფუძვლიანი რეფორმები, მიმართული მისი ფუნქციონირების ეფექტიანობისა და შედეგიანობის ზრდის, სახელმწიფო მომსახურების ადვილად ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. საზოგადოებაში და ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირების აუცილებლობა ბადებს მართვის სისტემების მოდერნიზაციის აუცილებლობას, რომელიც გამოდის ბიუროკრატიული სისტემის ჩარჩოებიდან. რათა ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები შეიქმნას, რომელიც უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მოქალაქეთა და ბიზნესის მოთხოვნებზე, დანახარჯების შემცირების კვალდაკვალ ეფექტიანობის

ზრდაზე. ასეთი სისტემების ფუნქციონირების საფუძველი კი განათლებული მართვა და ინფორმაციული ეკონომიკის დანერგვაში უნდა ვეძებოთ.

სახელმწიფო მოწყობის სრულყოფა მიიღწევა ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური, ასევე ადმინისტრაციული შტოს დაინტერესებითა და მიზანმიმართული საქმიანობით სახელმწიფო მოხელეთა შესაძლებლობების გაფართოების, სხვადასხვა არასამთავრობო გაერთიანებებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით. ასევე, სახელმწიფო მომსახურების ფართოდ ხელმისაწვდომობითა და საზოგადოების ინფორმირებულობით მიმდინარე გარდაქმნების თაობაზე. ადამინებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იგრძნონ მათი ბედით დაინტერესება, სახელმწიფოს, როგორც მათი დამცველისა და „მსახურის“ როლის გააქტიურება რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და საკითხების გადაჭრაში. ეს ერთერთი პრიორიტეტია სამოქმედო პროგრამისათვის.

აქვე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამართლიანი არჩევნები ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხი, ჩვენ არ გვეგონია საკმარისი იყოს საკანონმდებლო ცვლილებებით გატაცება. უდალა, რომ რამდენადაც სრულყოფილია საარჩევნო კანონი, იმდენად სრულყოფილ არჩევნებს უნდა ველოდეთ, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება, ალბათ სერიოზული ორგანიზაციული და საკადრო ღონისძიებების ჩატარებაცაა აუცილებელი ამ ამოცანის გადასაჭრელად.

ქვეყნის საფუძველთა საფუძველი ეკონომიკაა და ისეთი ქვეყნის ეკონომიკისათვის, როგორც საქართველოა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება გამჭვირვალე პრივატიზების პროცესის საშუალებით და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება. ამ მიმართებით სერიოზული კომპლექსური საქმიანობაა დაგეგმილი და ალბათ ეკონომისტები უფრო უკეთ გასცემენ პასუხს კითხვას რა გვიშლის ხელს მოვუაროთ ქვეყანას, რომლის მრავალდარგოვანი ეკონომიკა იმ რესურსებით, რომელიც ქვეყანას გააჩნია შესაძლებელია რეალურად იყოს წარმატებული და არა იმ ციფრებითა და მაჩვენებლებით, რომელიც ტელეეკრანიდან გვესმის და რომელიც მსუბუქად რომ ვთქვათ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონეში

საერთოდ არ აისახება. ალბათ ისეთი ღონისძიებები უნდა დაინახოთ, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების წახალისებას, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცებას, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, გარემოს დაცვის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომ დაახლოებას.

აუცილებელი და საშური საქმეა რეფორმების გაგრძელება სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში, მათ შორის, ისეთი ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის სქემის განხორციელების გზით, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის სტრატეგიასთან. ასევე უნდა მოხდეს კვლევისა და ინოვაციების სფეროში ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საქართველოს მიზანს, უზრუნველყოს მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური განვითარება. და ყოველივე ეს უნდა მიზანმიმართულად უზრუნველყოფდეს რეფორმების განმტკიცებას სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის სექტორებში, ეფექტიანი სამართლებრივი ბაზის და ეფექტიანი მენეჯმენტის სისტემების შექმნის ჩათვლით, ასევე, განათლების სფეროს რეფორმირებაზე მიმართული ძალისხმევის შემდგომ განმტკიცებას ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ცალკე თემაა სამამულო მეცნიერების შემდგომი განვითარების პრობლემები. არ უნდა დაიკარგოს ის პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქვეყანაში და რომელსაც დიდი ეკონომიკური ეფექტის მოცემა შეუძლია. უნდა განხორციელდეს მეცნიერების მართვის სისტემის რეფორმირება სათანადო საკანონმდებლო ბაზის, ისეთი ფინანსური მოდელის და მართვის საშუალებით, რაც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო მიღწევებზე.

პრიორიტეტთა შორის მნიშვნელოვანი სეგმენტი უჭირ თანამშრომლობის განმტკიცებას მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში, საზღვრის მართვის ჩათვლით. საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება საზღვრის მართვის, ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ასევე, ზომების მიღება საქართველოში არსებული ლტოლვილთა სისტემის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად; აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც თვითუზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და შესაბამისი პიროვნებების საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობებს სთავაზობს; სტრატეგიული ამოცანები მოიცავს შავი ზღვის რეგიონში, სამხრეთი კავკასიის ჩათვლით, თანამშრომლობის ინიციატივებში მონაწილეობის სტიმულირება, რომლებიც მოიცავს მაგალითად გარემოს დაცვის, განათლების, საზღვრების მართვის, ტრანსპორტის და საპარლამენტო სფეროებს. ასევე, თანამშრომლობის გაგრძელებას ენერგეტიკის, ტრანსპორტის და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროებში ევროკავშირის /შავი ზღვის/ კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოთა და მეზობელი ქვეყნების ინიციატივის კონტექსტში და სხვა.

საქართველო იმედის თვალთ შეყურებს ევროკავშირის ინიციატივებს შიდაკონფლიქტების მონიტორინგისა და ამ თვალსაზრისით დახმარების მიმართულებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თანამშრომლობა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩათვლით. საქართველოს შეიძლება მიეცეს საშუალება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეუერთდეს ევროკავშირის პოზიციას რეგიონული და საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით. და ბოლოს ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი სფეროები, როგორცაა *ტრანსპორტი და ენერგეტიკა*. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის, აგრეთვე, ევროკავშირის სატრანსპორტო და ენერგეტიკის ქსელებთან ურთიერთკავშირის გათვალისწინება, შესაძლებელი გახდეს ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში ეფექტიანი თანამშრომლობა.

როგორც გეგმაშია აღნიშნული, დასახელებული პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ ის სტრუქტურები, რომლებიც

„პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში შეიქმნა; ევროკომისია მოამზადებს შუალედურ ანგარიშს მიღწეული წარმატებების შესახებ. ამ ანგარიშის საფუძველზე ევროკავშირი, საქართველოსთან ერთად, განიხილავს სამოქმედო გეგმას და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მისი ადაპტირების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა და ურთიერთობები განსაკუთრებულ ფაზაშია შესული. გზა ევროკავშირისაკენ გრძელი და რთულია, მაგრამ ეს საქართველოს გააზრებული არჩევანია და მისი ღირსების საქმეა თანმიმდევრულად განახორციელოს დასახული მიზნები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ერთი ნაწილი უკვე რეალიზებულია, მიზანმიმართულად მიმდინარეობს სხვა ღონისძიებათა შესრულების საქმე. სამწუხაროდ, ამ გზაზე არაერთი ხელისშემშლელი ობექტური თუ სუბიექტური მიზეზია.

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, სირთულეები და პრობლემები ევროინტეგრაციის გზაზე განპირობებულია გარე ფაქტორებით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული ეროვნული თანხმობა, ჯერ კიდევ დიდია ეკონომიკური და სოციალური მუხრუჭების სიძლიერე. იმედია საქართველო დასძლევს ყველა პრობლემას და მის ევროპულ ორიენტაციას საფრთხე არ შეექმნება.

ლიტერატურა:

References

1. SaqarTvelos konstitucia, "raizi", 2004. (in Georgian)
2. "qarTuli diplomatiis istoriis narkvevebi", t. I, Tbilisi, 1998. (in Georgian)
3. Z. abaSiZe, "nato da saqarTvelo utopiidan realobamde", Tbilisi, 2000. (in Georgian)
4. N. avaliani, S. doRonaZe "saqarTvelos sagareo politikis mniSvnelovani movlenebi", "Mecniereba", 2000. (in Georgian)
5. N. avaliani, S. doRonaZe "SaqarTvelos sagareo politikis mniSvnelovani movlenebi", "Mecniereba", 2001. 2 t. (in Georgian)
6. S. DoRonaZe "SaqarTvelo:gza saerTaSoriso aRiarebidan saerTaSoriso Tanamegobrobisaken", "Mecniereba", 2002. (in Georgian)
7. a. rondeli "saerTaSoriso urTierTobebi", Tsu, 1996.

8. Archer C. International Organizations. 2nd ed. - L. - N.Y, 1992
9. Diplomatic Handbook , London, 1998.
10. www.eu-integration.gov.ge.

Tinatini Iashvili

Broadened Europe- Georgia's route to the European Union

Summary

Georgia is on its way to the most important stage of the existence. Yearning for expansion of the European Union gives Georgia a chance to get connected to Europe, to realize those values, which are leading towards democracy, human rights protection and socio-economical progress.

European Union made important actions for preserving and spreading safe and stable atmosphere through European continent. Attention should be paid to the document of "European Union and its neighbours," which describes the European Union's new method of approach towards Eastern and Southern neighbouring countries. In June 2004 Council of the European Union approved a document worked out by the European Council concerning the "strategy of the European Union towards its neighbours." According to this document, countries of South Caucasus and Georgia affiliated to "The European Union's policy towards the neighbours."

Five year action plan was carried out after certain consultations, which gives Georgia a chance to raise its standards for reaching level of the European Union and afterwards having closer collaboration with it.

Given article covers an action plan of Georgia's integration into the European Union. It is shown, that the collaboration quality with European Union depends on Georgia's devotion to the European values and the ability to implement priorities together with European Union, according to international and European norms and principles.

It is pointed out in the article, that collaboration between Georgia and European Union is in its particular phase. The road to European Union is quite long and complicated, but this is the deliberate decision of Georgia to follow its set goal. One part of an action plan is already fulfilled,

while other part is in the process of implementation. Unfortunately, there are many artificial and natural obstacles, which shall be overcome.

According to ongoing political situation, difficulties and problems of European integration are based on external factors, but national objection is also very important issue. There still are economical and social barriers, but hopefully Georgia will have enough strength to conquer all problems and strive for the European integration.

Key words: Expansion, European Union, democracy, human rights, protection, socio-economical progress, neighbouring countries, Council of the European Union, document, the European Council, Georgia, standards, collaboration, action plan, integration, values, priorities, obstacles, external factors, national objection, barriers.

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

Яшвили Тинатин Геннадиевна

Расширенная Европа-путь Грузии в Евроинтеграцию.

Резюме

Грузия находится на важнейшем этапе своего существования. Стремление Евросоюза к расширению дало нашей стране шанс присоединиться к союзу Европы.

Со стороны Евросоюза были сделаны убедительные шаги в сторону большей безопасности и стабилизации. Результатом этого явился представленный Евросоюзом документ «Расширенная Европа - новый подход к соседним западным и восточным странам». В июне 2004 года Евросоюз одобрил разработанную Еврокомиссией «Стратегию политики соседства Евросоюза». На основе этого произошло включение стран Южного Кавказа, в том числе Грузии в «Европейскую политику соседства».

Результатом проведенных консультаций, явилось создание 5-летнего плана работы по приближению к Евросоюзу и надлежащим стандартам. Это будет способствовать более тесному сотрудничеству.

В приведенной статье рассмотрен план интеграции Грузии в Европу. Показано, что качество сотрудничества будет зависеть от приверженности Грузии к общеевропейским ценностям, и способности страны вместе с Евросоюзом обозначить приоритеты на основе соответствующих европейских норм и принципов. В

работе показано, что отношения Грузии и Евросоюза вошли в особую фазу-это долгий и сложный путь, но это осознанно выбранный путь и делом чести является последовательно осуществить наличие цели. Часть требований уже реализована, а другая идет по целенаправленному пути к реализации. Но, к сожалению, есть объективные и субъективные препятствия на пути к осуществлению данного плана.

Если руководствоваться текущими политическими событиями, то трудности на пути к евроинтеграции обусловлены внешними факторами. Но, к сожалению, все еще нет общенационального единства, социального и экономического благосостояния.

Грузия преодолет все существующие препятствия и никто не помешает ей в стремлении к Европейской интеграции.

Ключевые слова: Расширение, Евросоюз, безопасность, стабилизация, Еврокомиссия, стратегия, документ, Южный Кавказ, Грузия, политика, соседство, интеграция, сотрудничество, общеевропейские ценности, приоритеты, европейские нормы, принципы, реализация, препятствия, политические события, внешние факторы, общенациональное единство, социальное и экономическое благосостояние.

Рецензент – профессор Догондзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

ნათია კაჭარავა

ნატო – საქართველოს საბარემო და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი

ჩვენს საუკუნეში სახელმწიფოს უსაფრთხოების ცნება უკვე აღარ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე ცალკეული ქვეყნის საზღვრებით. სახელმწიფოს უსაფრთხოება და სტაბილურობა, თანამედროვე პერიოდში უკვე დამოკიდებულია მეტწილად რეგიონალურ და გლობალურ დონეზე, განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებზე. ეს ნიშნავს იმას რომ პოლიტიკური და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა შეუძლიათ იმ ქვეყნებს რომლებსაც გარე სამყაროს ზუსტი აღქმისა და მასთან დაკავშირების უნარი გააჩნიათ.

წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში. მისი წარმატება განპირობებულია გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შექმნილი კაცობრიობის ისტორიის ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსით. მისი ძირითადი ფასეულობები კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვაა. ეს პრინციპია, რომელიც აერთიანებს ნატოს წევრ სახელმწიფოებს.

სწორედ ჩრდილოატლანტიკური (ნატო) ორგანიზაციას, ევროატლანტიკურ სივრცეში, სხვა მრავალრიცხოვან უნივერსალურ თუ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად სტაბილურობის და უსაფრთხოების კუთხით ცენტრალური როლი და მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება. ნატო როგორც ალიანსი და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, სრულიად უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს. არსებობს იმის საკმარისი დოკუმენტები რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნამდვილად წარმოადგენს წარმატებულ ორგანიზაციას. ის რაც ნატოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა მისი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რეალურად და წარმატებით მოახერხა.

ნატომ თავისი დაარსების დღიდან მნიშვნელოვანი გაფართოება განახორციელა და დღის წესრიგში დგას კიდევ ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხიც.

საქართველო-ნატოს ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა 1991 წელის დეკემბერში, როდესაც ნატოს ფარგლებში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური საბჭო (NACC). ნაქსის საქმიანობაში მონაწილეობა, საქართველოსთვის, რომელმაც ამ პერიოდში აღადგინა სახელმწიფოს სუვერენიტეტი, თავისთავად წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო მექანიზმს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების დამცველი ეს ეფექტური საშუალება ორიენტირებული იყო ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისა და სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისაკენ. ამასთანავე ნაქსის წევრობით საქართველოს საშუალება ექნებოდა გაზიარებოდა ალიანსის ფარგლებში სამხედრო-პოლიტიკურ, სამეცნიერო ტექნიკურ, დემოკრატიული ინსტიტუტებსა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების გამოცდილებას, რომლის პრაქტიკაში დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ითამაშებდა ქვეყნის თანამედროვე დასავლურ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში.

საქართველოში არასტაბილური სიტუაციის გამო საქართველოს წარმომადგენლებმა 1992 წლის 1 აპრილს მიიღო მონაწილეობა ნაქსის შეხვედრაში, ხოლო 1992 წლის 5 ივლის, ოსლოში ნაქსის წევრ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოხდა საქართველოს სრული გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში.

1993 წელს ბრიუსელში დაარსდა ნატოს საელჩო და საელჩოს წევრებმა იმავე წლის ივნისიდან მონაწილეობა მიიღეს ნატოს ფარგლებში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკურ კონსულტაციებში.

1993 წლიდან დაიწყო ნატოს წარმომადგენელთა ვიზიტები საქართველოში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რეგიონში არსებული სიტუაციის გაცნობა და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტის განსაზღვრა.

ნატოს ოფიციალურ პირებთან შეხვედრის დროს საუბარი მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით რომ

შემუშავებული და გაფორმებული ყოფილიყო ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები.

საქართველო-ნატოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის ფაქტი რომ 1994 წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამას. მის შემდეგ დაიწყო ნატო-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა.

გარდა ამისა საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა მას შემდეგ რაც ხელი მოეწერა საუკუნის კონტრაქტს 1994 წლის სექტემბერში, კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და წამყვან დასავლურ ნავთობკომპანიებს შორის. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დააკავშირა ნატოს ინტერესები კავკასიის რეგიონთან და დასავლეთშიც კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს რომ საქართველოს თავისი „გეოპოლიტიკური” თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კონტინენტზე.

ნატო საქართველოს თანამშრომლობის გაგრძელება, კარგი საშუალებაა იმისათვის რათა საქართველო კარგად გაეცნოს ნატოში დაგროვილ გამოცდილებას, უსაფრთხოების, დემოკრატიის განვითარების სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების, კონფლიქტების მოგვარების და ა.შ სფეროებში. ასევე ორივე მხარეს შორის ურთიერთობებში თავის პოზიტიურ როლს ასრულებს მაღალი დონის შეხვედრები.

ნაქსის შეხვედრაზე 1995 წლის 6 დეკემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მოიწონა საქართველო-ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის **(IPAP)** საპროგრამო დოკუმენტის პროექტი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ამ დოკუმენტზე რის შემდეგ 1996 წელს საქართველომ ნატოში წარადგინა “ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა” **(IPAP)**.

საქართველო შეუერთდა ახალ საერთაშორისო მექანიზმს, რომელიც იძენს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის აღმშენებლობის და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში საფუძვლიანად დამკვიდრების საქმეში.

ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ნატოში ინტეგრაცია დამოკიდებულია რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე და ალიანსის ყველა წევრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. **(MAP)** გადასვლისთვის სათანადო პირობების შექმნაზე მასში ჩასართავად ალიანსის წევრ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის გააქტიურებაზე. **(MAP)** ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვან განხორციელებაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ჩვენ ქვეყანას შორის. ამ საქმეში კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” დამტკიცებასა და ამოქმედებაში. შემდეგ დაისახა **(IPAP)** მოცემული სხვადასხვა კონკრეტული ღონისძიებები და თემები, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სფეროს, განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა თავდაცვის სტრუქტურები და სამხედრო წვრთნები. იგეგმებოდა და იგეგმება ნატოს სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტები საქართველოში. **(IPAP)** გასაზღვრული თანამშრომლობის მხრიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სტანდარტიზაცია და თავსებადობა. ამ სფეროში **(IPAP)** იგეგმება საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წვრთნა ნატოს სტანდარტების მიხედვით.

ამ თანამშრომლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, მისი ნატოს სტანდარტებთან დაახლოება და საბოლოო ჯამში, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.

საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის თვალსაზრისით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ეს იყო იურიდიული საფუძველი **(IPAP)** მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის.

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი არის **(IPAP)** წევრი ქვეყნებიდან რომელიც შეუერთდა ამ შეთანხმებას და შექმნა იურიდიული საფუძველი **(IPAP)** ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოში დაიწყო წვრთნები ინდივიდუალური პარტნიორობის ფარგლებში.

მიუხედავად ინტენსიური მოდერნიზაციისა საქართველო კვლავ რჩება რეგიონში ყველაზე მცირე რიცხოვნობის, თუმცა ევექტური შეიარაღების ძალის მქონე ქვეყნად.

საქართველო განაგრძობს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობას, რითაც დიდი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მისი თავდაცვის პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის პირდაპირი აგრესიისაგან დაცვაზე და ნატოსთან თავსებადობის მიღწევაზე.

მსოფლიოში არსებული რეალობების გათვალისწინებით, პლანეტის სხვადასხვა რეგიონებში აქტიურად ვითარდება ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროცესები. მათ შორის საქართველოც აქტიურადაა ჩაბმული ამ პროცესების განვითარებაში.

“ვარდების რევოლუციის შემდეგ” საქართველო ადგას პროგრესულად განვითარებად გზას. მართალია ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ მთავარია რომ, კურსი ადებულია და სამოქმედი გეგმაც შემუშავებულია.

სხვადასხვა სფეროში ჩატარებული მნიშვნელოვანი რეფორმების წარმატების მიუხედავად, დღევანდელ დღეს საქართველო უამრავი საფრთხის წინაშე დგას რომელთა წინააღმდეგ ქვეყანას გამკლავება დამოუკიდებლად გაუჭირდება.

ნატოში საქართველოს გაწევრიანება, საუკეთესო საშუალება იქნება მომავალში საქართველოსთვის, რომელიც მისცემს ქვეყანას, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიას. მსოფლიო დღეს აშკარად და ღიად გრძნობს აშშ-ს მხრიდან საქართველოსათვის სერიოზულ მხარდაჭერას. 6–7 ივლისს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთში ვიზიტისას, ჟურნალისტებთან ბრიფინგის დროს განაცხადა რომ – “საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა ვცეთ”. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მეტყველებს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ჩვენი ქვეყნისათვის სერიოზულ მხარდაჭერაზე.

საქართველოს გააჩნია შანსი, გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ალიანსის (ნატოს) წევრი, სადაც ყველა წევრს აქვს საკუთარი გავლენა და ხმა და ალიანსის თითოეული წევრი ქვეყანა საიმედოდაა დაცული სამხედრო აგრესიისაგან.

ქართული საზოგადოების დადებითი განწყობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ წარმოადგენს ერთ - ერთ უმთავრეს ფაქტორს ნატოში გაწევრიანებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საქმეში. ალიანსში გაწევრიანება კი საჭიროებს სტაბილურ გარემოს და მოითხოვს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ გარანტიებს, რის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ნატო იძლევა. ასევე ის ცივილური ფაქტორი რომ, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში სრული ინტეგრირება, ალიანსის სრული წევრობა და ნატოს საქმიანობაში მონაწილეობა მყარ საფუძველს შექმნის და კიდევ უფრო განამტკიცებს “ევროპელის სტატუსის აღქმას” ქართულ საზოგადოებაში და დასავლური ფასეულობების გაზიარებით ერთიან ევროპულ ოჯახში მის სრულ დამკვიდრებას. ეს კი ყოველივე პოზიტიურად აისახება ქვეყნის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ლიტერატურა

References

1. z. abaSiZe, nato da saqarTvelo utopiidan realobisaken Tb. 2000(Georgian)
2. s. cincaZe nato da saqarTvelos usafirTxoeba Tb. 2008(Georgian)
3. saqarTvelo-nato, sawyisebi realoba perspeqtivebi, Tb. 2007(Georgian)
4. usafirTxoeba partniorobis meSveobiT Tb. 2005(Georgian)
5. Genri Kisinjer. Diplomatiia. M., 1995 (Russian).
6. Guide to the NATO, Science for Peace and security programme, 2007
7. www.info@foreignpress.ge

Natia Kacharava

NATO – Priority of foreign and national security of Georgia

Summary

One of the directions and priorities of national security policy of Georgia is integration of Georgia in Euro and euro Atlantic political, economic and security system.

Membership in NATO is one of the principal objects of foreign and security policy of Georgia; this is subjected to successful implementation of reforms and political decision of any members of the Alliance.

To the present day, any member countries of the alliance of democratic country, NATO is defended reliably against military aggression and Georgia has real possibility and chance to be an unlimited member of the alliance.

Keywords: Georgia, national security, foreign security, economic security, integration, military aggression, alliance of democratic country, IPAP.

Reviewer – professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

Качаравა Натია Елгуджиевна

НАТО – Приоритет внешней и национальной безопасности Грузии

РЕЗЮМЕ

Одним из направлений и приоритетов политики национальной безопасности Грузии является интеграция Грузии в европейские и евроатлантические политические, экономические системы и системы безопасности.

Членство в НАТО является одной из главных целей внешней политики и политики безопасности Грузии, а это зависит от успешного осуществления реформ и политического решения всех членов альянса.

Сегодня все члены альянса демократических стран - НАТО надежно защищены от военной агрессии, и Грузия имеет

реальную возможность и шансы стать полноправным членом альянса.

Ключевые слова: Грузия, национальная безопасность, внешняя безопасность, экономическая безопасность, интеграция, военная агрессия, альянс демократических стран.

Рецензент – профессор **Григолия Тенгиз Бондоевич**, Грузинский технический университет

ქეთევან პავლიაშვილი

ევროპული ევანგელიზმი და ბიუროკრატიული ბიზანტიზმი (უწმ. სინოდის ობერპროკატორი – კონსტანტინე პოპელონოცევი)

საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის XVIII – XIX საუკუნეების რუსული იმპერიალიზმის ამბიციებს უდაოდ ესაჭიროებოდა მრავალმიმართულებიანი შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმაცია, რომელთა შორის განსაკუთრებულ საჭიროებას ითხოვდა რელიგიის სფერო. აღნიშნულ ეპოქაში, აშკარად შეინიშნებოდა რუსეთის სახელმწიფოში ფეხმოკიდებული ბიუროკრატიული ბიზანტიზმის მწვავე ნიშნები, რაც ბუნებრივად იწვევდა სახელმწიფო რელიგიის (მართლმადიდებლობა – ქ.პ.) ღრმა კრიზისს. ამ უკანასკნელ პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა რუს საზოგადოებაში შემოჭრილი ევროპული აზროვნება (რაციონალურ – განმანათლებლური, მეზრძოლ-ათეისტური იდეები – ქ.პ.) და ბიუროკრატიული ბიზანტიზმის წინააღმდეგ მიმართული შემუშავებული თეორიების. აღნიშნულმა ვითარებამ მკაფიოდ იჩინა თავი ევროპულად მოაზროვნე საზოგადოების დაპირისპირებაში ეროვნულ (რუსულ – ქ.პ.) ეკლესიასთან. ეს უკანასკნელი სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მეთოდოლოგიითა და სიმძაფრით მიმდინარეობდა, კერძოდ, ეკლესიისა და ტრადიციონალისტ სამღვდელოებასთან დამოკიდებულებაში, სასულიერო ჩინოვნიკების უფლებების შეზღუდვის მოთხოვნებში (ობერ-პროკატორის უფლებრივი ფუნქციების შეზღუდვა – ქ.პ.) და ა.შ.

ტრადიციულ რუსეთში ევროპული იდეებისა და აზროვნების შეჭრამ მისი ხელისუფლება რიგი სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენა. რუსეთის საიმპერატორო კარის ლიბერალური პოლიტიკური კურსის მიუხედავად, მაინც ვერ ხორციელდებოდა პროგრესულ პროცესებთან ჯანსაღი კონკურენცია. აღნიშნულის მიზეზი საძიებელია თავად რუსული სახელმწიფო პოლიტიკის გაორებულ მდგომარეობაში: ერთის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ე.წ. „მაკნე“ იდეოლოგიისაგან საზოგადოების დაცვას თავად ევროპული ბრძოლის გამოცდილების დანერგვით რუსეთში, ხოლო მეორეს მხრივ, ტრადიციული ბიუროკრატიული ბიზანტიზმის ნიშნების შენარჩუნებას და

შესაბამისი პოლიტიკური კურსის გაგრძელებას. აღნიშნული კურსის გაძლიერება და ევროპული ორიენტაციის წინააღმდეგობრიობა უკავშირდება რუსეთის სახელისუფლებო წრეებსა და მათ თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მათ შორის იყო რელიგიის კოლეგიალური მმართველობა – უწმინდესი სინოდი და მისი ხელმძღვანელის ობერპროკურორის თანამდებობა. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება XIX-XX საუკუნეების თვალსაჩინო მოღვაწე – კონსტანტინე პობედონოსცევი.*კ. პობედონოსცევი – რუსი სახელმწიფო-საეკლესიო მოღვაწე (1827-1907); უწმ, სინოდის ობერპროკურორი 1880-1905 წლებში; სასულიერო სოციალური ფენის ოჯახის წარმომადგენელი; დაასრულა სანკტ-პეტერბურგის ელიტარული სასწავლებელი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სასწავლებელი ამზადებდა სახელმწიფო დაწესებულებების ჩინოვნიკებს, რომლის კურსდამთავრებულებს ვხა კონხდათ ვახსნილი დედაქალაქის სამსახურებრივ იერარქიაზე დაწინაურებისათვის. 1859-1865 წლებში კ. პობედონოსცევი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია სამოქალაქო სამართალში. 1861 წლიდან ის დიდი მთავრების: ნიკოლოზის, ალექსანდრეს (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე III – კ.კ.) და ვლადიმერის პედაგოგია სამართალმცოდნეობაში. წლების შემდგომ ის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეს ნიკოლოზ II-ეს ასწავლიდა სამართალს. 1865 წლიდან კ. პობედონოსცევს ეკავა მთავრობაში სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობები; იყო სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და ობერპროკურორი.*

კ. პობედონოსცევი სახელმწიფო და საეკლესიო საქმიანობებთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო და ლიტერატურულ – პუბლიცისტურ მუშაობას რელიგიის დარგში. მის კალამს ეკუთვნის ათობით ორიგინალური და ნათარგმნი ნაშრომი რელიგიისა და სამართალის დარგებში.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში 1721 წელს საპატრიარქო ინსტიტუტის გაუქმების და უწმინდესი სინოდის სახით კოლეგიალური მმართველობის დადგინებისთანავე, ის რუსეთის თვითმპყრობელობის აპარატთან პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ეკონომიკური ქსელებით დაკავშირებული აღმოჩნდა. ამ დროიდან, მართლმადიდებლური ქრისტიანობა სახელმწიფო

იდეოლოგიის და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი გახდა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია მართლმადიდებლობა სახელმწიფოსათვის საზოგადოებრივი აზროვნების ორიენტირების დასაყრდენი იყო. აქედან გამომდინარე, რუსეთის ეკლესიაც თვითმპყრობელური სახელმწიფო მანქანის უმთავრეს იარაღად იქცა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის. რუსეთის იმპერიის როგორც შიდა, ისე გარე რეგიონების საზოგადოება ერთნაირი სიმძაფრით განიცდიდა სახელმწიფოს ყველა იმ შინაგანი პროცესის ზემოქმედებას, რაც დამახასიათებელი იყო XIX-XX საუკუნეების რუსეთის პოლიტიკურ-კულტურული, ეკონომიკურ-სოციალური, რელიგიური ცხოვრებისათვის.

რუსეთის საეკლესიო მმართველობის უმაღლეს ორგანოს – სინოდს ექვემდებარებოდა რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდელოების ყველა იერარქი; იმის გამო, რომ სინოდს საეკლესიო სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ამიტომ ის უშუალოდ იმპერატორის დაქვემდებარებაში იყო. თავად იმპერატორი განმარტავდა, აუქმებდა და სცემდა საეკლესიო სხვადასხვა სახის წესებსა და კანონებს. სინოდის ხელმძღვანელი, ობერპროკურორი სახელმწიფო მინისტრის უფლებებით იყო აღჭურვილი და სენატში საეკლესიო უწყების წარმომადგენლად ითვლებოდა. ობერპროკურორის ფუნქციებში შედიოდა სინოდის მუშაობის წარმართვა და შედეგების ანგარიშის სახით იმპერატორთან პრეზენტაცია. ასეთი დანიშნულების გამო ობერპროკურორს იმპერიაში ოფიციალური ეპითეტი ჰქონდა - „თავალი და ყური მეფისა“.

ეკლესიისა და თვითმპყრობელური აპარატის თანამშრომლობა აქტიური და ორმხრივ ნაყოფიერი იყო. სინოდი აშკარად ერეოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; თავის მხრივ, საერო ხელისუფლებაც ზრუნავდა ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის საზოგადოებრივ ფენებში და მას იმპერიაში განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა.

რუსეთის ეკლესია სარგებლობდა სახელმწიფო პრივილეგიებით, ხოლო ხელისუფლება კი მას თვითმპყრობელურ – პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისათვის იყენებდა. ასეთი ჰარმონიული თანამშრომლობის ფონზე, ბუნებრივია, ვერც ერთი მხარე

(საერო ხელისუფლება და ეკლესია) ვერ შეეგუებოდა გარე ელემენტის ჩარევას (ევროპული ევანგელიზაციის გავლენა – ქ.პ.), რომელიც კი დაარღვევდა ამ კავშირს და რუსეთს მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული პოლიტიკური კურსის შეცვლას დაისახავდა მიზნად. ასეთ შემთხვევაში, სინოდს და მის ხელმძღვანელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმპერატორის წინაშე. აღნიშნულით იყო განპირობებული იმპერიის კულუარებში ბიუროკრატიული ბიზანტიზმის მიმართულებით დაცვით-განვითარებითი მუშაობა, რომელსაც აქტიური სახე XIX საუკუნის მიწურულში ჰქონდა და მას ობერპროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი უძღვებოდა.

თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის თანახმად, კ. პობედონოსცევი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ლიბერალური მიმართულების მოაზროვნე იყო. *[კ. პობედონოსცევის ლიბერალიზმს ასაბუთებს თავის გამოკვლევაში ვ. ბაჩინინი „რუსეთის ნაციონალური იდეა: არჩევანი ბიზანტიზმს, ევანგელიზმსა და სეკულარიზმს შორის (პოლიტიკური თეოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის ისტორიული ნარკვევები)“, მ., 2002 წ. ავტორი კ. პობედონოსცევის ლიბერალიზმს უკავშირებს 1860 წლის სასამართლო რეფორმის პროექტის ერთ-ერთ თანაავტორობას].* მისმა საიმპერატორო კართან დაახლოებამ შეცვალა პობედონოსცევის ორიენტაცია და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ის კონსერვატორული ორიენტაციის ჯგუფში გვევლინება, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ეპოქას ჩამორჩენილი, დაღუპვის გზაზე მდგომი რუსული სახელმწიფო მანქანის გადარჩენა მხოლოდ მონარქისტული სისტემით იყო შესაძლებელი. რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისათვის, პობედონოსცევისათვის კონსტიტუციური მონარქიაც კი მიუღებელი იყო, რაც ნამდვილად მიუთითებს იმაზე, რომ ის „ჭეშმარიტი თეოკრატიული თვითმპყრობელობის“ რეალური და თავგამოდებული დამცველი იყო (ნ. ბერდიაევი). კ. პობედონოსცევის ერთ-ერთი თანამედროვე მას შემდეგნაირად ახასიათებს: „ის იყო წარმოშობით მოსკოვიდან, ნიკოლაელი განათლებით, სლავიანოფილური სიმპათიით იმ წრისადმი, რომლის წიაღშიც ის აღიზარდა. პობედონოსცევი ადრე აითვისა პოლიტიკური აზროვნების ვიწრო მოსკოვური სტილი, რომელიც დაფუძნებული იყო

სამშობლოს პატრიოტულ იდეალიზაციაზე. ამ იდეალის მას ღრმად სწამდა, მისით ცხოვრობდა, მისით ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესში და მასთან ერთად დაასრულა სიცოცხლე“. იმპერატორ ალექსანდრე III-დმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში პობედონოსცევი მიუთითებს, რომ „უმჯობესია რუსეთში იყოს ისეთი ქაოსი, როგორც რევოლუციაა, ვიდრე კონსტიტუცია. პირველის დარღვევა და წესრიგის დამყარება შესაძლებელია, ხოლო კონსტიტუცია მთლიანი ორგანიზმისათვის მხოლოდ საწამლაია გაჯერებული მუდმივი სიყალბით, რაც რუსული სულისათვის აბსოლუტურად მიუღებელია“. პობედონოსცევის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა მიმართული იყო სახელმწიფოებრივი წყობილების დაცვის სტრატეგიისაკენ; და საამისო ხელისშემშლელად მოიაზრებდა ევროპულ ორიენტაციას; საინტერესოა მისეული მიმდინარე ვითარების შეფასებაც. პობედონოსცევი ევანგელიზმსა და ევროპეიზაციას „ჩვენი დროის უდიდეს სიყალბეს“ უწოდებს. რაზეც ნათლად მეტყველებს მისი ზემოაღნიშნული მოსაზრება. წერილის ავტორი მთელი ძალისხმევით ცდილობდა სახელმწიფოს, მისი იდეოლოგიის ინსტიტუტის-ეკლესიის და ხალხის დაცვას დამანგრეველი, რუსული ტრადიციონალიზმისაკენ მიმართული მავნე, ევროპული აზროვნების, იდეისა და ევანგელიზმისაგან. აღნიშნულში ობერპროკურორი მოიაზრებდა: ინტელიგენციის ლიბერალურ-კონსტიტუციურ იდეებს, რელიგიურ პლურალიზმს და სახელმწიფოსა და ეკლესიის გაბიჯვნას.

პობედონოსცევის პოლიტიკური კურსი მიმართული იყო სოციალური ცხოვრების წესის გაუმჯობესებისაკენ ერთად-ერთი გზით – სახელმწიფოს ცხოვრებასა და სამოქალაქო საზოგადოების ყველა სფეროში ქრისტიანული ელემენტის შეჭრა-მომძლავრებით. აღნიშნულით იყო განპირობებული სინოდის ხელმძღვანელის პრინციპული დამოკიდებულება დემოკრატიული იდეისა და სისტემისადმი; მაგალითად, როდესაც იმპერატორი ალექსანდრე II მოჰკლეს (1881წ.1.III), პობედონოსცევი ახალ იმპერატორს არწმუნებდა, რომ გადაუდებელი იყო იმპერიაში კატეგორიულად აკრძალულიყო ისეთი სიტყვების გამოყენებაც კი, როგორც არის დემოკრატია, კონსტიტუცია, სიტყვისა და პრესის თავისუფლება და ა.შ. აღნიშნული რჩევის შედეგი იყო ის,

რომ იმპერატორი გახდა უკიდურესად კონსერვატორული „უმაღლესი მანიფესტის“ (1881წ.29.IV) ავტორი, სადაც ნათლად გამოჩნდა თვითიმპერობელური ხელისუფლების ახალი, ანტირეფორმატორული კურსი.

საეკლესიო ცხოვრების კრიზისს პობედონოსცევი რუსი სამრევლოების დეგრადაციაში ხედავდა; და მათი განათლების დაბალი დონით ხსნიდა; ბუნებრივი იყო, რომ ასეთი მდგომარეობით ეროვნული სამღვდელთა ვერ გაუწევდა კონკურენციას პროგრესულ ევროპულ აზროვნებასა და განათლებას. აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ ობერ-პროკურორის რეფორმები მთელი აქტივობით იყო მიმართული საეკლესიო განათლებისაკენ, *[პობედონოსცევის საეკლესიო-საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად სკოლების ქსელი რუსეთში ათჯერ გაიზარდა. ობერპროკურორი სისტემატიურად აღნიშნავდა, რომ სახალხო განათლების ქსელში წამყვანი ადგილი უნდა დათმობოდა მართლმადიდებელი ეკლესიის მუშაობას, რომელიც წარმართავდა სკოლის აღსაზრდელთა ქრისტიანული ცხოვრების ჯანსაღ წესს]* რამეთუ მისი აზრით საზოგადოების ზნეობრივი განათლების გარდაქმნის საქმეში მართლმადიდებლური ეკლესიის როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო, რაც შექმნილ გარემოებას საგრძნობლად შეცვლიდა უკეთესობისაკენ. საამისოდ, იმპერიის ეკლესიაში რადიკალური ღონისძიებები გატარდა, კერძოდ ეკლესია-მონასტრების რესტავრაცია-მშენებლობები, მისიონერული მოღვაწეობის გააქტიურება, რუსეთის გაქრისტიანებიდან 900 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა (1888წ.) და სხვ. საარქივო მონაცემების თანახმად 1881 წლიდან სრულიად რუსეთის მასშტაბით ყოველწლიურად 250 ახალი ტაძარი იხსნებოდა.

პობედონოსცევის ხელმძღვანელობით სინოდალური ბიუროკრატია ეკლესიის დამოუკიდებელი მოქმედების ყველა ფორმას უკიდურესად ზღუდავდა, რამეთუ საეკლესიო ავტონომიას მოიაზრებდა საერო პარლამენტარიზმის ანალოგიად. ნიშანდობლივია, რომ ჯერ-პროკურორს ასეთი აზროვნების სერიოზული მიზეზიც ჰქონდა, რადგან XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან რუსეთის სასულიერო იერარქიაში სერიოზულად მოქმედებდა ლიბერალთა ფრთა, რომელიც მხარს უჭერდა ევროპული ევანგელიზაციის

პროცესებს ეკლესიაში და ზოგადად იმპერიაში. აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ სინოდი უკიდურესად მკაცრი მეთოდებით უპირისპირდებოდა დამოუკიდებელი რელიგიურ-სამოქალაქო აქტივობისა და რელიგიური აზროვნების ნებისმიერ გამოვლინებას. აღნიშნული დამოკიდებულების შედეგად იდევნებოდნენ: დუხოზორები, მოლაკნები, ევანგელისტი ქრისტიანები და სხვ.

რუსული პროტესტანტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ობერპროკურორმა სახელმწიფოს ყველა მანქანა აამუშავა; რუსი პროტესტანტების რეპრესიებში მონაწილეობდა სახელმწიფოს პოლიციური აპარატი; მკაცრად აიკრძალა რიგი რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულება (გ.ს. სოლოვიოვის ნაწარმოებები); შეიზღუდა და მოგვიანებით აიკრძალა საჯარო გამოსვლები; დაიხურა „სანკტ-პეტერბურგის რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება“.

XIX საუკუნის უკიდურეს მიწურულში, იმპერიაში განვითარებულმა შიდა და გარე კრიზისმა, ქვეყანაში ახალი რევოლუციური სიტუაციის მომწიფება გამოიწვია; სულ უფრო გახელდა ევროპული აზროვნების პროპაგანდა, რამაც რუსეთში ევანგელისტური მოძრაობის მასშტაბები უკიდურესად გაზარდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ვერ უწევდა წინააღმდეგობას უცხოური იდეოლოგიის მოწოლას. მიმდინარე პროცესის შეჩერების მიზნით, პოტედონოსცევის მითითებით სინოდმა უკიდურეს ზომებს მიმართა და ღიად დაიწყო არამართლმადიდებელ ქრისტიანთა: პაშკოველების, შტუნდისტების, სექტანტების დევნა; საგანგებოდ შემუშავდა მკაცრი ადმინისტრაციული შეზღუდვითი კანონები და სანქციები არამართლმადიდებელთა ალაგმისათვის, კერძოდ: 1). მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან განდგომისათვის ჩამორთმეოდან სამოქალაქო უფლებები; 2). საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა; 3). პასპორტში საგანგებო აღნიშვნა, რათა ისინი არ მიეღოთ არანაირ სამუშაოზე; 4). მშობლის უფლების ჩამორთმევა და შვილების მართლმადიდებელი მრევლისათვის აღსაზრდელად გადაცემა; 5). არამართლმადიდებლური ხასიათის თხზულებების შექმნა – გამოცემის და სენტაქტური ლიტერატურის გავრცელებისათვის გადასახლება – დაპატიმრების სანქციის გაცემა და ა.შ.

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა ნათელი გახადა, რომ რუსეთის იმპერია მყარად იდგა ბიუროკრატიული ბიზანტიზმის კურსზე, ხოლო მისი ქომაგი – კ. პობედონოსცევი კი ფილოსოფოს ნ. ბერდიაევის აღნიშნით იყო „თეოკრატი სახელმწიფოში და ბიუროკრატი ეკლესიაში“. მისი პოლიტიკის დამსახურებით, ეკლესია სახელმწიფოსთან ღრმა დაქვემდებარებაში იყო და ამით დაცულიც განსხვავებული რელიგიურ-სამოქალაქო და ღვთისძიებითი ინიციატივებისაგან. ორივეს ჰარმონიული თანამშრომლობით კი მთლიანად რუსეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა იყო დაცული.

რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული ბიზანტიზმი ერთნაირი წარმატებით ვრცელდებოდა როგორც შიდა, ისე გარე გუბერნიებში. ნიშანდობლივია, რომ იმპერიის გარეუბნების მიმართ ბიუროკრატიული ბიზანტიზმი განსაკუთრებული სიმძაფრით ვრცელდებოდა, რისი მიზეზიც საძიებელია ბიზანტიზმის ღრმა კავშირით იმპერიის კოლონიზატორულ პოლიტიკასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფოს მართლმადიდებლური იდეოლოგია ვრცელდებოდა ყველა იმ ერებზე, რომლებიც იძულების წესით იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ. ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო დაპყრობილ ხალხებში რუსული მართლმადიდებლობის დამკვიდრება, საითკენაც იყო მიმართული რუსული კოლონიზატორული პოლიტიკაც. ეს უკანასკნელი მიმართული იყო ცალკეული ერების ასიმილაციისაკენ იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში, რისთვისაც მათ უნდა დაევიწყათ მშობლიური ქვეყნის ისტორია, კულტურა, ენა, ტრადიციები და განსხვავებული კულტურა ეროვნული აზროვნების პრიზმაში გაეტარებინათ. ბუნებრივი იყო, რომ ასეთ შემთხვევაში, იმპერიის ხელისუფლებისათვის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ისეთივე სისტემის დამკვიდრება, როგორიც თავად რუსეთში იყო.

ისე, როგორც იმპერიის შიდა გუბერნიებში, განაპირა მხარეებშიც ხელისუფლება რუსული ეკლესიის მეშვეობით ცდილობდა იმპერიულ-რუსული იდეოლოგიის დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, დაპყრობილ რელიგიებშიც ბიუროკრატიული ბიზანტიზმის დამკვიდრება მიზანმიმართულად მიმდინარეობდა. აღნიშნულს მით უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა იმპერიის ზოგიერთ იმ გარეუბანში,

სადაც შეინიშნებოდა ევროპული ევანგელიზმის ნიშნები, მისით შექმნილი სახელმწიფო საშიშროება. ასეთ რეგიონთა რიცხვში კავკასია და კონკრეტულად საქართველოც მოიაზრებოდა.

საქართველო იმპერიისათვის პრობლემატური რეგიონი იყო. აქაური ჭრელი ეთნიკურ – რელიგიური მოსახლეობა, მისი ძლიერი ეროვნული ცნობიერება რუსეთის ხელისუფლებას რთული ამოცანების წინაშე აყენებდა. საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის დღიდან, მის მოსახლეობას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეუჩერებია. აღნიშნულის გამო, რუსეთის მთავრობა საქართველოს საეგზარქოსოს მეშვეობით ნაირგვარ მეთოდს მიმართავდა მისი მოსახლეობის გადაგვარებისათვის. XIX საუკუნის მეორე ნახევარი, რომელიც საქართველოს ისტორიაში მძლავრი ეროვნულ-სახალხო, დემოკრატიული მოძრაობით ხასიათდება, რუსეთს სისტემატური რეფორმებისაკენ უბიძგებდა. ყველა ამ ღონისძიებების ავტორად სინოდის ობერპროკურორი კ. პობედონოსცევი გვევლინება.

საქართველოს კოლონიზაციის საკითხს უკავშირდებოდა ობერპროკურორის მიერ შემუშავებული XIX საუკუნის მიწურულის საეკლესიო პროექტი საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციაზე. პროექტი გამიზნული იყო საეგზარქოსოს სრული ლიკვიდაციისათვის, რაც უნდა განხორციელებულიყო საეგზარქოსოდან ერევნისა და ყუბანის ოლქების გამოყოფით, აფხაზეთის ჩამოშორებით და მისი შეერთებით ყუბანის ოლქთან; სამხრეთ ოსეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფით და შემდგომ ეტაპზე მისი შეერთებით ჩრდილო-ოსეთის ეპარქიასთან. 1901 წელს პობედონოსცევი პროექტი დაამტკიცა, მაგრამ იმპერიაში განვითარებულმა შიდა და გარე მოვლენებმა (სოციალური, პოლიტიკური კრიზისი, რუსეთ-იაპონიის ომი, პირველი ბურჟუაზიული 1905-1907 წლების რევოლუცია –ქ.პ.) პროექტის რეალიზების პროცესი შეაჩერა.

კ. პობედონოსცევის უშუალო მითითებით XIX საუკუნის 90-იან წლებში სრულიად რუსეთის მასშტაბებით დაიწყო რეაქციის ხანა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კლერიკალიზმის გაძლიერებით დაუპირისპირდა. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გარეუბნებში

მომრავლდა შავრაზმული ორგანიზაციები, საზოგადოებები, რელიგიური კავშირები და სამოციქულო; მკაცრი ღონისძიებები ტარდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლების და ამბოხებული სამღვდელთა წინააღმდეგ; გაიზარდა საპოლიციო ცენზურა და ა.შ.

ბიუროკრატიული ბიზანტიზმის დაცვისა და ევროპული ევანგელიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უპირობო საშუალებად პობედონოსცევს რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთსულოვანი, შეთანხმებული თანამშრომლობა მიიჩნედა. *[კ. პობედონოსცევა აღნიშნულ საკითხს უძღვნა სავანებო ნაშრომი „ეკლესია და სახელმწიფო“ (1896 წ.) ნაშრომში პრობლემატურ საკითხად დვას საეკლესიო და სახელმწიფო საწყისების ურთიერთწინააღმდეგობრიობა. ნაშრომში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საზოგადოების სულიერ სფეროში, რომელსაც მხოლოდ ეკლესია უნდა წარმართავდეს, ხოლო ეკლესია, როგორც მორწმუნეთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია არ უნდა იყოს განკერძოებულ მღვდობარეობაში არც სახელმწიფოსაგან, არც საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრებისაგან, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა].* მისი აზრით ეს კავშირი უზრუნველყოფდა რუსეთს როგორც პოლიტიკური სიძლიერით, ისე სასულიერო ავტორიტეტით, რაც გააჯანსაღებდა ევროპული ევანგელიზმის ზემოქმედების შედეგად მიღებულ რუსული სამოქალაქო საზოგადოების დაავადებულ ცხოვრებას.

სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირზე აზროვნებისას, პობედონოსცევისათვის სანიშნო ისტორიული მაგალითია დასავლეთ ევროპაში განვითარებული ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ბრძოლა: „როდესაც რეფორმაციის ეპოქაში გერმანიის ხელისუფლება ეკლესიის ძველი ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო ბრძოლას ჩაუდგა სათავეში და შეიმუშავა ახალი ეკლესიური ორგანიზაცია, ის მხოლოდ მოქმედებდა სარწმუნოებრივი იარაღით. ამ მოძრაობის ლიდერები იმ დროის უმაღლესი ფენის ინტელიგენცია იყო ღრმა რწმენით გაჯერებული და ხალხის ინტერესებთან შერწყმული. ამრიგად, ამ მოძრაობაში მოიაზრებოდა და გაერთიანებული იყო ვეებერთელა სულიერი ძალა, რომელითაც უნდა

დამარცხებულიყო ძველი კანონმდებლობა“ - აღნიშნავდა კ. პობედონოსცევი.

კ. პობედონოსცევი მხარს უჭერდა ეკლესიისა და სახელმწიფოს უძველეს, მეტ-ნაკლებად გავრცელებულ სისტემას, რომელიც ისტორიაში ცნობილია სახელმწიფო ეკლესიის სახელით. აღნიშნული სისტემის არსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო მფარველობდა ეკლესიას. ობერპროკურორი დარწმუნებული იყო იმაში, რომ სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ძველი მოდელის უდიდესი ღირსება იყო ის, რომ სახელმწიფო საჭიროებდა სულიერ მხარდაჭერასა და ძალას, რის გამოც ის ეკლესიას მოიაზრებდა, როგორც თავის ერთგულ მხარდაჭერს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

კ. პობედონოსცევის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ცდილობდა ქრისტიანული საწყისები გამოეყენებინა სოციალური ურთიერთობების სტაბილიზაციაში, ხოლო მისი პოზიციის სისუსტე ქრისტიანული არამომგებიანი ფორმის არჩევა იყო. ბიუროკრატიული ბიზანტიზმის სტრატეგიამ, რომლის შედეგიც იყო მართლმადიდებლობის აღორძინება არამართლმადიდებელ ქრისტიანთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე – არ მოიტანა წარმატება. საუკუნეების წინ მართლმადიდებელურმა სარწმუნოებამ ვერ გადაარჩინა დაღუპვას ბიზანტიის იმპერია; იგივე განმეორდა ბიზანტიზმის მემკვიდრის – რუსეთის იმპერიის ცხოვრებაშიც. დასაშვებია, რომ იმპერიის წიაღში წარმოშობილ რუსეთის საზოგადოების პროტესტანტულ მოძრაობას სავსებით შეეცვალა იმპერიის რელიგიურ-სამოქალაქო ცხოვრების წესი, მაგრამ ბიზანტიზმის უარყოფითმა ნიშნებმა ხელი შეუშალა ისტორიული კრახისაგან გადაერჩინა რუსეთის იმპერია.

ლიტერატურა

References

1. abzianiZe g., narkvevebi XIX s-is qarTuli sazogadoebrivi azrovnebis istoriidan, Tb., 1959w. (Georgian)
2. bendianiSvili a., erovnuli sakiTxi saqarTveloSi 1801-1921 ww., Tb., 1980w. (Georgian)

3. berZeniSvili n., masalebi XIX s-is I naxevis qarTuli sazogadoebis istoriisaTvis, Tb., 1980w. (Georgian)
4. gorgilaZe l., qarTuli sazogadoebrivi azris istoriidan, Tb., 1967 w. (Georgian)
5. vaCnaZe m., guruli v., saqarTvelo-ruseTis urTierToba, Tb., 2001 w. (Georgian)
6. pavliaSvili q., saqarTvelos marTlmadidebeli samociqulo eklesiis historia (1800-1945), Tb., 2008w. (Georgian)
7. pavliaSvili q., saqarTvelos saegzarqoso 1900-1917 wlebSi, Tb., 1995w. (Georgian)
8. xuciSvili m., saqarTvelos eklesiis socialur-politikuri pozicia, Tb., 1987w. (Georgian)
9. saqarTvelos saxelmwifos centraluri saistorio arqivi (sscsa), fondi 488, saqme – 24544, fur.2, 1902. (Georgian)
10. Bacinin V. Nacionalnaia idea dlia rossii: vibor mezdu vizantizmim, evangelizmom i sekularizmom (istoriceskie ocerki politiceskoi teologii i kulturnoi antropologii), M.,2002 (Russian).
11. Blagovidov F.V. Ober prokurori cv. Sinoda v XVII-pervoi polovine XIX stoletia, jurnal Pravoslavni cobesednik, ianvar 18899 g. (Russian).
12. Gausart A. Srednevekovoe reformatorstvo, СПб., t.I, 1900 g. (Russian).
13. Karnovic E.P. Zamecatelnie I zagadocnie licnosti XVIII I XIX stoletii, L., 1990 g. (Russian).
14. Kondakov I. E. Gosudarstvo I pravoslavnaia cerkov v Rossii: Evolucia otnosenii v pervoi polovine XIX v. СПб., 2003g.

Ketevan Pavliashvili

European Evangelism and Bureaucratic Byzantism

(Constantine Pobedonocev–Procurator General of the Holy Synod)

Summary

Aimed at strengthening its position worldwide, ambitions of Russian imperialism of XVIII-XIX undoubtedly needed multilateral internal, State reform with religion being the most required in. In the above period, Russia obviously revealed critical signs of introduced bureaucratic Byzantism, what naturally caused deep crisis of the State Religion (Orthodoxy). The above process was more aggravated by European thinking invaded into Russian society (rationally-educational, fighting-atheistic) and theories directed against bureaucratic Byzantism.

The above circumstance was expressed in contradiction between the society of European ideology and the national (Russian) Church. In different periods the event was characterized with different methodology and tension, in particular regarding traditionalist clergy and church, requiring limitation of rights of spiritual officials (limitation of rights of Procurator General) etc.

Invasion of European ideas and thinking in traditional Russia made its government to face with a number of serious problems. In spite of liberal political course of Russian imperial court sound competition with progressive processes was still failing. The reason for the above should lie in double condition of Russian State Policy: on the one hand Russia tried to protect the society from so called "harmful" ideology by establishing experience of European fight, and on the other hand it was trying to preserve signs of traditional bureaucratic Byzantism with appropriate political course. Strengthening of the above course and resistance to European orientation was connected with governing circles of Russia and its distinguished representatives. Such a circle was collective administration - the Holy Synod and the position of its head – Procurator the General. Among these was a prominent figure of XIX-XX -Constantine Pobedonocev.

Keywords: Evangelism. Byzantism. Procurator General. Ideology. Reformation. Society. State. Liberalism. Conservatism. Constitution

Reviewer – professor Otar Zhordania, Sukhumi University

Павлишвили Кетеван Давидовна

Европейский евангелизм и византийский бюрократизм

Резюме

В XVIII-XIX веках российскому империализму для укрепления своих амбиций на международной арене, бесспорно, требовалась всесторонние внутригосударственные реформы, среди которых особую необходимость испытывала сфера религии. В указанную эпоху явно проявились острые признаки бюрократического византизма, укоренившегося в российском государстве, что естественно вызывало глубокий кризис государственной религии (православия – К.П.). Этот процесс ещё более углублялся ввиду вторгшегося в русское общество европейского мышления (рационально-просветительских, противоборствующих атеистических идей - К.П.) и разработанных

и направленных против бюрократического византизма теорий. Указанное обстоятельство резко проявилось в борьбе между европейски мыслящим обществом и национальной (русской –К.П.) церковью, которая в соответствии с периодами и остротой противостояния использовала различные методологии, в частности, в отношениях между церковью и традиционным духовенством, в требованиях ограничения прав духовного чиновничества (ограничение правовых функций обер-прокурора – К.П.) и т.д.

Вторжение в традиционную Россию европейских идей и мышления поставила её власть перед рядом серьёзных проблем. Несмотря на либеральный политический курс, проводимый российским императорским двором, всё же не существовало здоровой конкуренции между прогрессивными процессами. Причину следует искать в двойственности российской государственной политики. С одной стороны, российская власть пыталась оградить общество от «вредной» идеологии путём внедрения в Россию опыта самой европейской борьбы, но, с другой стороны, старалась сохранить признаки традиционного бюрократического византизма и продолжать соответствующий ему политический курс. Это отразилось в вопросе коллегиального управления религией – Священного Синода и должности его руководителя – обер-прокурора. Противоречивость между усилением указанного курса и европейской ориентацией связана с российскими правительственными кругами и с их выдающимися представителями. К их числу относится известный деятель XIX-XX веков Константин Победоносцев.

Ключевые слова: Евангелизм. Византизм. Обер-прокурор. Реформация. Идеология. Общество. Государство. Либерализм. Консерватизм. Конституция.

Рецензент – профессор Жордания Отар Константинович,
Сухумский университет

ოთარ ქონორაძე

მმართველობითი აზროვნება და პრაქტიკა აღმოსავლურ ცივილიზაციაში

მართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეგვიპტელებმა. ეგვიპტეში ნილოსის „მოთვინიერების“ და ხალხის ინტერესებისათვის მისი დაქვემდებარების პროცესი ძალიან რთული და ხანგრძლივი იყო და მოიცავდა, ალბათ, ძველი წელთაღრიცხვის მთელ მეოთხე ათასწლეულს. ნილოსი არა მარტო რწყავდა, იგი თავისი ღამით ანოყიერებდა ნიადაგს. საჭირო იყო ადამიანის შრომის შესაბამისი ორგანიზაცია, რათა ნილოსის იმპულსური და დამანგრეველი ენერჯია საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო. მართლაც, ხელოვნური მორწყვისა და ამოშრობის სისტემის შესაბამისი ორგანიზაციის გარეშე ეს უზარმაზარი რეგიონი ქვადორდისა და ქვიშის უდაბნოდ გადაიქცეოდა.

ეგვიპტური საზოგადოების უმთავრეს მიზანს წესრიგი, უმაღლესი დონის ცენტრალიზაცია და ცოტალური კონტროლი, საზოგადოებრივი ცხოვრების რეგლამენტის მაღალი დონე წარმოადგენდა. ყოველივე ამის ცხოვრებაში განხორციელებას ემსახურებოდა უზარმაზარი მმართველობითი აპარატი.

ეგვიპტის სოციალური და სამეურნეო მართვის მრავალსაფეხურიან პირამიდაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფესიული მენეჯერების ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა – მწერლები, რომლებიც ფარაონის სახელით გულმოდგინედ თვალყურს ადევნებენ ყველა სახის მატერიალური ფასეულობების მოძრაობას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის პროცესს, პერიოდულად აღწერდნენ მოსახლეობას, უბრალო მოსახლეობის გადანაწილებას პროფესიების მიხედვით. ეგვიპტური მენეჯმენტისთვის, მისი განვითარების უკვე ადრეულ სტადიაში, დამახასიათებელია სპეციალიზაცია, როგორც სამუშაოების სახეობების მიხედვით, ასევე ცალკეული მიმართულების მიხედვითაც (დღეს ამას ჩვენ ვუწოდებთ მენეჯმენტის ფუნქციებს). სხვადასხვა სახის მომსახურების მრავალრიცხოვანი შტატი: მწერლები, ზედამხედველები, აღმრიცხველები, დოკუმენტების

მცველები, მმართველები (მთელი სამეურნეო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა სახლის მმართველი), ახდენდნენ მრავალრიცხოვანი მუშაკების შრომის ორგანიზაციასა და კონტროლს. ეს იყო თანამედროვე ბიზნესის ფუნქციების დაბადების დასაწყისი.

მთავარ მენეჯერს წარმოადგენდა ფარაონი, რომელიც პატარაობიდანვე ოჯახში იღებდა კარგ პროფესიონალურ მმართველობით განათლებას (ფარაონზე იყო დამოკიდებული მთელი ცივილიზაციის ბედი). ფარაონი თავის უფლებამოსილებას გადასცემდა პირველ თანამემწეს – ჩატის. ჩატის ექვემდებარებოდა რთული ბიუროკრატიული სისტემა: მდინარის დონის გაზომვისათვის, რომელზეც დამოკიდებული იყო მთელი ეკონომიკა, მოსავლისა და შემოსავლების პროგნოზირება, შემოსავლების დაბანდება სხვადასხვა სახელმწიფო დანაყოფებში, მრეწველობასა და ვაჭრობაზე ზედამხედველობა. აქ იყენებდნენ, იმ პერიოდისათვის ზოგიერთ ძალიან წარმატებულ მეთოდს: პროგნოზირებაზე დაფუძნებულ მართვას, სამუშაოთა დაგეგმვას, სამუშაოთა დანაწილებას სხვადასხვა ადამიანებსა და სამმართველოებს შორის, პროფესიონალი ადმინისტრაციის წარმოქმნა კოორდინაციისა და კონტროლისათვის. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მუშაკების მოტივაციას.

ძველი სამეფოს პერიოდში, მინდვრის სამუშაოსთვის შრომის ორგანიზაციის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენდა მუშათა რაზმები. ისინი არ ფლობდნენ შრომის იარაღებს და წარმოების საშუალებებს. სარჩოს იღებდნენ დიდებულთა საწყობებიდან და წარმოებებიდან. მათ მოვალეობაში შედიოდა გარკვეული სახის სამუშაოს შესრულება იმ მეურნეობაში, რომელსაც ისინი ემორჩილებოდნენ. გეგმის ზევით დამზადებული პროდუქტი გადაეცემოდათ მათ ამ წილის განკარგვის უფლებით.

გეგმატიკის ისტორია და შემონახული წერილობითი წყაროები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ეროვნულ მერნეობისა და მისი მართვის მექანიზმის განვითარების მოქმედება პრაქტიკაში. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ანუ უფრო სწორად, რომ ვთქვათ საზოგადოების სტრუქტურული კრიზისის პირობებში. მის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ქაოსი. მენეჯმენტის თანამედროვე თეორიაში ყველაზე

ხშირად ანალიზს უკეთებენ ქაოსის ცნებას: ეკონომიკაში სხვადასხვა მიმართულების და სწრაფი ცვლადი პროცესების ერთობლიობას. ეგვიპტის ისტორია საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ქაოსი მოქმედებაში, გავიგოთ მისი მიზნები, განვითარების მიმართულება და შედეგები.

ეგვიპტის ისტორიაში არის, ეგრეთ წოდებული, გარდამავალი პერიოდი (ძველი სამეფოს დასასრული და შუა სამეფოს დასაწყისი, თითქმის ათასწლეულის მეოთხედი) – ეს არის დაქუცმაცებულობისა და დიდი სოციალური კატაკლიზმების დრო, გააფთრებული შიდა ბრძოლების ხანა ქვეყნის ახალი გაერთიანებისათვის. ერთიანი სახელმწიფოს დაშლა, ნომების სწრაფვა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ, მათი პაექრობა და უერთიერთ ბრძოლა ნეგატიურად აისახა ქვეყნის მთელ ეკონომიკურ სტრუქტურაზე, ერთიან საირიგაციო სისტემაზე – ეგვიპტის სამეურნეო კეთილდღეობის საფუძველზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია შიმშილობა და სოციალური რყევა. შიდა დაპირისპირებამ გააღრმავა ეგვიპტის ისედაც მიმე მდგომარეობა – ნომებს შორის მიმდინარე შეუწყვეტელმა ბრძოლამ განადგურების ზღვარზე მიიყვანა ქვეყანა.

როგორც ვხედავთ, გარდამავალი პერიოდი არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით ქაოსს. მაგრამ ეს ქაოსი იყო არა მარტო დამანგრეველი და მტკივნეული. მან შექმნა ხელსაყრელი ნიადაგი ინოვაციებისათვის. როდესაც, უმძიმეს პირობებში, ადამიანებს აღარაფერი დარჩენიათ გარდა საკუთარი იმედისა, ისინი ააქტიურებენ თვითგადარჩენის გზების ძიებას, ნახულობენ ახალ გადაწყვეტილებებს.

გარდამავალ პერიოდში, ირიგაციული სისტემების ერთიანი მართვის მსხვერვის პირობებში, შეინიშნება ადგილობრივი ინიციატივის მნიშვნელოვანი ზრდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა უფრო მოხერხებული გუთანი, რომელიც აადვილებდა მოხენას და აუმჯობესებდა ნიადაგის დამუშავების ხარისხს; მიწათმოქმედებასა და სახელოსნო წარმოებაში აღმოცენდა შრომის ბევრი ახალი იარაღი; უფრო სრულყოფილ სახეს იღებს შრომის ძველი იარაღები. შიდა გაცვლის შედეგად, ახალი და სრულყოფილი ძველი, შრომის იარაღები ფართოდ ვრცელდება მთელ ქვეყანაში. გარდამავალი პერიოდის ბოლოსათვის ეგვიპტელებმა პირველად დაიწყეს ბრინჯაოს გამოყენება, თუმცა შემდგომ

პეროდშიც ძირითად ლითონად წარმოებაში რჩება სუფთა სპილენძი. მეცხოველეობაში გამოჩნდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფრო პროდუქტიული ჯიში, რომელმაც მთლიანად შეცვალა ძველი გრძელრქიანი ჯიში. პროგრესის სტიმულირება ხდებოდა ნომების მცდელობით გამოეთავისუფლებინათ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი მუშახელი, რათა ნაწილობრივ მაინც აენახლაურებინათ ის ზარალი, რომელიც დაკავშირებული იყო საერთო სახელმწიფოებრივი სამეურნეო ორგანიზაციის რღვევასთან. ყოველი ახალი ინოვაცია ვითარდებოდა და მტკიცდებოდა შემდგომში ერთიანი შუაეკვიპტური სამეფოს ჩარჩოებში.

გარდამადგალი პერიოდის ეკვიპტეში გაიზარდა შიდა გაცვლა, თუმცა ერთი შეხედვით ამისთვის არავითარი პირობები არ არსებობდა. ეს გამოიწვია ძველი სამეფოს ეპოქის არისტოკრატის კუთვნილი მეურნეობის დაცემამ და ქვეყნის ცხოვრებაში წვრილი მეურნეობების როლის ზრდამ. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ წვრილი მეურნეობების მფლობელები გახდნენ მონარქების საყრდენი ძალა შიდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, ხოლო შემდგომში, გარდამავალ პერიოდში დაწინაურდნენ მრავალრიცხოვანი ოლქების დამოუკიდებელი მმართველობის კარზე. შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა იმ პირთა დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მეტერიალური უზრუნველყოფა, რომლებმაც მიიღეს თანამდებობები ადმინისტრაციულ აპარატში, კარზე, ჯარში. ბუნებრივია, რომ ადგილობრივი და ცენტრალური ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა მრავალრიცხოვანი წვრილი და საშუალო მეურნეობები არ ფლობდნენ დიდებულთა ადრე არსებული მსხვილი მეურნეობების საწარმო შესაძლებლობებს, რომლებსაც უნარი შესწევდათ ეწარმოებინათ ყველა აუცილებელი იარაღი, ნაკეთობა და პროდუქტი. ამ ნაკლის შევსება შეიძლებოდა მხოლოდ წვრილი და საშუალო მეურნეობებში წარმოების გარკვეული სპეციალიზაციით, მათ შორის ინტენსიური გაცვლის წარმოშობით, რომელიც შუა სამეფოს მთელი ეპოქის მთავარი მახასიათებელი გახდა.

აღსანიშნავია მართვის თვალსაზრისით ერთი საინტერესო მომენტი. მხედველობაში გვაქვს ირიგაციული სამუშაოების წარმოება ნილოსის დელტაში, ფაიუმის ოაზისში. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ფაიუმის

ოპიზის რაიონში მიმდინარე გრანდიოზული ირიგაციის მშენებლობის მთავარი მიზეზი იყო ახალი ცენტრალური ხელისუფლების სწრაფვა მატერიალურად უზრუნველყო ახალი მოხელეების ფართო წრე. ამან ქვეყანაში გამოიწვია სახნავე მიწების ფონდის საგრძნობი ზრდა. ფართო მასშტაბიანი საირიგაციო სამუშაოები მიმდინარეობდა დელტაშიც. ყოველივე ამან, ფაიუმი, დელტა და მისი მიმდინარე ტერიტორიები აქცია სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ცენტრებად. შედეგად არ დააყოვნა: XII დინასტიის ფარაონმა საკუთარი რეზიდენცია თებედან გადაიტანეს ახალ ქალაქ იტაუიში (იგი აერთიანებდა ორივე მიწას). ახალი თავისუფალი მიწის მასივების გამოყენებამ ხელი შეუწყო მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ახლა ათვისებული მიწები იმყოფებოდნენ ეგვიპტის ახალი დედაქალაქის უშუალო სიახლოვეში, ფარაონებს რეზიდენციის ახლობლად ეროვნული მეურნეობისთვის და მთლიანად ეგვიპტური საზოგადოების საკეთილდღეოდ ყველა ეს დიდი ცვლილება იყო ერთადერთი მართებულად არჩეული პროექტის შედეგი. ია რას ნიშნავს მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო ღირებულები, საკვანძო ობიექტის პოვნა. ძველმა ეგვიპტურმა საზოგადოებამ გაამდიდრა მართვის თეორია სხვა მრავალი მონაპოვართ, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ მენჯემენტის ისეთი ფუნქციების განსაზღვრება როგორცაა დაგეგმარება, ორგანიზაცია და კონტროლი, ცენტრალიზაციისა და უფლებამოსილების დელეგირების უპირატესობის გაცნობიერება, გადაწყვეტილების ერთობლივი ძიებისა და კონფლიქტურ სიტუაციებში კომპრომისების მიღწევების მიზანმიმართულება. (გაეროს არქივის სიაამყეს წარმოადგენს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1280 წელს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება რამზეს II და ხეთების მეფე ხატუსილის შორის).

ეგვიპტური მმართველობითი აზრის მთავარი მახასიათებლები:

- წესრიგისა და ორგანიზაციის ცნება;
- მმართველობის იერარქია;

მართვის ძირითადი ფუნქციებისა და პრინციპების გაცნობიერება ძველ ჩინეთში ხდება დაახლოებით იმავე დროს რაც ეგვიპტეში. ჩინელები ეგვიპტელებზე შორის წავიდნენ: დაგეგმარების, ორგანიზაციის, განკარგვისა და

კონტროლის აუცილებლობას აღიარების პარალელურად მათ გამოყვეს სპეციალიზაციის, დეცენტრალიზაციის და იდენტური პრობლემის გადასაწყვეტად მრავალმხრივი მიდგომის პრინციპები. ძველმა ჩინელებმა მართვაში დაინახეს ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის მეოხებითაც შეიძლებოდა ზემოქმედების მოხდენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და მისი შეცვლა საჭირო მიმართულებით. ყოველივე ამის გაცნობიერების შედეგად მათ შექმნეს აკადემია, რომლის კურსდამთავრებულებიც, როგორც წესი ხდებოდნენ მართვის მოხელეები. ამგვარად, თანამედროვე მენეჯმენტის გაჩენამდე 2000 წლით ადრე, ძველ ჩინეთში დაიწყო სოციალური და სამეურნეო მენეჯერების სპეციალიზებული მომზადება.

ძველი ჩინეთის ისტორია იძლევა უამრავ მასალას თეორეტიკული განზოგადებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის. მაგალითად, საინტერესო სიტუაცია შექმნა ჩვენ წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში, როდესაც დეცენტრალიზაციის შედეგად ქვეყანა დაიყო მრავალ სამეფოდ. საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სტრუქტურის დეზორგანიზაცია, რომელიც დაიწყო მრავალ სამეფოთა პერიოდის დეცენტრალიზაციით და გაძლიერდა მეომარ სამეფოთა პერიოდში, გამოყენებული იყო ექსპერემენტირებისათვის ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და ეროვნული მეურნეობის ახალი ორგანიზაციის მოსაძიებლად.

ჩინური ცივილიზაციისათვის და მისი მართველობის სისტემისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული **პრაგმატიზმი**. ჩინური ფილოსოფია წარმოშობა (ჩვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში) განპირობებული იყო სწრაფვით, ეპოვათ პასუხი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კითხვაზე: როგორ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული საზოგადოება. საზოგადოების მართვის პრობლემების განსჯის პროცესში ჩამოყალიბდნენ შემდეგი ფილოსოფიური სკოლები: ლეგიზმი, მოლიზმი, დაოსიზმი, კონფუციანელობა. ჩინური პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფორმა იმაშიც მდგომარეობს, რომ ფილოსოფოსები, მმართველთა მრჩეველების რანგში, მონაწილეობას იღებდნენ მართვის საუკეთესო სისტემის პრაქტიკულ, ექსპერიმენტალურ ძიებაში. და ყველაზე მნიშვნელოვანი: ჩინელმა

მოაზროვნებმა თავიდანვე შესთავაზეს პრობლემის გადაწყვეტის მრავალფეროვანი მიდგომა. საზოგადოების მართვის პრობლემების განსჯამ, რომელიც გრძელდებოდა რამოდენიმე საუკუნე, დიდი გავლენა მოახდინა ჩინურ საზოგადოებაზე და მის ფორმირებაზე, განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

ამ დროს შემოღებული იყო რანგების სისტემა, რომელიც ენიჭებოდა არა მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე, არამედ სამხედრო დამსახურების მიხედვით. მოგვიანებით ნება დართეს რანგები შეეძინათ ფულით. მივადციოტ ყურადღება ამ ფაქტს, რომლსაც კავშირი აქვს დღეისათვის ისეთ გავრცელებულ მოვლენასთან, როგორცაა მექრთამეობა. შან იანმა, იგი ამოდიოდა ადამიანის მენკიერი, ბოროტი ბუნების თეორიიდან, იპოვა პრობლემის ლეგალური გადაწყვეტის არაორდინალური სასუალება და რომ პრობლემის ლეგალურმა გაწყვეტამ, არალეგალურისაგან განსხვავებით, შეიძლება სარგებელი მოუტანოს საზოგადებს.

IV საუკუნის შემდეგ, ხანის ეპოქაში, უკვე არსებობდა დიდგვაროვნობის 20 რანგი. (აშშ დღეს არსებობს სახელმწიფო მოსამსახურეების 20 რანგი).

ჩინური მმართველობითი აზრის მთავარი მახასიათებლები:

- დეზორგანიზაციისა და მრავალხრივი მიდგომის პრობლემა ოპტიმალური გადაწყვეტილების მოძიებისთვის;
- ჩინური ფილოსოფიის წარმოშობა საზოგადოებრივ პროცესების მართვის შესახებ წარმოებულ დისკუსიაში;

მართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა ინდურმა ცივილიზაციამ. მისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების იდეოლოგიური ცხოვრების ურთიერთკავშირი სამეურნეო ცხოვრებასთან, აქტიური სახელმწიფოებრივი რეგულირება, კონტროლი სამეურნეო ცხოვრებაზე, ახალი სამეურნეო სუბიექტებისათვის მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. ინდოელებმა შექმნეს ეროვნული მეურნეობის, მეწარმეობისა და მენეჯმენტის, ჩვენთვის ცნობილი, პირველი სამეცნიერო ტრაქტატი და სახელმძღვანელო. ინდოელებმა მსოფლიო პრაქტიკა გაამდიდრეს მიგნებებით ინფორმაციასთან მუშაობით, არსებული პროექტების ეფექტური მართვის მიზნით საზოგადოებრივი აზრის

ფორმირებით, საშტაბო აპარატის შექმნით, გადაწყვეტილების მიღების ირაციონალური მეთოდებით.

დაწვრილებით განვიხილოთ სოციალური და სამეურნეო მენეჯმენტის ინდური სისტემის ზოგიერთი მიგნება. ინდური საზოგადოების განსხვავებულ ნიშნად ითვლება ვარნების სისტემა, რომელიც შემდგომში გადაიზარდა კასტურ სისტემაში (მას ანალოგი არა აქვს მსოფლიო ცივილიზაციებში). კასტურმა სისტემამ არსად არ მიიღო ისეთი დასრულებული სახე და არ გაგრძელდა ისე დიდ ხანს, როგორც ინდოეთში.

ძველი ინდური კულტურული ძეგლების “ვედები”, “მაჰაბჰარტა”, “მანუს კანონები” და სხვთა მიხედვით საზოგადოება იყოფოდა ოთხ ძირითად კასტად, რომლებიც თითქოსდა ღმერთების მიერ იყო შექმნილი პურუშისაგან (მსოფლიო სხეულისაგან, წყლისა და სულისაგან). მათში ნაქადაგები არის მემკვიდრეობითი საზოგადოებრივი უთანასწორობა: უმაღლეს კასტას (ვარნას) წარმოადგენენ ბრაჰმანები (ქურუმები), რომლებსაც ძველ ინდურ ლიტერატურაში ღმერთებსაც უწოდებდნენ. ისინი ღმერთმა თითქოსდა შექმნა საკუთარი პირისგან; შემდეგ საფეხურზე იდგნენ ქშატრიები (მეომართა და მმართველთა კასტა). ისინი ღმერთმა თითქოსდა შექმნა საკუთარი ხელებისაგან. მათ, ჩვეულებრივ, „მეფეებს“ უწოდებდნენ; თავისუფალი მშრომელი მოსახლეობა და ვაჭრები ვაიშიებად იწოდებოდა. ისინი ღმერთმა თითქოსდა შექმნა საკუთარი თეძოსაგან; მეოთხე, შუდრების კასტას, დამარცხებულ ტომთა შთაომავალნი და საერთოდ უთვისტომონი ქმნიდნენ. ისინი ღმერთმა თითქოსდა შექმნა საკუთარი ფეხებისაგან. წოდებრივი კიბის უმაღლეს საფეხურზე, უფრო სწორედ მის მიღმა იყვნენ ეგერეთ წოდებული „ხელშეუხებლები“. (კასტების სიტემა ინდოეთში ოფიციალურად გაუქმდა XX საუკუნის 50-იან წლებში).

აღნიშნული სოციალური განსხვავებანი განმტკიცებული იყო კანონით, რომლის თანახმად პოლიტიკური ძალაუფლება და მმართველობა პირველ ორ ვარნას ეკუთვნოდა. ამ მდგომარეობას ემსახურებოდა უძველესი რელიგიური სისტემა – ბრაჰმანიზმიც. მისი მიხედვით სამყარო, ღმერთები და მათ შორის ადამიანებიც მსოფლიო სულის – ბრაჰმას – შემოქმედების შედეგია; ადამიანთა გრძნობები კი ილუზიები და წარმოდგენებია.

ამიტომ ტანჯვა, სიღატაკე და სხვა მათი მსგავსნი ასევე წარმოდგენები. რადგან ბრაჰმანისტური შეხედულების თანახმად, ადამიანში მთავარი სულია და არა სხეული, იგი არ უნდა ცდილობდეს საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებასა და საზოგადოების გარდაქმნას. ეს დებულება სულთა გადასახლების რელიგიურ დოგმას ემყარებოდა, რომლის თანახმად სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული ერთი სხეულიდან მეორეში სახლდება და ახალი სახით გარდაიქმნება. ამასთან, იგი შეიძლება განსახიერდეს როგორც უმაღლეს, ისე უმდაბლეს სახეობად (შესაძლებელია მცენარედ ან ცხოველადაც კი). ადამიანის სულის გარდასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცავდა იგი სიცოცხლის ჟამს ცხოვრების წესსა და ბრაჰმანთა ნებას.

პრინციპში, ყოველი სისტემა მისწრაფვის შეინარჩუნოს გარკვეული სტაბილურობა მართვის მექანიზმსა და სტრუქტურაში. ეს საშუალებას იძლევა ეკონომია გაუკეთდეს მნიშვნელოვან რესურსებს გარკვეული თვითორგანიზაციის ხარჯზე. სიახლეები კი მოთხოვენ მატერიალურ, ადამიანურ და კვალიფიციური მმართველობითი კადრების ენერჯის უზარმაზარ დანახარჯს. სწორედ ამით აიხსნება საზოგადოების წოდებრივი დაყოფის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა. ამ მიმართებაში, ინდურმა ცივილიზაციამ, ინდურმა მმართველობითმა სკოლამ შექმნა უნიკალურად სიცოცხლისუნარიანი კასტური სისტემა, რომელსაც ახასიათებს არა მარტო უნიკალური დროული სიხანგრძლივე, აგრეთვე მას ახასიათებს სივრცული სტაბილურობა. თუ კი წოდებრივი გრადაციის დროს დასაშვები იყო თავის შემადგენელი ელემენტების გარკვეული გაცვლა, კასტებში მსგავსი რამ გამორიცხული იყო. უპრეცედენტო შემთხვევა მართვის ისტორიაში, რომელიც ეწინააღმდეგება ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს კანონს – თვითორგანიზაციას, რომლის ხარისხიც განისაზღვრება გარეშე ზემოქმედებისადმი ღია ხასიათის ხარისხით. კასტები და ვარნები წარმოადგენენ დახურულ ორგანიზაციებს. (კასტის წევრად გახდომა შეიძლება მხოლოდ დაბადებით).

სამეურნეო ცხოვრების რეგულირებას ადგილი ჰქონდა ბევრ სახელმწიფოში და ცივილიზაციაში, მაგრამ

ყველაზე თანამიმდევრულად და მკვეთრად იგი გატარებული იყო ინდოეთში. მიწათმოქმედების განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს მიერ ირიგაციული სისტემების მშენებლობამ და მიწათმოქმედთა უზრუნველყოფა წყლის აუცილებელი რაოდენობით. გადასახადი წყალზე უტოლდებოდა სარწყავი ნაკვეთიდან აღებული მოსავლის მეხუთედს, მეოთხედს და ზოგჯერ მესამედსაც. აღსანიშნავია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ კედლებით დაცული ქალაქების აშენება, სადაც სახლდებოდნენ არა მარტო ქურუმები, დიდებულები, მეომრები, არამედ ხელოსნები, ვაჭრებიც და სხვებიც.

ინდური სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად დახმარებას უწევდა ცალკეულ მოქალაქეებს და არა მარტო გლეხ-ვაიშებს, არამედ შუადრებსაც, კერძო მეურნეობების ორგანიზაციაში. ყამირი მიწების კულტურული მიწათმოქმედების სტიმულირების მიზნით მიწათმფლობელები დროებით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან. იღებდნენ, აგრეთვე სხვადასხვა სახის შეღავათებს: რქოსანი პირუტყვის, თესლეულის და ფულის სახით. ითვლებოდა, რომ ყოველივე ეს ანაზღაურდებოდა მომავალში, როდესაც ახალმოსახლეები ფეხზე დადგებოდნენ და მოძლიერდებოდნენ.

ახალ დასახლებებში მიწის ნაკვეთებს უბოძებდნენ ქურუმებსა და სოფლის ჩინოვნიკებს, ამასთან არ შეიძლებოდა ამ ნადელების გაყიდვა, დაგირავება, არც მემკვიდრეობით გადაცემა. თვით გლეხებს, გადასახადის გადამხდელებს, არ შეეძლოთ გადაეცათ თავიანთი მიწა მათთვის ვინც არ იხდიდა გადასახადებს. თუ მიწათმფლობელი ვერ ამუშავებდა მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს, იგი სხვას გადაეცემოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ განსახილველ პერიოდში, ალბათ, წარმოებაში ჩართული იყო მდინარე განგის აუზის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. უფრო მეტიც, კოლონიზაცია შეიძლებოდა შეხებოდა მასთან მომიჯნავე რაიონებსაც.

ძველი ინდური პოლიტიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანია კაუტილიას (ძ.წ. IV ს.) ტრაქტატი „ართჰაშასტრა“ [“მეცნიერება სახელმწიფო მოწყობის, მართვისა და მისი სარგებლიანობის შესახებ” – ზუსტი თარგმანი სანსკრიტიდან]. მას საფუძვლად უდევს წინამორბედ მოაზროვნეთა მიერ პოლიტიკოსებისათვის

სახელმძღვანელოდ შექმნილი შრომები და შეიცავს მეფეთათვის განკუთვნილ რჩევა-დარიკებებს მმართველობის სფეროში, რაც, თავის მხრივ, ინდური პოლიტიკური აზრის მდიდარ ტრადიციებზე მიანიშნებს. კაუტილია აღიარებს რელიგიის აუცილებლობას, საზოგადოების ოთხ ვარნად დაყოფას და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობას ასაბუთებს. ტრაქტატში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების იდეა დომინირებს. ხელმწიფის უმთავრეს ფუნქციად შინაგანი შფოთისა და არეულობის დათრეუნვას მიიჩნევს. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვარნას სისტემის აწმყოსა და მომავალში უზრუნველყოფა. ტრაქტატის ავტორი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საგარეო პოლიტიკას, ომისა და მშვიდობის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ ომის მთავარი მიზანია სხვა სახელმწიფოების ქონებისა და მიწების მიტაცება.

“ართჰაშასტრას” ტექსტი პირველად ცნობილი გახდა 1905 წელს, როდესაც სახელგანთქმულმა ინდოელმა მეცნიერმა რ. შამაშასტრამ დაიწყო ამ უნიკალური ძეგლის ცალკეული ნაკვესების გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე.

ართჰაშასტრა შედგება 14 განყოფილებისაგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 15-40 ქვეგანყოფილებას. იგი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: ქცევის წესები; ზედამხედველთა ვალდებულებები; სასამართლო საქმის წარმოება; წინააღმდეგობების მოსპობის შესახებ „საზოლადობრივი წესრიგის დამყარება“; დახვეწილი საშუალებების გამოყენების შესახებ “სახელმწიფო პოლიტიკაში”; სახელმწიფო საფუძვლების შესახებ; პოლიტიკის “საგარეო” მეთოდის შესახებ; სახელმწიფოში უბედურებების შესახებ; თავდასხმის მსურველთა ქმედებების შესახებ; ომთან დაკავშირებით; გაერთიანებებთან დაკავშირებული ქმედებების წესის შესახებ; უძლიერესი ”მეფის” მდგომარეობის შესახებ; სიმაგრის ხელში ჩაგდების შესახებ; საიდუმლო საშუალების გამოყენების შესახებ; მეთოდთა “სამეცნიერო მეთოდები”.

შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს პოლიტიკის ”ერთიან სახელმძღვანელოს, რომელიც შედგენილი არის პოლიტიკის შესახებ არსებული სახელმძღვანელოების იმ უმეტესი ნაწილისაგან, რომლებიც შექმნილი იყო ძველ მოძღვართა მიერ, მიწის ხელში

ჩაგდებისა და მისი დაცვის მიზნით.... იგი იკვლევს სახელმწიფო მართვის მოძღვრებებში მართებულ და არამართებულ პოლიტიკას”. იქვე დასაბუთებულია მდგომარეობა იმის შესახებ, რომ “მოძღვრება სახელმწიფო მართვის შესახებ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს (ფილოსოფიისა და სამეურნეო მოძღვრების შესახებ) სისტემას, წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერებას”. ”მეცნიერება სახელმწიფო მართვის შესახებ არის საშუალება იმის დასაუფლებლად, რაც არ გააჩნდათ, შექმნილის შესანარჩუნებლად, შეანარჩუნებულის გასანახლებლად, და იგი ანაწილებს ღირსეულთა შორის დამატებულ სიკეთეს. მასთან არის დაკავშირებული ყველა ამქვეყნიური საქმეები”.

“ართჰაშასტრა“-ში იმის აღიარებასთან ერთად, რომ ”კანონი დაფუძნებულია ჭეშმარიტებაზე”, აშკარა უპირატესობა ენიჭება ”ართჰა“-ს პრაქტიკულ სარგებლიანობას და მის მიერ განპირობებულ პოლიტიკურ ღონისძიებებსა და ადმინისტრაციულ-ძალაუფლებრივ დადგენილებებს. სწორედ სარგებლიანობა არის გამოყვანილი ამ ნაშრომში პოლიტიკური ქმედებების განმსაზღვრელ პირველსაწყისად და წამყვან პრინციპად, რომელიც შეესაბამება ძლიერი დამსჯელი ხელისუფლების ამოცანებს და არსებული სოციალური სისტემის შენარჩუნების მიზნებს. აღნიშნულ ტრაქტატში მოცემულია სამეფო ხელისუფლების პირობებში პოლიტიკური მართვის თეორეტიკულ-გამოყენებითი ასპექტები, მაკროპოლიტიკური და მაკროეკონომიკური მიდგომის ელემენტები. ტრაქტატს წითელ ხაზად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ ძალაუფლება და სიმდიდრე უნდა მოიპოვო, დაიცვა და განავრცო ნებისმიერი საშუალებებით, როგორც კარგი ისე საძრახისი, როდესაც ეს უკანასკნელნი აღმოჩნდებიან უფრო ქმედითი და ერთადერთი. [რამოდენიმე ათეული საუკუნის შემდეგ განხილული და დამუშავებული იქნა ნიკოლო მაკიაველის მიერ მის ცნობილ ნაშრომში “მთავარი”.]

პოლიტიკისა და კანონმდებლობის ინდურ საერო დოქტრინის ფორმირებაში აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა სარგებლიანობის გამოყოფა დამოუკიდებელი საწყისის სახით., ანუ ფაქტიურად ართჰაშასტრას ავტორმა კაუტილიამ პოლიტიკა გაათავისუფლა მორალურ-რელიგიური ხუნდებისაგან.

“ართჰაშასტრა” ეს არის მეცნიერული განზოგადება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიპოვო და შეინარჩუნო, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მოძღვრება მართვის ხელოვნების შესახებ, აქ კაუტილია მსჯელობს მმართველის არამართო ვალდებულებებზე, არამედ აგრეთვე მმართველის ხელობასა და ხელოვნებაზე – რა და როგორ უნდა გააკეთო რათა მოიპოვო უფრო მეტი ძალაუფლება და სიმდიდრე. მართალია, ტრაქტატში მეფე გამოყვანილია როგორც ხალხის მამა, მაგრამ აქ განხილული მართვის სისტემა შორს არის იდილიისაგან, იგი გაჯერებული არის მწვავე დაპირისპირებებით, ურთიერთ უნდობლობით, ეჭვიანობით და ინტრიგებით. სწორედ ამიტომ ავტორის მიერ დიდი გილისყურით არის დამუშავებული შპიონაჟის, დენისა და კონტროლის სისტემები.

ტრაქტატში ფართოდ არის წარმოდგენილი მართვის ხელოვნების ტექნიკური მხარე. უღაო ინტერესს იწვევს მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის პრინციპები და ეთიკური საფუძველი.

ავტორი დარწმუნებულია, რომ ძალაუფლება და სიმდიდრე უნდა მოიპოვო, დაიცვა და განავრცო ნებისმიერი საშუალებებით, როგორც კარგი ისე საძრახისი, როდესაც ეს უკანასკნელი აღმოჩნდებიან უფრო ქმედითი და ერთადერთი, რამეთუ მისი აზრით, მეთოდი, რომლის გამოყენება არ იწვევს აყვავებას ან ხრწნას, განაპირობებს უძრაობას.

ავტორის აზრით, სახელმწიფოს ძირითად ელემენტებს წარმოადგენს: ხელმწიფე, მინისტრი, სოფლის ადგილმდებარეობა, გამაგრებული ქალაქები, ხაზინა, ლაშქარი და მოკავშირეები. დაწერილებით არის დახასიათებული ”იდეალური ხელმწიფე”. მას უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებები, რომლებიც მიიზიდავს ადამიანებს: დიდგვაროვნება, ქუდბედიანობა, სამართლიანობა, სიტყვისადმი ერთგულება. მისი გონისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს: ჭკუა, ცნობისმოყვარეობა, სწავლის, შემეცნებისა და გათავისებულის შესახებ მსჯელობის უნარი, აგრეთვე უვარგისის უარყოფის და ჭეშმარიტებაში წვდომის უნარი. მის მოღვაწეობას უნდა განასხვავებდეს შემდეგი დადებითი თვისებები: მჭერმეტყველება, სიკეთისა და ბოროტების მიზღვის უნარი, შორსმჭვრეტელობა, გაწაფულობა ომისა და მშვიდობის

არჩევანში, საზრიანობა და აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს ვნებების, მრისხანების, სიძუნწის, დაბნეულობის და მახეზრობის მიდრეკილებისაკენ. ამ განყოფილების დასასრულს, მოყვანილია გაფრთხილება: მეფეს, რომელსაც არ გააჩნია დადებითი თვისებები, დაიღუპება ან თავისი ქვეშევრდომების ან გარეშე მტრების ხელით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეფის მიერ ჩატარებულ თათბირებს. თათბირი უნდა იყოს დახურული, "საიდანაც არ გამოედინება საუბრები და სადაც ჩიტიც ვერ შეფრინდება". ჩამოთვლილია თათბირის 5 შემდეგი ელემენტი: საქმისადმი მიდგომის ხერხი, ადამიანებისა და მასალების საჭირო რაოდენობა, დროისა და ადგილის განსაზღვრა, მარცხისადმი წინააღმდეგობის გაწევა და საქმის სასიკეთოდ დამთავრება.

საინტერესოა აქვე განყოფილება, რაზეც თვით მისი სათაურიც მეტყველებს "საკუთარ ქვეყანაში თვალყურის დევნება ერთგული ადამიანებისა და მოღალატეებისადმი" დეტალურად არის აღწერილი ტოტალური თვალყურის დევნება და პროვოკაციების ტექნიკა. ხასხასით არის აღნიშნული, რომ თვალყური უნდა ვადევნოთ ყველას, როგორც დიდი თანამდებობის პირებს, ასევე უბრალო მოქალაქეებსა და სოფლის მაცხოვრებლებს. რეკომენდაციას უწევს ჯაშუშების შეღწევას ადამიანთა მასობრივი თავშეყურის ადგილებში და თვით მასობრივი წმინდა განბანვის ადგილებშიც: "დაე ჯაშუშებმა გადაცმულებმა განდევნილებად, თავმოპარსულებმა ან ნაწნავიანებმა გაიგონ ადამიანების კმაყოფილების ან უკმაყოფილების მიზეზები". ხელმწიფე, კმაყოფილებას უძღვნის მატერიალურ ფასეულობებს. უკმაყოფილოებს კი სჯის.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გამოიყენება შემდეგი 6 მეთოდი:

მშვიდობა, რომელიც გულისხმობს მეომარი მხარეების შემბოჭველი ხელშეკრულების დადებას;

ომი, როგორც მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება;

ლოდინის მდგომარეობა, როგორც გულგრილი დამოკიდებულების გამოჩენა;

იერიში, ანუ მოწინააღმდეგეზე თავდასხმისათვის საჭირო ღონისძიებების მიღება;

კავშირის ძიება სხვა სახელმწიფოსთან;

ორმაგი პოლიტიკა, როგორც ხან ომის და ხან მშვიდობის გამოყენება.

ინტერესს მოკლებული არ არის ავტორის მიერ განხილული საკითხი იმის შესახებ, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ ომი, ძლიერი, მაგრამ უსამართლო მმართველის, თუ სუსტი, მაგრამ სამართლიანის? პასუხი ასეთია, უნდა ვიომოთ ძლიერის, მაგრამ უსამართლოს წინააღმდეგ, ვინაიდან, თავდასხმის შემთხვევაში მისი ქვეშევრდომები მას არ დაეხმარებიან, ისინი მას ან განდევნიან, ან გადავლენ მოწინააღმდეგის მხარეზე. ხოლო თუ თავს დავესხმით უფრო სუსტს, მაგრამ სამართლიანს, მაშინ მისი ქვეშევრდომები მას აღმოუჩენენ დახმარებას და გაუგებარია რით დამთავრდება ეს დავდასხმა.

ინდური მმართველობითი აზრის მთავარი მახასიათებლები:

- თვითორგანიზაციის თავისებურებები;
- სახელმწიფოებრივი, სამეურნეო მართვის ურთიერთკავშირი;
- სახელმწიფოსა და ეროვნული მეურნეობის მართვის პირველი სახელმძღვანელო.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, მართვა წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს; მოღვაწეობის სფეროს აღჭურვილს გარკვეული ფუნქციებით, რომელთა მიზანია ადამიანური და მატერიალური რესურსების შექმნის, განთავსების და გამოყენების ეფექტურობის მიღწევა.

მართვის ისტორიის ანალიზმა საშუალება მოგვცა გავცნობიდით იდეებისა და მიდგომების პირველწყაროებს, თვალი გვედევნებინა მათი განვითარებისათვის და გამოგვევლინებინა განვითარების პერსპექტივა კულტურული გარემოს პირობებში.

ლიტერატურა:

References

- 1.doRonaZe S., `saxelmwifo marTvis Teoriis sakiTxebi~, Tbilisi, `cis nami~ 2007. (Georgian)
- 2.doRonaZe S., baRaTuria o. `saxelmwifo marTvis Tanamedrove problemebi~, Tbilisi, `cis nami~ 2009. (Georgian)

3. i.rexviaSvili. j.jaliaSvili, v.xoWolava. politologia. Tbilisi, "iveria", 1991. (Georgian)
4. Modjevskii A.F. Ob ispravlenii gosudarstva. Antologia mirovoi filosofii v vetiriox tomax. T.2. M.,1970. (Russian).
5. Istoria politiceskix I pravovix ucenii. M., 1988. (Russian).
6. Maks Veber. Izbranie proizvedenia. M., 1990. (Russian).
7. Kravcenko A.I, Istoria menejmenta. M., 2000. (Russian).
8. Kezin A.V. Menejment: metodologiceskaia kultura. M., 2000. (Russian).
9. Utkin E.A. Istoria menejmenta. M., 1997(Russian).

Otar Kochoradze

The theory and practice of management in east civilizations

Summary

Arguing on the vital problems of management, we have addressed to East wisdom, to invaluable fund of ideas, judgments and sights of outstanding thinkers.

Wisdom - a category eternal, fair, moral and close to true. In the vital affairs of the person, a society and the state wisdom is necessary always, but is not always demanded, to what the history of management testifies.

Anybody, deprived wisdom, cannot is good care of itself, not submit to another the active help... There Was time when the persons executed an imperial post, were either philosophers, or prophets; it is necessary to believe, that at this time the states coped is better.

The knowledge of the last experience of management defines opportunities of its effective perfection and develops aspiration to expect the future.

The concept of management in a political science takes a special place. During many centuries of scientists investigated and continue to study a phenomenon of management and administrative attitudes.

Management possesses an opportunity and the right to supervise and operate someone and something, to influence on destiny and activity of people, to carry out management. It is far not the full list of means and opportunities, it is much more than them.

The State - the mightiest control system and imperious attitudes. Authority and the state, in opinion Confucius, two tops which exist to order a life of people.

The culture of management is an integral part material and cultural wealth of people, its history, traditions, customs and customs. The condition of culture of management, its level enables to judge a maturity of people, a society and the state.

In structure of culture of management, alongside with others allocate three basic components: administrative consciousness; administrative behaviors; functioning of administrative institutes, culture of acceptance and realization of administrative resolutions and decisions.

Keywords: Wisdom, the concept of management, phenomenon of management, administrative attitudes, culture of management, administrative consciousness, administrative behaviors, functioning of administrative institutes, culture of acceptance and realization of administrative resolutions and decisions.

Reviewer – professor Dogonadze Shota , Georgian Technical University

Кочорадзе Отар Георгиевич

Теория и практика управления в восточных цивилизациях

Резюме

Рассуждая о жизненно важных проблемах управления, мы обратились к Восточной мудрости, к бесценному фонду мыслей, суждений и взглядов выдающихся мыслителей.

Мудрость – категория вечная, справедливая, нравственная и близкая к истине. В жизненно важных делах человека, общества и государства мудрость необходима всегда, но не всегда востребована, о чем свидетельствует история управления.

Никто, лишенный мудрости, не может ни хорошо заботиться о себе, не подать другому деятельную помощь... Было время, когда лица, исполнявшие царскую должность, были или философами, или пророками; следует полагать, что в это время государства управлялись лучше всего.

Знание прошлого опыта управления определяет возможности его эффективного совершенствования и развивает стремление предвидеть будущее.

Концепция управления в политической науке занимает особое место. На протяжении многих столетий ученые исследовали

и продолжают изучать феномен управления и управленческих отношений.

Менеджмент обладает возможностью и правом руководить и управлять кем-либо и чем-либо, влиять на судьбы и деятельность людей, осуществлять управление. Это далеко не полный перечень средств и возможностей, их значительно больше.

Государство – самая могучая система управления и властных отношений. Власть и государство, по мнению Конфуция, две вершины, которые существуют для того, чтобы упорядочить жизнь людей.

Культура управления является неотъемлемой частью материальных и духовных ценностей народа, его истории, традиций, нравов и обычаев. Состояние культуры управления, ее уровень дают возможность судить о зрелости народа, общества и государства.

В структуре культуры управления, наряду с другими выделяют три основных компонента: управленческое сознание; управленческое поведение; функционирование управленческих институтов, культура принятия и реализации управленческих резолюций и решений.

Ключевые слова: Мудрость, концепция управления, феномен управления, управленческие отношения, культура управления, управленческое сознание, управленческое поведение, функционирование управленческих институтов, культура принятия и реализации управленческих резолюций и решений.

Рецензент – профессор Догонадзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет

პრაქტიკა

გიორგი ბალათურია, მერაბ ტაბატაძე

**ემსპარტის კომპატიბენტურობის შემფასებების მეთოდის
ღამუშავება სახელმწიფო მართვის ამოცანებისთვის**

შესავალი

პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების მართვაში ჩაბმული ნებისმიერი ორგანიზაციისათვის პირისათვის ეფექტიანი მენეჯმენტის გასახორციელებლად, გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვანია შედეგების პროგნოზირება, რადგან მენეჯმენტის პროცესში ჩაბმულმა სუბიექტებმა შეძლონ შესაძლო უარყოფითი შედეგების აცილება, გაანალიზება და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღება მაშინ, როდესაც განსახდერულია მომავალი და ყველას, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს უთუოდ სჭირდება პროგნოზი. შესაბამისად იზრდება პროგნოზირების აუცილებლობა და იგი თავისი როლითა და დანიშნულებით მენეჯმენტის ერთ-ერთი ამოსავალი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა.

პროგნოსტიკის მეცნიერებაში დღეისათვის ცნობილია პროგნოზირების მრავალი მეთოდი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოყენებული ინფორმაციის მასშტაბებით, მეცნიერული დასაბუთებულობის დონითა და სხვა კრიტერიუმებით. განასხვავებენ საძიებო პროგნოზირების ექსტრაპოლაციურ და ალტერნატიულ მიდგომებს. ასევე, არსებობს პროგნოზირების ისეთი ძირითადი მეთოდები როგორებიცაა: ექსპერტული შეფასების მეთოდები; ტრენდის ექსტრაპოლაციის მეთოდები; კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდები; სტრატეგიული საფინანსო დაგეგმვისა და პროგნოზირების მეთოდები; ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები; სოციალურ-პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები და სხვ.

ზემოთ აღნიშნული პროგნოზირების მეთოდებიდან გამორჩეული ადგილი უჭირავს პროგნოზირების

ექსპერტული შეფასების მეთოდებს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური ამოცანების შეფასებისთვის. განსაკუთრებით ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც არ გაგვანჩია არც საკმარისი მოცულობის რაოდენობრივი მონაცემები და არც შეფასების მკაფიოდ ფორმულირებული და ნორმირებული კრიტერიუმი.

პროგნოზირების ექსპერტული მეთოდოლოგია

ექსპერტული შეფასება ეყრდნობა, როგორც სუბიექტურ მოსაზრებებს, ისე ინტუიციას, მას ახასიათებს არარაოდენობრივი, ხარისხობრივი ხასიათი. ასეთ შემთხვევებში პროცესების განვითარების ტრაექტორიის წარმოდგენა-წარმოსახვა შეუძლიათ ღრმა ცოდნისა და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტებს. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად პროგნოზირების ექსპერტული შეფასების მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენებაში მთავარია ექსპერტის ინტუიცია, მისი უნარი მოპოვებული ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე იწინასწარმეტყველოს მოსალოდნელი ტენდენციები. ძველ დროში ასეთ პირებს წარმოადგენდნენ ქურუმები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა მოსაზრებები გამოიყენებოდა მომავალი პროცესების განჭვრეტაში. თუმცა, პროგნოზირების ექსპერტული შეფასების მეთოდების ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა ის, რომ ექსპერტების ერთმა ნაწილმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვა ექსპერტებზე, რამაც შეიძლება დაამახინჯოს პროგნოზული შედეგები. ამ ნაკლოვანების მიუხედავად, აღნიშნული მეთოდები მაინც რჩება პროგნოზირების ერთ-ერთ საიმედო საშუალებად.

პროგნოზირებაში ექსპერტი ნიშნავს მოწვეულ პირს, რომელსაც საპროგნოზო ობიექტის შესახებ გააჩნია ცოდნა და გამოცდილება. ექსპერტების შერჩევა უნდა მოხდეს ისეთი კრიტერიუმებისა და მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა პროფესიული კომპეტენტურობა, პრესტიჟი, პასუხისმგებლობა, გამორჩეული სოციალური მდგომარეობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, საკვლევი საკითხის ღრმა ცოდნა, პრობლემის ობიექტური განხილვის და ანალიზის უნარი, საკუთარი შეხედულებების, აზრების პირუთვნელად და მკაფიოდ გადმოცემა, ორიგინალური და

ანალიტიკური აზროვნება. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მიმომხილველები, პოლიტოლოგები, ანალიტიკური ორგანიზაციები.

ექსპერტული შეფასების დროს ფართოდ გამოიყენება ექსპერტული შეფასებების ისეთი ძირითადი მეთოდები, როგორცაა: ინტერვიუ, ანალიტიკური ბარათები, კომისიების მეთოდი, ბრეინსტორმინგი, დელფოსის მეთოდი.

- ინტერვიუს მეთოდი ნიშნავს პროგნოზირების ორგანიზატორის საუბრებს დარგისა და პროგნოზის ექსპერტებთან.
- კომისიების მეთოდი ითვალისწინებს შეხვედრას ექსპერტებთან, რომლის დროსაც განიხილება არსებული საკითხი და ხორციელდება ექსპერტთა მოსაზრებების ურთიერთშესამება და ერთიანი მოსაზრების შემუშავება. ამ მეთოდის ნაკლოვანებაა, რომ იგი დაფუძნებულია კომპრომისის ლოგიკაზე, რაც ზრდის დამახინჯებული პროგნოზული შედეგების მიღების რისკს.
- ბრეინსტორმინგი ნიშნავს იდეების კოლექტიურ გენერირებას და პრობლემის შემოქმედებთად გადაწყვეტას. ბრეინსტორმინგის დროს მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა 6-12 კაცია.
- დელფოსის მეთოდში გაერთიანებულია ექსპერტთა შემოქმედებითი შეფასება და ფაქტობრივი მასალის მათემატიკურ-სტატისტიკური დამუშავების შედეგები. ექსპერტთა გამოკითხვა მიმდინარეობს მანამ, ვიდრე ექსპერტთა აზრი ერთმანეთს არ დაემთხვევა – შეხედულებათა შორის გარკვეული, მინიმალური გაბნეულობის მიღწევის მომენტამდე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საექსპერტო შეფასებები ეფექტურია გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ანალიზისთვის. მაგ. XX

საუკუნის შუა პერიოდიდან, 60-70-იანი წლებიდან უკვე იცოდნენ, რომ სსრკ-ს ელოდა ეკონომიკური და პოლიტიკური კრაზი, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირება. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, ლოკალური ხასიათის პროგნოზებს რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვისათვის. ასეთ სიტუაციებში, როგორც

საზოგადოებები ისე ორგანიზაციები ანალიზისათვის მიმართავენ ექსპერტებს, მაგრამ რამდენად სწორია და სარწმუნოა ექსპერტული შეფასებები და რამდენად სწორად ხდება ექსპერტების შერჩევა კონკრეტული ობიექტის ანალიზისა და შედეგების პროგნოზირებისთვის ეს სხვა საკითხია.

ექსპერტთა კომპეტენტურობის შეფასების მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემუშავდა საექსპერტო შეფასების სანდოობის განმსაზღვრელი მეთოდოლოგია, რომელიც მეტნაკლები სისრულით წარმოაჩენს ექსპერტის კვალიფიკაციას მოცემულ დარგში. ექსპერტის კვალიფიკაციის დასადგენად შემოღებული შეფასების თითოეული კრიტერიუმი, ისეთები როგორცაა: განათლების ხარისხი; საერთო შრომითი გამოცდილება; შრომითი გამოცდილება მოცემულ დარგში; ექსპერტული გამოცდილება; მოცემული დარგის შესახებ ინფორმირებულობის დონე და საექსპერტო ეფექტიანობა, რომელიც ძირითადად ანალიტიკოსის მიერ გაკეთებული გამართლებული პროგნოზების მაჩვენებელია, ფასდება ქულათა გარკვეული რაოდენობით. თითოეული ექსპერტისთვის, დგინდება საექსპერტო კოეფიციენტი კონკრეტულ დარგში. აღნიშნული მეთოდოლოგია დამუშავებულია Excel-ის კომპიუტერული პროგრამით, სადაც შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების საშუალებით პროგრამა თავად უზრუნველყოფს საექსპერტო კოეფიციენტის გამოთვლას. საექსპერტო კოეფიციენტი გადაგვყავს ექსპერტთა კომპეტენტურობის ალბათობაში, რომელიც იცვლება თითოეული შესაბამისი შემთხვევისთვის. კერძოდ, *j*-ური ექსპერტის კომპეტენტურობის ალბათობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$P(x_j) = \frac{x_j}{\sum_{j=1}^N x_j},$$

სადაც *N* არის საექსპერტო შეფასების მონაწილე ექსპერტთა რაოდენობა, *x_j* მოცემული ექსპერტის საექსპერტო კოეფიციენტი. თითოეული ექსპერტის საექსპერტო კოეფიციენტი იცვლება 3 და 50 ქულამდე.

ხოლო საექსპერტო ალბათობა ჩვეულებრივ $P(x_j) < 1$, ამავე დროს

$$\sum_{j=1}^N P(x_j) = 1$$

ქვემოთ მოცემულია საექსპერტო შეფასების სანდოობის განმსაზღვრელი მეთოდოლოგია სისტემური სახით, რომელიც ვიზუალურად Excel –ის კომპიუტერული პროგრამით დამუშავებული სისტემის ანალოგია და ასევე, შეფასების თითოეული კრიტერიუმის განმარტება და მონაცემების ცხრილში (პროგრამაში) შეტანისას გასათვალისწინებელი მითითებები.

განათლების ხარისხი, ბაზისი – ა

- „ფორმალური განათლება“ – პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს მხოლოდ საშუალო სკოლა.
- „სპეციალური განათლება“ – პირი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი პროფესიული განათლება.
- „საუნივერსიტეტო განათლება“ – პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი და ფლობს ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.
- „უმაღლესი სკოლა“ – პირი, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და/ან ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

სამუშაო გამოცდილება, ბაზისი – ბ

- “ ≤ 1 წ.” – ექსპერტის მუშაობის სტაჟი 1 წლამდეა.
- “ $1 < X \leq 5$ წ.” – ექსპერტის გამოცდილება მეტია 1 წელზე და ნაკლებია ან ტოლია 5 წლის.
- “ $5 < X \leq 10$ წ.” – ექსპერტის მუშაობის სტაჟი მეტია 5 წელზე და ნაკლებია ან ტოლია 10 წლის.
- “ > 10 წ.” – ექსპერტის პროფესიული გამოცდილება 10 წელზე მეტია.

სამუშაო გამოცდილება მოცემულ დარგში, ბაზისი - ც

- “ ≤ 1 წ.” – ექსპერტის მუშაობის სტაჟი 1 წლამდეა.
- “ $1 < X \leq 5$ წ.” – ექსპერტის გამოცდილება მეტია 1 წელზე და ნაკლებია ან ტოლია 5 წლის.
- “ $5 < X \leq 10$ წ.” – ექსპერტის მუშაობის სტაჟი მეტია 5 წელზე და ნაკლებია ან ტოლია 10 წლის.
- “ > 10 წ.” – ექსპერტის პროფესიული გამოცდილება 10 წელზე მეტია.

ექსპერტული გამოცდილება

- “არ გაუეკთება ანალიზი არასდროს” – ექსპერტს მოცემულ დარგში არ შეუსწავლია არცერთი საკითხი, რომელიც გაანალიზებას და შედეგების პროგნოზირებას საჭიროებდა.
- “ანალიზს აკეთებს იშვიათად” – ექსპერტი მოცემულ დარგში ანალიზს აკეთებს სამ თვეში ერთხელ მაინც.
- “ანალიზს აკეთებს საკმაოდ ხშირად” – ექსპერტი მოცემულ დარგში ანალიზს აკეთებს ორ თვეში ერთხელ მაინც.
- “ანალიზს აკეთებს ყოველთვის” – ექსპერტი მოცემულ დარგში ანალიზს აკეთებს თვეში ერთხელ მაინც.

რეკრეხენტატულობა (ინფორმირებულობა)

- “არ ფლობს არავითარ ინფორმაციას” – ექსპერტს არ გააჩნია არავითარი ინფორმაცია მოცემული საკვლევი ობიექტის შესახებ.
- “ფლობს ზოგად ინფორმაციას” – ექსპერტი ფლობს საკვლევი ობიექტის შესახებ, ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომ ინფორმაციას.
- “ფლობს სპეციალურ ინფორმაციას” – ექსპერტი ფლობს საკვლევი ობიექტის შესახებ სპეციალურ ინფორმაციას, რომელიც ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი და ეს ინფორმაცია მხოლოდ ადამიანთა შეზღუდული წრისთვისაა ცნობილი.
- “ფლობს საიდუმლო ინფორმაციას” – ექსპერტი ფლობს ან სავარაუდოა რომ ფლობდეს საიდუმლო ინფორმაციას საკვლევი ობიექტის შესახებ.

საექსპერტო ეფექტიანობა

- “არ გამართლებულა არც ერთი პროგნოზი” – არ გამართლებულა ექსპერტის არც ერთი პროგნოზი არამარტო

მოცემულ დარგში, არამედ სხვა სფეროშიც სადაც მას პროგნოზი გაუკეთებია.

- “გამართლებული პროგნოზების მანკენბეგლი $\leq 25\%$ ” – გამართლდა ექსპერტის მიერ გაკეთებული ყველა პროგნოზიდან 1% დან 25%-ის ჩათვლით.
- “გამართლებული პროგნოზების მანკენბეგლი $\leq 50\%$ ” - გამართლდა ექსპერტის მიერ გაკეთებული ყველა პროგნოზიდან 26% დან 50%-ის ჩათვლით.
- “გამართლებული პროგნოზების მანკენბეგლი $> 50\%$ ” – გამართლდა ექსპერტის მიერ გაკეთებული ყველა პროგნოზიდან 51% დან 100%-ის ჩათვლით.

საექსპერტო კოეფიციენტის გამოთვლისას გასათვალისწინებელია, რომ ერთმა ექსპერტმა, მიღებული კოეფიციენტის მანკენბეგლით არ უნდა გადაწონოს ორი ექსპერტი.

ექსპერტების შერჩევისას გაგრძელებული ფორმაა ექსპერტების ე.წ. რანჟირება მათი კომპეტენტურობის მიხედვით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს ექსპერტებში ე.წ. ლიდერის გამოვლენაში, რაც თავის მხრივ შეესაბამება უდიდეს კომპეტენტურობას. ამ მეთოდის ნაკლოვანებაა, რომ იგი არ ითვალისწინებს რანჟირებამდე, კონკრეტულ დარგში მოწვეული სპეციალისტების კომპეტენტურობის დონის დადგენას. შესაბამისად, ასეთი მიდგომა სწორია იმ შემთხვევაში თუ სპეციალისტების სწორი შერჩევა მოხდება. მაგრამ თუ რანჟირებისას ანალიტიკოსების ძირითად მასას გააჩნია დაბალი კვალიფიკაცია ან საკვლევი ობიექტის შესახებ ცოდნის დაბალი დონე შეფასების ამგვარი კრიტერიუმი არ არის სწორი და ამ მეთოდის გამოყენება ძირშივე მცდარია და არაფრის მომცემი. ანალიტიკოსების სწორად შერჩევისთვის კი შესაძლებელია გამოვიყენოთ ზემოთ აღწერილი საექსპერტო შეფასების განმსაზღვრელი მეთოდოლოგია. შემდეგ შერჩეული ექსპერტების მიერ ექსპერტთა კომპეტენტურობის ურთიერთშეფასებისას მინიჭებული ქულებით შევადგინოთ მატრიცა და სხვადასხვა იტერაციით გამოვაგლინოთ ლიდერი ექსპერტებს შორის.

დასკვნა

პროგნოზირების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდილია სახელმწიფო მართვის პროცესების სწორად

წარმართვაში. რადგან ამ სფეროში ნაკლებად არის შედეგების შეფასების რაოდენობრივი მონაცემი და ფორმულირებული და ნორმირებული საზომი. ამიტომ გასაკვირია არა არის, რომ ექსპერტული შეფასებები ხშირად გამოიყენება სახელმწიფო მართვის პროცესებში მომავლის განსაჭერეტად. შესაბამისად ექსპერტების სწორად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, იმისათვის, რათა სწორად მოხდეს მოსალოდნელი ტენდენციების პროგნოზირება, გათვალისწინებული და თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უარყოფითი მოვლენები.

ზემოთ მოცემული საექსპერტო შეფასების განმსაზღვრელი მეთოდოლოგია მეტნაკლებად დაგვეხმარება ექსპერტების სწორად შერჩევასა და საექსპერტო შეფასებების გათვალისწინებისას.

ექსპერტთა კომპეტენტურობის შესაფასებელი ცხრილები

მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით მინიჭებული ქულები და საექსპერტო კოეფიციენტები

განთალების ხარისხი, ბაზისი - ა	ქულა	ექსპერტის მინიჭებული ქულა
ფორმალური განათლება	1	
სპეციალური განათლება	2	
საუნივერსიტეტო განათლება	3	
უმაღლესი სკოლა	5	

სამუშაო გამოცდილება, ბაზისი - ბ	ქულა	ექსპერტის მინიჭებული ქულა
≤ 1 წ.	1	

$1 < X \leq 5$ წ.	2	
$5 < X \leq 10$ წ.	3	
> 10 წ.	5	

სამუშაო გამოცდილება მოცემულ დარგში, ბაზისი - ც	ქულა	ექსპერტის მინიჭებული ქულა
≤ 1 წ.	1	
$1 < X \leq 5$ წ.	3	
$5 < X \leq 10$ წ.	5	
> 10 წ.	10	
ექსპერტული გამოცდილება	ქულა	ექსპერტის მინიჭებული ქულა
ანალიზი არ გაუკეთებია არასდროს	0	
ანალიზს აკეთებს იშვიათად	2	
ანალიზს აკეთებს საკმაოდ ხშირად	5	
ანალიზს აკეთებს ყოველთვის	10	

რეპრეზენტატიულობა	ქულა	ექსპერტის მინიჭებული ქულა
არ ფლობს არავითარ ინფორმაციას	0	
ფლობს ზოგად ინფორმაციას	2	
ფლობს სპეციალურ ინფორმაციას	5	
ფლობს საიდუმლო ინფორმაციას	10	

საექსპერტო ეფექტიანობა	ქულა	ექსპერტის მინიმალური ქულა
არ გამართლებულა არცერთი პროგნოზი	0	
გამართლებული პროგნოზების მაჩვენებელია $\leq 25\%$	2	
გამართლებული პროგნოზების მაჩვენებელია $\leq 50\%$	5	
გამართლებული პროგნოზების მაჩვენებელია $> 50\%$	10	

№	საექსპერტო ეფექტიანობა	ქულა
1	განათლების ხარისხი, ბაზისი - ა	
2	სამუშაო გამოცდილება, ბაზისი - ბ	
3	სამუშაო გამოცდილება მოცემულ დარგში, ბაზისი - ც	
4	ექსპერტული გამოცდილება	
5	რეპრეზენტატიულობა (ინფორმაციულობა)	
6	საექსპერტო ეფექტიანობა	
7	სამსპერტო კოეფიციენტი	

ლიტერატურა

References

1. Bagaturia G. Bagaturia O. Strategic Planning for the tasks of Public Administration and Business. Tbilisi. 2009.(Georgian)

2. Dogonadze Sh. Bagaturia O. The Modern Problems of Public Administration. Tbilisi, 2009. (Georgian)
3. Jaliashvili J. Theoretical Questions of Forecasting and Political Administration. Tbilisi. 1994. (Georgian)
4. Jane M. Booker. Mary M. Meyer. Elicitation end analysis of expert judgment. <http://www.galaxy.gmu.edu>
5. Effectiveness of Public Administration. Moscow. 1988. (Russian)
6. Ataev A.A. Administrative Activities. 1990. (Russian)
7. Chichinadze V. Introduction in the theory of systems of administration management and the organization. Tbilisi. 1988 (Russian)
8. Mesxia I. Gabelashvili K. Scientific-technical progress predication basis of forecast. <http://www.kseu.edu.ge> (Georgian)
9. Giunashvili Z. Expert estimations and measurements of central tendency. <http://skola.edu.ge> . (Georgian)

Giorgi Bagaturia, Merab Tabatadze
Development of Estimation Methods of Expert's Competence for the Tasks of Public Administration

Summary

There are considered in the article the questions of estimation of competence of professionals, whose opinion and expert estimations are used in various problems of the process of public administration, namely for the tasks of forecasting. Competence of experts is especially important when basically we have qualitative data and it is impossible to give quantitative estimations of development of economic and/or political processes.

In the article represented specificity of methods of an expert estimation, analyzed their positive and negative sides, classified the basic methods of an expert estimation (methods of interview, analytical cards, the commissions, brainstorming, method of Delphi); the special attention paid to questions of a correct choice of experts, estimations of qualification and competence of the expert.

The publication develops the methodology of an estimation qualification that gives a possibility to define competence of the expert in a concrete area of economy or a policy. For an estimation of expert's competence used the criteria based on followed indicators: quality of education; the

general working experience; an working experience in the field; expert efficiency; knowledge of the given area and level of having information about given area. To various levels of each criterion coordinated with defined scale points which have been offered on the basis of the careful analysis of the existing experts experience and procedures of expert estimations. Thus, competence of the expert of a numerical kind is expressed in the form of distribution of probabilities of expert's competence. After a choice of experts, for the purpose of specification of their qualification the method of ranking of the experts which essence consists in revealing of the leader among experts is used.

The developed technique gives an opportunity more defensible application of results of an expert estimation in various problems of risk-management and forecasting of political-economical processes.

Keywords - Public Administration; Expert; Analyst; Analysis; Analytical Cards; Management; Forecasting; Extrapolation Forecasting Method; Alternative Forecasting Method; Method of Expert Judgments; Brainstorming; Method of Committee; Interview; Method of Delphi; Probability; Intuition; Qualification; Policy; Leader; Matrix; Economics.

Reviewer – PhD, Teimuraz Gorshkov, head of Marketing Centre of Georgian Railway Ltd

**Багатурия Георгий Шотаевич,
Табатадзе Мераб Тенгизович.**

Разработка методов оценки компетентности экспертов для задач государственного управления

Резюме

В статье рассмотрены вопросы оценки компетентности специалистов, чье мнение и экспертные оценки используются в различных задачах государственного управления, а именно в задачах прогнозирования. Компетентность экспертов особенно важна в тех случаях, когда в распоряжении исследователей имеются в основном качественные данные и невозможно дать количественные оценки развития экономических и/или политических процессов.

В статье показана специфичность методов экспертной оценки и проанализированы их положительные и отрицательные стороны, дана классификация основных методов экспертной оценки (методы интервью, аналитических карт, комиссий,

ბრეინსტომინგ, метод Дельфы); особое внимание уделяется вопросам корректного выбора экспертов, оценки квалификации и компетентности эксперта.

В публикации разработана методология оценки квалификации эксперта, с помощью которой можно определить компетентность эксперта в конкретной области экономики или политики. Для оценки компетентности эксперта предложены критерии, основанные на таких показателях как: качество образования; общий опыт работы; опыт работы в данной области; экспертная эффективность; знание данной области и уровень информированности о данной области. Различным уровням каждого критерия соответствуют определенные ранжированные баллы, которые были предложены на основе тщательного анализа имеющей информации о действующих экспертах и процедур экспертной оценки. При этом компетентность эксперта в числовом виде выражается в виде распределения вероятностей компетентности экспертов. После выбора экспертов, с целью уточнения их квалификации используется метод ранжировки экспертов, суть которого заключается в выявлении лидера среди экспертов.

Разработанная методика дает возможность оправданного применения результатов экспертной оценки в различных задачах риск-менеджмента и прогнозирования политико-экономических процессов.

Ключевые Слова: Государственное управление; эксперт; аналитик; анализ; аналитические карты; менеджмент; прогнозирование; экстраполативный метод прогнозирования; альтернативный метод прогнозирования; метод экспертной оценки; брейншторминг; метод комиссий; интервью; метод дельфи; вероятность; интуиция; квалификация; политика; лидер; матрица; экономика.

Рецензент: доктор технических наук, Горшков Теймураз Шотаевич, начальник центра маркетинга ООО «Грузинская железная дорога»

e k o n o m i k a

Ani Ziegler

Fragen der Monopolisierung und des Wettbewerbs auf dem deutschen Energiemarkt

Einleitung und Problemaufriss - die Marktverhältnisse vor der EU-Richtlinie.

Der Wettbewerb in der Energieversorgung lässt sich in zwei größere Bereiche einteilen: es gibt einerseits die Belieferung der Endkunden und andererseits den Durchleitungsmarkt. Dieser Bereich betrifft die Beziehung zwischen dem Betreiber des Energienetzes und anderen Energieversorgern, die dieses Netz nutzen müssen, um ihre Kunden mit Energie zu beliefern.

Da ein Energieunternehmen ohne eigenen Netzbetrieb das fremde Netz benötigt um seine Kunden zu versorgen, zahlt er an den Netzbetreiber eine sog. Durchleitungsgebühr oder ein Durchleitungsentgelt.

Dieser Durchleitungsmarkt bildet einen großen Teil des Energiemarktes und damit auch einen wichtigen Aspekt beim Wettbewerb auf diesem Sektor. Es geht zwar letztendlich auch um die Belieferung der Energieabnehmer, aber im Vordergrund steht hier die Nutzung des fremden Netzes als Voraussetzung für die Erfüllung der eigenen Lieferung.

Als wesentlicher Teil der Energiekosten werden diese Nutzungs- bzw. Durchleitungsentgelte auf den Endkunden abgewälzt und machen den Grossteil des Preises aus. Der Wettbewerb auf dem Energiesektor findet also nicht nur bei der Belieferung der Endabnehmer statt, sondern schon vorher auf dem Weg zum Kunden.

Die Marktverhältnisse auf dem Energiesektor waren in Deutschland von einer monopolistischen Struktur geprägt, wobei die Energieversorgungsunternehmen wegen vertraglich abgesicherter Gebietsmonopole keinem Wettbewerb unterlagen. Der Energiesektor war als kartellrechtlicher Ausnahmereich etabliert und im Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen (GWB) von der kartellbehördlichen Aufsicht ausgenommen.

Die Notwendigkeit eines derartigen Ausnahmereichs wurde damals aus dem Netzcharakter der Energiebranche gefolgert. Netze

werden als raumübergreifende, komplett verzweigte Transport- und Logistiksysteme für Güter, Personen oder Informationen bezeichnet.[1] Wegen ihrer Leitungsgebundenheit wurde die Energiewirtschaft in ihrer Gesamtheit als ein natürliches Monopol betrachtet, weshalb hier der übliche direkte Wettbewerb als nicht sinnvoll erachtet wurde. Stadtwerke, Regionalversorger und Verbundunternehmen sollten über geschlossene Versorgungsgebiete verfügen.

Die Versorgungsunternehmen waren in Deutschland zwar nicht staatlich, sondern überwiegend privatrechtlich organisiert. Jedoch hatten sie aufgrund vertraglicher Absprachen mit den Gemeinden und kommunalen Körperschaften gesicherte Monopol [2] stellungen in ihrem jeweiligen Versorgungsgebiet. Ihre Beteiligung erfolgte auf Verbund-, Regional- und Lokalebene. Zudem wiesen sie über die Funktionsbereiche Erzeugung, Übertragung und Verteilung von Elektrizität eine starke vertikale Integration auf diesen drei Marktstufen auf.[3]

Die Unternehmen auf der Verbundebene waren meistens in allen drei Funktionsbereichen tätig und waren häufig an Unternehmen der Regionalebene beteiligt.

Auf der zweiten Versorgungsebene belieferten regionale Versorgungsunternehmen lokale Energieversorger und Endverbraucher. Hier fungierten sie als Weiterverteiler und Zwischenhändler. Sie verteilten die von ihnen vertriebene Energie und belieferten ihre Abnehmer auch mit Strom, der von anderen Unternehmen erzeugt wurde.

Versorgungsunternehmen auf der Lokalebene befanden sich meistens im Eigentum der Gemeinden. Diese verteilten ebenfalls die von vorgelagerten Erzeugern oder von ihnen selbst produzierte Elektrizität an die Endabnehmer, wobei das Absatzgebiet das jeweilige Gemeindegebiet umfasste.

Liberalisierung des Marktes und EnWG-Reform

Nach und nach setzte sich die Meinung durch, dass Elemente der Energiewirtschaft durchaus dem Wettbewerb zugänglich sein müssten und die Auffassung des natürlichen Monopols wurde aufgegeben. Diese europaweiten Entwicklungen mündeten in der 1997 in Kraft getretenen EU-Binnenmarkttrichtlinie für Elektrizität [4]

Hiernach sollte ein offener Netzzugang in den Mitgliedstaaten zu gleichwertigen wirtschaftlichen Ergebnissen und damit zu einer direkt vergleichbaren Marktöffnung führen.

Vertikal integrierte Unternehmen sollten eine separate Rechnungslegung für die Bereiche Erzeugung, Übertragung und Verteilung führen. [5] Als Netzzugangsmodell wurde alternativ ein Genehmigungs- oder Ausschreibungsverfahren vorgesehen. Es sollten objektive, transparente und nichtdiskriminierende Kriterien angewendet werden.

In Deutschland wurde zur Umsetzung der Richtlinie das deutsche Energiewirtschaftsgesetz (EnWG) reformiert. Ziel der Novelle war die Liberalisierung des Strom- und Energiemarktes und die Öffnung für den Wettbewerb in diesen Bereichen. Die Versorgungsunternehmen wurden der kartellbehördlichen Aufsicht unterstellt.

Die rechtlich geschlossenen Versorgungsgebiete und die kartellrechtlichen Ausnahmereiche wurden abgeschafft. Demarkations- und Konzessionsverträge, mit denen ausschließliche Wegerechte für die Versorgungsunternehmen gesichert wurden, waren mit dem neuen Kartellrecht nicht mehr vereinbar und wurden entsprechend abgeändert.

Der Wettbewerb um die Versorgung von Stromkunden sollte auch durch zusätzlichen Leitungsbau und Durchleitungen angeregt werden. Der Bau von Direktleitungen erweist sich jedoch in vielen Fällen als wirtschaftlich wenig sinnvoll, wenn bereits bestehende Leitungen ausreichend sind.

Daher wurde im reformierten EnWG ein spezieller Durchleitungstatbestand geschaffen, der die Intention des Gesetzgebers, den elektrizitätswirtschaftlichen Ordnungsrahmen stärker wettbewerblich auszurichten, verdeutlichen sollte.

Die Durchleitung von Energie durch fremde Netze wurde in Form des verhandelten Netzzugangs ausgestaltet, d. h. die durchleitungsbegehrenden Unternehmen müssen sich mit dem Netzbetreiber vertraglich über die einzelnen Durchleitungsbedingungen und -preise einigen. Gemäß § 6 EnWG mussten die Netzbetreiber anderen Versorgungsunternehmen ihr Versorgungsnetz für Durchleitungen zur Verfügung stellen. Die Durchleitungsvereinbarungen mussten den Bedingungen guter fachlicher Praxis entsprechen und durften keine Benachteiligung gegenüber Unternehmen beinhalten, die mit dem Netzbetreiber verbunden sind. Allerdings wurden die Kriterien für die Berechnung des Durchleitungsentgelts nicht gesetzlich festgelegt, sondern sollten nach bestimmten Kriterien erfolgen, die in einer ergänzenden Verbändevereinbarung formuliert wurden. [6]

Wettbewerbsentwicklungen nach der Liberalisierung

Die anfänglich zu verzeichnende hohe wettbewerbliche Dynamik in der Marktentwicklung verringerte sich schnell wieder. Nach Auffassung der Monopolkommission liegt dies vor allem an marktstrukturellen Fehlentwicklungen und einer wenig wettbewerbskonformen Ausgestaltung des Ordnungsrahmens.[7]

Die Marktkonzentration der großen Verbundunternehmen bestand sowohl auf der horizontalen wie der vertikalen Ebene fort. D.h. die Unternehmen, die vor der Liberalisierung den Energiemarkt durch ihre vielfachen Beteiligungsformen zu ihrem Vorteil nutzen konnten, konnten dies danach ebenso. Sie konnten sogar ihre Einflussmöglichkeiten weiter ausbauen. Durch Beteiligungen an gemeindlichen und kommunalen Versorgern haben die Verbundunternehmen Einfluss auf deren Beschaffungsverhalten. Durch diese Einflussmöglichkeit auf das Beschaffungsverhalten der Nachfrager, entsteht also gar keine Konkurrenz und der wettbewerbliche Druck bleibt aus.

